

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008, №8

სამსახურიდან გათავისუფლება
მოხელის უფლებები

1. შს სამინისტროში სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება
2. წელთა ნამსახურების მიხედვით სახელფასო დანამატის ანაზღაურება
3. სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის (დისციპლინური გადაცდომის) გამო
4. მერიის თანამშრომლის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება
5. სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვა
 - მოხელე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვა
 - სხვა თანამდებობაზე გადაყვანაზე მოხელის თანხმობის აუცილებლობა

1. შს სამინისტროში სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-795-757(23-07)

29 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2006 წლის 22 ნოემბერს ე. ც-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელის აღდგენა სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ბათუმის განყოფილებაში სადგურ «ჩაქვის» ოპერატორად რადიოტექნიკური მიმართულებით, მოსარჩელის სასარგებლოდ გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის და ადვოკატის მომსახურების ხარჯების - 500 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის შემდეგი საფუძველით:

ე. ც-მე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760 ბრძანებით გათავისუფლდა სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ბათუმის განყოფილებაში სადგურ «ჩაქვის» ოპერატორის თანამდებობიდან. გ. ც-მის სამუშაოდან გათავისუფლებას საფუძველად დაედო «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი და მე-6 თავის მე-7 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სასაზღვრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნას რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

მოსარჩელის მითითებით, რეორგანიზაციის შედეგად სადგური «ჩაქვის» ოპერატორის თანამდებობა არ გაუქმებულა და, შესაბამისად, არ არსებობდა მისი გათავისუფლების საფუძველი. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელის მითითებით, ადმინისტრაციას უნდა ეხელმძღვანელა არა «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულებით, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #424 ბრძანებულებით, რადგან ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სასაზღვრო პოლიციაში მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესს, მოვალეობებსა და უფლებებს.

მოსარჩელის მითითებით, ე. ც-მის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება მიღებულ იქნა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.2 მუხლის დარღვევით, რადგან ე. ც-მის შტატი არ შემცირებულა, რის გამოც არ არსებობდა მისი სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი.

ე. ც-მის სარჩელი არ ცნო მოპასუხის წარმომადგენელმა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 23 ივნისის #242 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა შსს საქვეუწყებო დაწესებულების - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს რეორგანიზაცია, რომლის საფუძველზე გაუქმდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს მთელი საშტატო ერთეული, ხოლო პირადი შემადგენლობა ჩაითვალა შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს სანაპირო დაცვის ბათუმის განყოფილება სანაპირო დაცვის სადგური «ჩაქვი», რომელიც 2006 წლის 23 ივნისის შემდეგ ჩამოყალიბდა როგორც სამართალდამცავი სტრუქტურა, ანუ მოხდა რეორგანიზაცია და არა ატესტაცია, თანამშრომლები დათხოვნილ იქნენ რეზერვში და შემდეგ ხელახლა დაინიშნენ ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ.

საქალაქო სასამართლოში მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა იძულებითი განაცდური ხელფასის ოდენობის გამოთვლა სადგურ ჩაქვის ოპერატორის თანამდებობრივი სარგოდან - 359 ლარიდან, ადვოკატის მომსახურების ხარჯის - 500 ლარის, ასევე, სასამართლოს გარეშე ხარჯების - 280 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ც-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760 ბრძანება; ე. ც-მე აღდგენილ იქნა სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ბათუმის განყოფილებაში სანაპირო დაცვის სადგურ «ჩაქვის» ოპერატორის თანამდებობაზე რადიოტექნიკური მიმართულებით; მოპასუხეს დაეკისრა ე. ც-მის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან - 2006 წლის 23 ოქტომბრიდან

სამუშაოზე აღდგენის დღემდე, თვეში 359 ლარის ოდენობით, ასევე ადვოკატის მომსახურების ხარჯების - 500 ლარისა და სასამართლოს გარეშე ხარჯის - 280 ლარის ანაზღაურება, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო რეორგანიზაცია და შტატების შემცირება, რაც არ შეესაბამება რეალობას, რადგან სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის რესურსების მართვის სამმართველოს უფროსის წერილით დასტურდება, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 23 ივნისის #242 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაცია. მითითებული წერილის თანახმად, ბოლო პერიოდში უწყების მიერ თანამშრომელთა ატესტაცია არ ჩატარებულა. საქალაქო სასამართლომ სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სამმართველოს სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონის განყოფილების სანაპირო დაცვის სადგურ «ჩაქვის» რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდეგ, საშტატო ნუსხის საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია, რომ შტატები არ შემცირებულა. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოიცა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.2 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

საქალაქო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლით და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა იძულებითი განაცდური, ასევე, ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯები.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივნისის დადგენილებით, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გარდაიქმნა სასაზღვრო პოლიციად. «საქართველოს თავდაცვის შესახებ» კანონში 2006 წლის 25 მაისს შეტანილი ცვლილების თანახმად, სასაზღვრო პოლიცია გამოვიდა სამხედრო ძალების რიგებიდან. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გარდაიქმნა სასაზღვრო პოლიციად და სამხედრო სტრუქტურის ნაცვლად ჩამოყალიბდა სამართალდამცავი სტრუქტურა. შესაბამისად, მთლიანად შეიცვალა სასაზღვრო პოლიციის საშტატო განრიგი, ხოლო «სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ» კანონის შესაბამისად, შემოდებულ იქნა სასაზღვრო პოლიციის სპეციალური წოდებები. სამხედრო მოსამსახურეები დათხოვნილ იქნენ სამხედრო ძალების რეზერვში და ხელახლა შერჩევის გზით, დაინიშნენ სასაზღვრო პოლიციის ვაკანტურ თანამდებობაზე. აღნიშნულის შესაბამისად, აპელანტის მითითებით, ე. ც-მე არ დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე, მაგრამ მას შესთავაზეს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება, რაზეც ე. ც-მემ განაცხადა თანხმობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 72 კონკურსანტმა, მაგრამ ე. ც-მეს კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია და კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ დათხოვნილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში.

სასაზღვრო პოლიციის სააპელაციო საჩივარი არ ცნო ე. ც-მემ და მოითხოვა უსაფუძვლობის გამო მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება, ასევე, მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ადვოკატის მომსახურებისათვის სააპელაციო სასამართლოში გაწეული ხარჯის - 300 ლარისა და სასამართლოს გარეშე ხარჯის - 70 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სასაზღვრო პოლიციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760 ბრძანება და მოპასუხეს დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯის, სულ - 780 ლარის ანაზღაურება; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი ე. ც-მის ნაწილში, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ც-მეს ეკავა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სამმართველოს სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონის განყოფილების სანაპირო დაცვის სადგურ «ჩაქვის» ოპერატორის თანამდებობა; სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის #4095 პ/შ ბრძანებით გამოცხადდა შს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების რეორგანიზაცია; საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაევალა დეპარტამენტის რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობის კადრების განკარგულებაში აყვანა; ამავე ბრძანების თანახმად, «პოლიციის შესახებ» კანონის 22.3 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ჩაითვალა შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. მითითებული ბრძანების საფუძველზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ 2006 წლის 23 ივნისს გამოიცა #242 ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაცია; დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში; პირად

შემადგენლობას დაევალა მოვალეობის შესრულება კადრების განკარგულებაში გასვლამდე დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, სხვა სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ბრძანებაში მიეთითა, რომ დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ჩაითვალოს შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760, შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #4095 და სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ივნისის #242 ბრძანებების შესაბამისად, «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-4 პუნქტის «გ» ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები დაითხოვეს სამხედრო ძალების რეზერვში.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში განხორციელდა რეორგანიზაცია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე და 97-ე მუხლებით და დადასტურებულად მიიჩნია, რომ იმ სამსახურში, სადაც მუშაობდა მოსარჩელე, სამტატო განრიგი არ შეცვლილა და მისი სამტატო-ერთეული უცვლელად დარჩა. შესაბამისად, რეორგანიზაციას შტატების შემცირება არ მოჰყოლია, რის გამოც ადმინისტრაციას არ გააჩნდა ე. ც-მის დათხოვნის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო ბრძანებით ე. ც-მე, როგორც კადრების განკარგულებაში მყოფი, დათხოვილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში, მაგრამ კადრების განკარგულებაში აყვანის შემდეგ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და მისი სამსახურიდან რეალური დათხოვნა ამ ბრძანებით მოხდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი საქალაქო სასამართლოს მიერ მთლიანად და არა ე. ც-მის ნაწილში, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.5, 112-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების შესახებ და განმარტა, რომ სსსკ-ის 37-ე მუხლის შესაბამისად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯები, ხოლო ამ უკანასკნელს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები, რომელშიც არ მოიაზრება სასამართლოში გამოცხადებისა და მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ე. ც-მის მიერ წარმოდგენილ იქნა ადვოკატთან დადებული ხელშეკრულება, მაგრამ სსკ-ის 53-ე მუხლი გულისხმობს უკვე გადებული ხარჯებს, ხოლო იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელის მიერ ჰონორარის თანხა გადახდილია, არ არის წარმოდგენილი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ არის განსაზღვრული სსსკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს გარეშე ხარჯებში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის მომსახურების ხარჯის - 300 ლარისა და საქმის განხილვის გამო გამოცხადების ხარჯის - 70 ლარის ანაზღაურების შესახებ მტკიცებულების არარსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. ც-მემ და სასაზღვრო პოლიციამ.

ე. ც-მემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების შესახებ შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი ხელშეკრულებით ე. ც-მემ იკისრა ვალდებულება ადვოკატის ჰონორარის - 500 ლარის გადახდის შესახებ, ხელშეკრულების შინაარსიდან დგინდება, რომ ე. ც-მემ ხელმოწერისთანავე გადაიხადა ჰონორარი.

კასატორმა ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ სსსკ-ის 37.3 მუხლის თანახმად, სასამართლოს გარეშე ხარჯებში არ მოიაზრება სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები და აღნიშნა, რომ მითითებული მუხლით გათვალისწინებულ მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯებში განსაზღვრულია სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯებიც, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მხარის მიერ გადებულ აუცილებელ ხარჯს.

სასაზღვრო პოლიციამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, ე. ც-მე შს მინისტრის 2006 წლის #4095 პ/შ ბრძანების შესაბამისად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2006 წლის #242 ბრძანებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის შედეგად, გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში და დაევალა დროებითი

მოვალეობის შესრულება სხვა სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. აღნიშნული ბრძანებები ე. ც-მეს არ გაუსაჩივრებია. ე. ც-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760 ბრძანებით. ე. ც-მის დათხოვნა მოხდა კადრების განკარგულებიდან, რადგან #242 ბრძანებით იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ე. ც-მე აღადგინა იმ თანამდებობაზე, რომელიც მას გათავისუფლებისას არ ეკავა. კასატორის მოსაზრებით, ე. ც-მე აღდგენილი უნდა იქნეს კადრების განკარგულებაში და უარი უნდა ეთქვას მოსარჩელეს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე, რადგან კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში ანაზღაურებადია მხოლოდ ორი თვე.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და ე. ც-მის საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის «ბ» პუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად /დივერგენტული კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებელი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთების შემოწმებისა და საქმის სასამართლოს სხდომაზე განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და ე. ც-მის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების დარღვეული არ ყოფილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად მოქმედი კანონის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ე. ც-მეს ეკავა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სამმართველოს სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონის განყოფილების სანაპირო დაცვის სადგურ «ჩაქვის» ოპერატორის თანამდებობა; სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის #4095 პ/შ ბრძანებით გამოცხადდა შს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების რეორგანიზაცია; საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავალა დეპარტამენტის რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობის კადრების განკარგულებაში აყვანა; ამავე ბრძანების თანახმად, «პოლიციის შესახებ» კანონის 22.3 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ჩაითვალია შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. მითითებული ბრძანების საფუძველზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ 2006 წლის 23 ივნისს გამოცხადდა #242 ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაცია; დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში; პირად შემადგენლობას დავალა მოვალეობის შესრულება კადრების განკარგულებაში გასვლამდე დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, სხვა სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ბრძანებაში მიეთითა, რომ დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ჩაითვალია შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

საქმის მასალების თანახმად, სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ოქტომბრის #760, შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #4095 და სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 23 ივნისის #242 ბრძანებების შესაბამისად, «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-4 პუნქტის «გ» ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები დაითხოვეს სამხედრო ძალების რეზერვში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში, სადაც გათავისუფლებამდე მუშაობდა ე. ც-მე, მოხდა რეორგანიზაცია, თუმცა საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. ამასთან, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მოხელე შესაძლებელია გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. მოცემულ შემთხვევაში, სამსახურში, სადაც მუშაობდა მოსარჩელე ე. ც-მე, ცვლილებები არ მომხდარა საშტატო განრიგში და მის საშტატო-ერთეულს ცვლილება არ განუცდია. შესაბამისად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ რეორგანიზაციას შტატების შემცირება არ მოჰყოლია, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციას არ გააჩნდა ე. ც-მის დათხოვნის კანონიერი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასაციის მოტივს, რომ ე. ც-მის დათხოვნა მოხდა კადრების განკარგულებიდან, რადგან #242 ბრძანებით იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ბრძანებით ე. ც-მე დათხოვნილ იქნა როგორც კადრების განკარგულებაში მყოფი საჯარო მოხელე, თუმცა კადრების განკარგულებაში აყვანის შემდეგ იგი კვლავ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას დაკავებული შტატის შესაბამისად და ამდენად, მისი სამსახურიდან დათხოვნა, რეალურად, სწორედ დაკავებული შტატიდან მოხდა სადავო ბრძანებით.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.5 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა დაკმაყოფილებული ე. ც-მის სარჩელი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში.

რაც შეეხება ე. ც-მის მოთხოვნას ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების შესახებ, ამ ნაწილშიც სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის მასალები გამოკვლეული იქნა სრულყოფილად, შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოყალიბა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 37.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ პროცესის ხარჯებს წარმოადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები, სხვა აუცილებელი ხარჯები, რომელიც არ გულისხმობს სასამართლოში გამოცხადებასა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. საქმის მასალებში არსებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მოსარჩელე ე. ც-მსა და ადვოკატს შორის, ადასტურებს, რომ ე. ც-მემ აიღო ვალდებულება, ხელმოწერისთანავე გადაეხადა ადვოკატისათვის ჰონორარი 500 ლარის ოდენობით, თუმცა გადახდის ქვითარი საქმეში წარმოდგენილი არ არის. მითითებული მტკიცებულების არსებობის და შეფასების გარეშე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სსსკ-ის 53-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც ნორმა ითვალისწინებს მხარის მიერ გადებული ხარჯების წაგებულ მხარეზე გადაკისრების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, მტკიცებულება, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა მხარის მიერ თანხის (500 ლარის) გაღებას /გადახდის ფაქტს/ საქმეში არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები განეკუთვნება სასამართლოს გარეშე ხარჯებს, თუმცა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მხარის მიერ აღნიშნული ხარჯი იქნა გადებული, საქმის მასალებში არ მოიპოვება, შესაბამისად სარჩელი ამ ნაწილში სწორად არ იქნა დაკმაყოფილებული, რამდენადაც სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული დანახარჯებით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ამგვარის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია. კასატორის მიერ არც საკასაციო სასამართლოში იქნა წარმოდგენილი დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის სახით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არ არსებობს ამ ნაწილშიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამისობის თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2. მუხლის საფუძველზე, სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ც-მის წარმომადგენლის ნ. ლ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება;
4. საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შს სამინისტროში სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-799-761(კ-07) 6 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 დეკემბერს გ. ა-მემ სარჩელით მიმართა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანება გ. ა-მის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის ნაწილში; გ. ა-მე აღდგენილ იქნა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2005 წლის 2 მარტიდან თანამდებობაზე აღდგენამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 თებერვლის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით გ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანება და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

2006 წლის 21 აგვისტოს გ. ა-მემ კვლავ მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანების, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინსპექტირების მთავარი სამმართველოს 2006 წლის 19 ივლისის დასკვნის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

2006 წლის 13 ნოემბერს გ. ა-მემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ, 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანებების, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინსპექტირების მთავარი სამმართველოს 2006 წლის 19 ივნისის დასკვნის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

2006 წლის 5 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ სასარჩელო განცხადება შეამცირა 2006 წლის 19 ივლისის დასკვნის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება გ. ა-ძის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ, 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ; გ. ა-ძე აღდგენილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე; შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა გ. ა-ძის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2004 წლის 2 ნოემბრიდან სამსახურში აღდგენამდე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებით გ. ა-ძე გათავისუფლდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილების ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან და 2004 წლის 2 ნოემბრიდან გადაყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში; 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებას საფუძვლად დაედო მოსარჩელე გ. ა-ძის 2004 წლის 28 ოქტომბრის პატაკი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის 2004 წლის 1 ნოემბრის #24/2057 წერილი. მოსარჩელე არ დაეთანხმა რა 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებას, 2004 წლის 2 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, გ. ა-ძე აღდგენილ იქნა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2005 წლის 2 მარტიდან თანამდებობაზე აღდგენამდე; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანება ცნობილ იქნა ბათილად და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა გ. ა-ძის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. აღნიშული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინსპექტორების მთავარი სამმართველოს მიერ შესწავლილ იქნა გ. ა-ძის შსს კადრების განკარგულებაში აყვანის საკითხი, რის შედეგადაც 2006 წლის 19 ივლისს შედგა დასკვნა, რომელშიც აღწერილია 2007 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ და 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანებების შინაარსი და მათი გამოცემის წინაპირობები, აგრეთვე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შინაარსი. ამავე დასკვნაში მითითებულია შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანებაზე, რომლითაც სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, გაუქმდა ყველა თანამდებობა და თანამშრომლები აყვანილ იქნენ კადრების განკარგულებაში. დასკვნის ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ბრძანების გამოცემა 2004 წლის 30 დეკემბრიდან გ. ა-ძის კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანება. დასკვნის ავტორებმა აგრეთვე მიზანშეწონილად მიიჩნიეს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანების ძალაში დატოვება; შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანებით შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გ. ა-ძე გათავისუფლდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილების ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს შსს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში 2004 წლის 30 დეკემბრიდან, 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანების საფუძველზე; 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის #614 ბრძანებულებით დამტკიცებული «შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების» მე-11 მუხლის «ა» და «ნ» პუნქტები, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინსპექტორების მთავარი სამმართველოს 2006 წლის 25 ივლისის წერილი და 2006 წლის 19 ივლისის დასკვნა; შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი გ. ა-ძე 2005 წლის 2 მარტიდან დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო საქართველოს

პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 65-ე მუხლის «გ» და 67-ე მუხლის «ვ» პუნქტები (შტატების შემცირება); 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება გ. ა-ძეს ჩაჰბარდა 2006 წლის 5 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე.

სასამართლოს მითითებით, გ. ა-ძის მიერ 2004 წლის 2 დეკემბერს აღძრული სარჩელის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში გაგრძელდა 2005 წლის 9 იანვრამდე, სააპელაციო სასამართლოში – 2006 წლის 28 თებერვლამდე. სარჩელის აღძვრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროის მონაკვეთში მოპასუხის მიერ გამოცემულ იქნა გ. ა-ძის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული ახალი ადმინისტრაციული აქტი – 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება, რომლის შესახებ არაფერი იყო ცნობილი არც მოსარჩელისათვის და არც დავის განმხილველი სასამართლოსათვის;

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 4 ნოემბრის #1808 პ/შ ბრძანებით მოსარჩელე გ. ა-ძეს მოეხსნა მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი და დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იყო კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ გ. ა-ძის მიმართ 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირები შსს ორგანოებიდან შეიძლება დაითხოვონ სამხედრო ძალების თადარიგში შტატების შემცირებით, შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამსახურში გამოყენების შეუძლებლობის გამო; სასამართლოს მითითებით, ამ სამართლებრივი ნორმის რეალიზება უშუალოდ არის დაკავშირებული და დამოკიდებული იმავე დებულების მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ, შს ორგანოებში ორგანიზაციულ-სამშატოლო ღონისძიებათა განხორციელებისას თანამშრომელთა კადრების განკარგულებაში გადაყვანის ინსტიტუტთან, რაც, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს იმას, რომ თუ მოხელე მოსალოდნელი შტატების შემცირების გამო, კადრების განკარგულებაში არ არის გადაყვანილი, მის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული დებულების 67-ე მუხლის «ვ» პუნქტი.

სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» პუნქტიდან გამომდინარე, 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანების კანონიერების თაობაზე გ. ა-ძის სარჩელის გამო დავაზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანების გამოცემისას არ არსებობდა გ. ა-ძის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის საფუძველი, ვინაიდან სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის საპატრულო პოლიციაში არ განხორციელებულა სამშატოლო ღონისძიება და გ. ა-ძის პატაკი მოპასუხეს არ უნდა მიეჩნია «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი გადაადგილების, კადრების განკარგულებაში გადაყვანის სამართლებრივ საფუძვლად. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება გამოიცა შესაბამისი წინაპირობის (ორგანიზაციულ-სამშატოლო ღონისძიების პროცესი) გარეშე და ეწინააღმდეგებოდა «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლს და 67-ე მუხლის «ვ» პუნქტს.

სასამართლომ 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 ბრძანებაც ასევე მიიჩნია კანონსაწინააღმდეგოდ და აღნიშნა, რომ მის გამოცემას საფუძვლად დაედო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი, შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანება და 2006 წლის 19 ივლისის დასკვნა; 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებაში, რაც, სასამართლოს დასკვნით, დაუშვებელია, ვინაიდან ბათილად ცნობის პირობებში გაბათილებული ადმინისტრაციული აქტი აღარ წარმოადგენს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტს და იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» პუნქტის საწინააღმდეგოდ, ვეღარ უზრუნველყოფს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას, შეწყვეტას ან დადასტურებას. სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით კი, არარსებულ (ბათილ) სამართლებრივ აქტში რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანა დაუშვებელია, რადგან შეუძლებელია ისეთი რამის შეცვლა ან მისთვის ისეთი სამართლებრივი დეტალის დამატება, რაც უკვე ბათილია, რაც თავისი სამართლებრივი შედეგიანობით უკვე აღარ არსებობს.

სასამართლომ განმარტა, რომ 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანება, პირველ რიგში, ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლს, რადგან ამ უკანასკნელის საფუძველზე ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე მოქმედ და არა გაბათილებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ადმი-

ნისტრაციულ წარმოებაში გამოსაყენებელ პროცედურულ ნორმას და ამ ნორმის გამოყენება თავისთავად არ ნიშნავს მიღებული გადაწყვეტილების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) დასაბუთებას, ანუ მიღებული გადაწყვეტილების მოტივირებისათვის საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევა და ამ უკანასკნელთა სამართლებრივი შეფასება მატერიალური სამართლის შესაბამის ნორმაზე მითითებით.

სასამართლოს დასკვნით, მოპასუხემ გ. ა-ძის საკითხთან დაკავშირებულ ასეთ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია 2004 წლის 30 დეკემბერს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში განხორციელებული რეორგანიზაცია და შტატების შემცირება, ამ ფაქტობრივი გარემოების ადეკვატურ სამართლებრივ ნორმად კი მიუთითა შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანებაზე, რაც არასწორია, კერძოდ, შს მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 12 ივლისის #373 ბრძანება, რომლითაც თავის დროზე დამტკიცდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო და საშტატო განრიგი. 2004 წლის 12 ივლისის #373 ბრძანების გაუქმების პარალელურად, შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #681 ბრძანებით დამტკიცდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო განრიგი. სამართლებრივი აქტების: შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 და 2004 წლის 30 დეკემბრის #681 ბრძანებებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის, ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს რეორგანიზება იმავე სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტად, აგრეთვე რეორგანიზაციის თანმხლები, შტატების რიცხოვნობის შემცირება, არ წარმოადგენდა გ. ა-ძის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებას. რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების პროცესი, არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით, მოსარჩელეს არ შეხება, იგი 2004 წლის 6 ნოემბრის ბრძანებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს და კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს, 2004 წლის 2 ნოემბრიდან, ანუ რეორგანიზაციის დაწყებამდე თითქმის ორი თვით ადრე, რაც იმას ნიშნავს, რომ რეორგანიზაციის მომენტში გ. ა-ძეს არ ეკავა რაიმე კონკრეტული თანამდებობა, შესაბამისად, მას ვერც რეორგანიზაციის პროცესი შეეხებოდა.

სასამართლომ მოპასუხის მტკიცება იმის შესახებ, რომ მუშაკის წინა რიცხვით კადრების განკარგულებაში გადაყვანას მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს, არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, როცა მოპასუხე მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის თარიღს ისეთ გარემოებას უკავშირებს, რომელთანაც მას, როგორც სამინისტროს თანამშრომელს, სამართლებრივად შეხება არ ჰქონდა, ასეთი შინაარსის ადმინისტრაციული აქტი სწორედ რომ ეწინააღმდეგება «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლს, რაც მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით გამოიხატება იმაში, რომ დებულების მე-12 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, კადრების განკარგულებაში შეიძლება გადაყვანილ იქნეს ისეთი მუშაკი, რომელსაც ორგანიზაციულ-საშტატო ღონისძიებათა განხორციელების მომენტში უკავია რაიმე კონკრეტული თანამდებობა, 2004 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით კი გ. ა-ძეს არ ეკავა კონკრეტული თანამდებობა კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში, იგი ამ დროს უკანონოდ, მაგრამ მაინც იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2004 წლის 6 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სადავო საკითხის ხელახლა გამოკვლევის დავალება იმ მიზნით არ მომხდარა, რომ მოპასუხეს გ. ა-ძის კადრების განკარგულებაში გადაყვანის გარემოება უცილობლად დაეკავშირებინა 2004 წლის 30 დეკემბრის საორგანიზაციო-საშტატო ღონისძიებათა პროცესისთვის, მითითებული გადაწყვეტილება არ შეიცავს ასეთ დათქმას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინსპექტირების მთავარი სამმართველოს 2006 წლის 19 ივლისის დასკვნა იყო კანონსაწინააღმდეგო, რადგან ამ დასკვნით აქტის გამომცემ თანამდებობის პირს, შინაგან საქმეთა მინისტრს, გაეწია არასწორი, კანონშეუსაბამო რეკომენდაცია, რაც საფუძვლად არ უნდა დასდებოდა აქტის გამოცემას.

მოპასუხის მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 კ/შ ბრძანებაში არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი, გ. ა-ძე კადრების განკარგულებაში აყვანილ იქნა 2004 წლის 30 დეკემბრიდან და რომ ამით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა განხორციელდა, სასამართლომ წინააღმდეგობრივად და არასწორად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლები ითვალისწინებს ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ინსტიტუტს; 59-ე მუხლის თანახმად შესაძლებელია, ადმინისტრაციულმა ორგანომ გაასწოროს თავის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებული ტექნიკური და გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები (პირველი ნაწილი), ამავე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ნორმის ამ ნაწილთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ახალი აქტის გამოცემის გზით ძველ აქტში არსებითი შესწორების შეტანა დაკავშირებული უნდა იყოს

ტექნიკური და გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომების გასწორებასთან და სწორედ ასეთი ხასიათის შეცდომის გასწორება უნდა იწვევდეს ძველი აქტის შინაარსის არსებითად შეცვლას. გ. ა-მის მიმართ 2004 წლის 6 ნოემბერს გამოცემულ #1837 ვ/შ ბრძანებაში კი 2006 წლის 10 აგვისტოს ბრძანებით არ მომხდარა ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომის გასწორება. მოპასუხემ 2006 წლის 10 აგვისტოს ბრძანების გამოცემისას გამოიყენა 63-ე მუხლი, სასამართლოში დავის განხილვის პროცესში კი მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა ისეთ პროცედურულ ნორმაზე (59-ე მუხლზე), რომელიც მოპასუხეს სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ გამოუყენებია და ვერც გამოიყენებდა, თუნდაც იმ მოტივით, რომ ბათილად ცნობილი აქტის (2004 წლის 6 ნოემბრის #1837 ვ/შ ბრძანება) მიმართ არ უნდა გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი.

სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სასამართლომ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 15 აპრილის #1877 ვ/შ და 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 ვ/შ ბრძანებები ეწინააღმდეგება იმ სამართლებრივ ნორმებს, რომელთა საფუძველზეც გამოცემულია აღნიშნული ადმინისტრაციული აქტები.

სასამართლოს მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან დათხოვნაზე გამოცემული ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის პროცესში, მოსარჩელე აღდგენილი უნდა იქნეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

სასამართლომ მოპასუხის მტკიცება იმის შესახებ, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის თანახმად თანამშრომლის აღდგენა სამსახურში შეუძლებელია, თუ ეს სამსახური არ არსებობს, არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ 127-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ასეთ დათქმას არ შეიცავს. პირიქით, სპეციალური სახის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის, «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების 77-ე მუხლის მე-2 აზვაციის თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლის სამსახურში აღდგენა ხდება ადრე დაკავებულ ან მის თანაბარ თანამდებობაზე, დათხოვნილის თანხმობით. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 12 ივლისის #373 ბრძანება, რამაც განაპირობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს, როგორც სტრუქტურული ერთეულის, გაუქმება, მის ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #681 ბრძანებით დამტკიცდა ახალი რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო განრიგი. რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდგომ არსებული საშტატო განრიგების ანალიზი კი ცხადყოფს, რომ სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილება, როგორც სამსახური, რეორგანიზაციის დღემდე, 2004 წლის 30 დეკემბრამდე, არსებობდა ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში, იგი ერთ-ერთი სამსახურის სახით დღემდე არსებობს სამინისტროს ახალი სტრუქტურული ერთეულის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში. მხარეები ასევე სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ 2004 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილებაში მანამდე არსებული შტატები (ინსპექტორის შტატი) შემცირდა ექვსი ერთეულიდან ერთ ერთეულამდე, მაგრამ არ გაუქმებულა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 77-ე მუხლის საფუძველზე გ. ა-მ აღდგენილ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე.

სასამართლოს მითითებით, გ. ა-მის სამსახურში აღდგენის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს მისი ასაკი და შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელთა ასაკობრივი შეზღუდვის ის პროცესები, რაც «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 61-ე მუხლითაა გათვალისწინებული, კერძოდ, საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე დაბადებულია 1948 წლის 7 ივლისს, არის 58 წლის, დებულების 61-ე მუხლის 1-ლი აზვაციის «ბ» პუნქტით დადგენილია, რომ შს ორგანოების თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სპეციალური წოდებები, შეუძლიათ იმსახურონ შს ორგანოებში შემდეგი ასაკის მიღწევამდე: პოლიციის მაიორი, პოლიციის პოლკოვნიკი - 55 წელი (თადარიგი), 60 წელი - გადადგომით; იმავე მუხლის მე-3 აზვაციით დადგენილია, რომ სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, დადებითი ატესტაციისა და დადებითი სამედიცინო დასკვნისას, შს მინისტრის ნებართვით, პოლიციის პოლკოვნიკის სპეცწოდების მქონე შს ორგანოს თანამშრომელს, მისი თანხმობით, შეიძლება გაუგრძელდეს სამსახურის ვადა განსაზღვრულ ასაკს ზევით ხუთ წლამდე. 2004 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით, ანუ იმ დროიდან, როცა მოსარჩელე გათავისუფლებულ იქნა

დაკავებული თანამდებობიდან, მიღწეული იყო 56 წლის ასაკს. ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ ზღვრული ასაკის მიღწევის მიუხედავად, მოსარჩელე არ დაუთხოვიათ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და მხარეებს შორის გაგრძელდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 61-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ თანამშრომელთან მიმართებაში თავად გადაწყვეტოს თანამშრომლისათვის სამსახურის ვადის გაგრძელების საკითხი, სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ლ» პუნქტის თანახმად, წარმოადგენს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რაც უსაფუძვლოდ იქნება შეზღუდული, თუ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ასაკის გამო ეტყვის უარს.

სასამართლოს მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ ასევე უნდა დაკმაყოფილდეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2004 წლის 2 ნოემბრიდან მოსარჩელის სამსახურში აღდგენის დღემდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შს სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით შს სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანება, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შემდგომ გამოეცა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტირების მთავარმა სამმართველომ სრულყოფილად შეისწავლა გ. ა-ძის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხი და გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შს მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანებით, შს სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, გაუქმდა ყველა თანამდებობა, ხოლო თანამშრომლები აყვანილ იქნენ შს სამინისტროს კადრების განკარგულებაში. ინსპექტირების მთავარმა სამმართველომ დაავალა კადრების მთავარ სამმართველოს მოემზადებინა შესაბამისი ბრძანება გ. ა-ძის კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ 2004 წლის 30 დეკემბრიდან, რასაც საფუძვლად დაედო შს მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანება, ხოლო შს მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება ძალაში დატოვა. შს სამინისტროს კადრების მთავარმა სამმართველომ 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანებით არსებითი ცვლილება შეიტანა შს მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებაში, რასაც საფუძვლად დაედო შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანება (შს სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ) და გ. ა-ძე აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2004 წლის 30 დეკემბრიდან, რითაც განხორციელდა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. კასატორი მიუთითებდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად: «ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას». რაც შეეხება მოსარჩელის წინა რიცხვით კადრების განკარგულებაში აყვანას, აღნიშნულის განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის შესაბამისად. გ. ა-ძე ზემოთ აღნიშნული ბრძანებით დათხოვნილია «შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 67-ე მუხლის «ვ» და 65-ე მუხლის «გ» პუნქტებით (შტატების შემცირებით). კასატორის აღნიშვნით, მან სასამართლოს წარუდგინა ძველი და ახალი სამშტატო ნუსხები, რაც ადასტურებდა, რომ შსს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილებაში გაუქმდა ყველა თანამდებობა, გ. ა-ძეს ეკავა ინსპექტორის თანამდებობა, ძველი სამშტატო ნუსხის მიხედვით ქვეგანყოფილებაში იყო ინსპექტორის 6 შტატი, ხოლო ახალ სამშტატო ნუსხაში დაშვებულია ინსპექტორის მხოლოდ ერთი შტატი, რაც ადასტურებდა, რომ შემცირდა მთლიანად შტატები და მათ შორის ის თანამდებობაც, სადაც მუშაობდა გ. ა-ძე.

კასატორი ასევე მიუთითებდა, რომ შს სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო გაუქმდა 2004 წლის 30 დეკემბერს, შს მინისტრის #039 ბრძანების შესაბამისად. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული სამსახური აღარ ფუნქციონირებს. «საჯარო სამსახურის

შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის თანახმად, თანამშრომლის აღდგენა შეუძლებელია, თუკი ეს სამსახური არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შს სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი გარემოებები:

შს მინისტრის 2004 წლის 06 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებით პროცესუალური მოწინააღმდეგე პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გ. ა-მე გათავისუფლდა შსს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილების ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში 2004 წლის 2 ნოემბრიდან. მითითებულ ბრძანებას საფუძვლად დაედო შსს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის შს 01.11.04 წ. #42/2057 წერილი და გ. ა-მის პატიაკი.

ზემოაღნიშნული ბრძანება სასარჩელო წესით გაასაჩივრა გ. ა-მემ და სარჩელის საფუძველზე მოითხოვა ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით, გ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი შს მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანება და შს სამინისტროს დაევალა, მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

2005 წლის 15 აპრილს, საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში, შს მინისტრის მიერ მიღებულ იქნა #1877 პ/შ ბრძანება გ. ა-მის შს სამინისტროდან დათხოვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შს სამინისტროს ინსპექტირების მთავარი სამმართველოს დისციპლინური პრაქტიკის მონიტორინგის განყოფილების მიერ 2006 წლის 19 ივლისს შედგა დასკვნა, რომლის საფუძველზეც კადრების მთავარ სამმართველოს დაევალა შესაბამისი ბრძანების მომზადება გ. ა-მის კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ 2004 წლის 30 დეკემბრიდან, რასაც საფუძვლად დაედო შს მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანება. იმავე დასკვნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა შს მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანების ძალაში დატოვება.

აღნიშნული დასკვნის საფუძველზე შს მინისტრის 2006 წლის 10 აგვისტოს #5368 პ/შ ბრძანებით, შეტანილ იქნა ცვლილება შს მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 პ/შ ბრძანებაში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ გ. ა-მის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შსს კადრების და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში აყვანის ნაწილში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გ. ა-მე გათავისუფლდეს შსს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილების ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს შსს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში 2004 წლის 30 დეკემბრიდან».

სასამართლოებმა გ. ა-მის სარჩელის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, შსს მინისტრის 15.04.2005 წლის #18773/შ და იმავე მინისტრის 10.08.2006 წლის #5368პ/შ ბრძანებები, მიღებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რა მოტივითაც მითითებული ბრძანებები ცნობილ იქნა ბათილად.

კასატორი შს სამინისტრო არ ეთანხმება აღნიშნული ბრძანებების ბათილად ცნობას და საკასაციო საჩივრის საფუძველზე ითხოვს გ. ა-მის სარჩელის უარყოფას.

საკასაციო სასამართლომ კასატორის მოთხოვნის საფუძველზე შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი არ აქვს კანონის არსაწორ გამოყენებასა თუ მის მცდარ განმარტებას, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი.

გარდა იმისა, რომ საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას შს მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანების «შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, იმავდროულად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული ბრძანების მიღებით არსებითად დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც, სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება განიხილოს რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ. საგულისხმოა, რომ შს მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 პ/შ ბრძანება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

მიღებული და გამოცემულია იმ პირობებში, როდესაც გ. ა-მე სადავოდ ხდიდა შსს მინისტრის 2004 წლის 06 ნოემბრის #18373/შ ბრძანებას დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის თაობაზე და სასარჩელის საფუძველზე ითხოვდა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოში დასრულებული არ იყო დავა გ. ა-მის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი საქმის სასამართლო წარმოების პროცესში მიეღო ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც ფაქტობრივად წყვეტდა მხარეთა შორის წარმოშობილ დავას და ფიქციად აქცევდა სასამართლო გადაწყვეტილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნის მართებულობას შსს მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #1877 კ/შ ბრძანების კანონშესაბამობის თაობაზე და თვლის, რომ არ არსებობს ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შსს მინისტრის 10.08.2006 წლის #53683/შ ბრძანების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე და თვლის, რომ მითითებული აქტის შეფასებისას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი არ აქვს კანონის მცდარ განმარტებას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობისა და მისი ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველებს. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ბათილი აქტი, მითითებული მუხლის საფუძველზე, გამოცემის დღიდანვე მიიჩნევა უკანონოდ, ხოლო რაც შეეხება სასამართლოს, ის მხოლოდ ახდენს ამ რეალობის სამართლებრივ გაფორმებას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივი აქტი არ არსებობს და მას სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება. როგორც აღინიშნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი შსს მინისტრის 2004 წლის 6 ნოემბრის #1837 კ/შ ბრძანება, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მიერ სადავო ბრძანება გამოცემის მომენტიდან მიჩნეულია სამართლებრივი შედეგის არმქონედ და ბუნებრივია, მასში ცვლილებები ვერ განხორციელდება.

რაც შეეხება კასატორის მხრიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლზე მითითებას, საკასაციო სასამართლო განმარტავს: მითითებული მუხლის მიზანს წარმოადგენს, მისცეს ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობა მის მიერვე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს დაშვებული შეცდომა, რაც თავისთავად არ ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, აქტში შესწორების შეტანის გზით, სიცოცხლისუნარიანად აქციოს სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი აქტი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ ზემოაღნიშნულ მუხლზე მითითება მისი მხრიდან ემყარება ნორმის არასწორ განმარტებას და გაზიარებული ვერ იქნება.

რაც შეეხება გ. ა-მის სამსახურში აღდგენის საკითხს, საკასაციო სასამართლო არსებით ხაზგასმას აკეთებს შემდეგ გარემოებაზე: საქმის არსებითად განმხილველმა სასამართლოებმა დადგინებულად მიიჩნიეს, რომ მას შემდეგ, რაც შსს მინისტრის 2004 წლის 30 დეკემბრის #039 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შსს მინისტრის 2004 წლის 12 ივლისის #373 ბრძანება, რამაც განაპირობა შსს სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს, როგორც სტრუქტურული ერთეულის გაუქმება, მის ნაცვლად შსს მინისტრის 30.12.04 წლის #681 ბრძანებით დამტკიცდა ახალი, რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულის - შსს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო განრიგი. რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდგომ არსებულ განრიგზე დაყრდნობით, სასამართლოებმა დადგინებულად მიიჩნიეს, რომ სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ქვეგანყოფილება, როგორც სამსახური, რეორგანიზაციის დღემდე (30.12.04 წ.) არსებობდა ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში და იგი, ერთ-ერთი სამსახურის სახით დღემდე არსებობს სამინისტროს ახალი სტრუქტურული ერთეულის - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში, რაც იქცა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის საფუძველად. კასატორი შსს სამინისტრო, მართალია, სადავოდ ხდის გ. ა-მის შსს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, მაგრამ არ წარმოადგენს დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიას ზემოაღნიშნული სამსახურების ფუნქციური იდენტურობის არარსებობის თაობაზე, რაც საკასაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ართმევს პროცესუალურ შესაძლებლობას დამატებითი კვლევის საგნად აქციოს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება და თვლის, რომ კასატორის პრეტენზია გ. ა-მის სამსახურში აღდგენის ნაწილში დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში წარმოდგენილი არ არის საკასაციო პრეტენზიის გაზიარების პროცესუალური წინამძღვრები.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება მიიღო ნორმის სწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შს სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. წელთა ნამსახურების მიხედვით სახელფასო დანამატის ანაზღაურება

**გადაწყვეტილება*
საქართველოს სახელით**

#ბს-643-612(კ-07)

16 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: წელთა ნამსახურობის გადაანგარიშების დავალება, სწავლის პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ლ-იამ 10.05.06 წ. სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს მიმართ და მოპასუხისთვის წელთა ნამსახურობის გადაანგარიშების დავალება მოითხოვა.

სარჩელში მითითებულია, რომ 1982 წელს მოსარჩელემ დაამთავრა ქ. ბათუმის #2 სკოლა-ინტერნატი და იმავე წელს სწავლა განაგრძო, ჯერ ბათუმის #105 ტექნიკურ სასწავლებელში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ - 1983 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 02.07.91 წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს, კერძოდ, 1984-1986 წწ. მოსარჩელე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. უმაღლესი სასწავლების დამთავრებისთანავე, 25.11.91 წ.-ს, მუშაობა დაიწყო აჭარის ა/რ შს სამინისტროში ინსპექტორის თანამდებობაზე, ლეიტენანტის წოდებით, სადაც მუშაობდა 2005 წლის 1 იანვრამდე. 03.04.06 წ. მოსარჩელემ წერილით მიმართა აჭარის შს მთავარ სამმართველოს, რათა მოეხდინათ მისი შინაგან საქმეთა ორგანოებში წელთა ნამსახურობის დაანგარიშება. აჭარის ა/რ შს სამმართველოს 12.04.06 წ. წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ ის ვერ აკმაყოფილებდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა შესახებ» საქართველოს კანონის 11 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნას. მოსარჩელის მოსაზრებით, აჭარის ა/რ შს სამმართველოს წერილი, რომლითაც მას ეცნობა, რომ ვერ აკმაყოფილებდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა შესახებ» საქართველოს კანონის 11 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნებს, არის უკანონო, რამდენადაც წელთა ნამსახურობის გადაანგარიშებისას არ იქნა გათვალისწინებული მოსარჩელის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი, მოპასუხემ არ გაითვალისწინა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა შესახებ» საქართველოს კანონის 16.1. და 16.2. მუხლების მოთხოვნები.

მოპასუხე აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებმა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე არ ცნეს ვ. ლ-იას სარჩელი და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.06.05 წ. გადაწყვეტილებით ვ. ლ-იას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-იამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.06 წ. გადაწყვეტილებით ვ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 13.06.06 წ. გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ლ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; აჭარის ა/რ შს მთავარ სამმართველოს

დაევალა ვ. ლ-იას წელთა ნამსახურობის გადაანგარიშება «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე ითხოვდა აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს დავალდებულებას გაეანგარიშებია მისი ნამსახურობის ვადა და არა სასამართლოს მიერ სტაჟის გამოთვლას.

სააპელაციო სასამართლოს 13.09.06 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-იამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 13.02.07 წ. განჩინებით ვ. ლ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.06 წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება სააპელაციო სასამართლოს დასკვნის დაუსაბუთებლობის თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სარჩელი, რომ ფაქტობრივად არ უმსჯელია მოთხოვნის საფუძველზე, ამ ვითარებაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ლ-იას სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება თავისთავად შეუძლებელი იყო იმ გარემოების დადასტურების გარეშე, უნდა ჩაეთვალოს თუ არა მოსარჩელეს სწავლის პერიოდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სავალდებულო სამხედრო სამსახური ნამსახურობის ვადაში. ამდენად, სასამართლოს მიერ სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გამოკვლევის, შეფასებისა და დასკვნის გარეშე დავის გადაწყვეტამ, უფლების რეალური დაცვის გარეშე, განაპირობა ფორმალურად მოგებული მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.05.07 წ. გადაწყვეტილებით ვ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.06.06 წ. გადაწყვეტილება; ვ. ლ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა და მას წელთა ნამსახურობის სტაჟში ჩაეთვალა ქ. ბათუმის #105 ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის 6 თვე და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის 6 წელი, სულ - 6 წელი და 6 თვე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ლ-იამ 03.04.06 წ. განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს და მოითხოვა მიეცათ მისთვის საპენსიო გაანგარიშება. აღნიშნულ განცხადებაზე 12.04.06 წ. გაიცა პასუხი იმის თაობაზე, რომ «სამხედრო, შს ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნულ მოსამსახურეებს სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათხოვნის დღისთვის აქვთ ნამსახური 20 ან 20-ზე მეტი კალენდარული წელი. ვ. ლ-იას სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს დავალდებულება მოეხდინათ მისი ნამსახურობის ვადის გაანგარიშება «სამხედრო, შს ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვ. ლ-იას წელთა ნამსახურობის გადაანგარიშებისას არ იქნა გათვალისწინებული მოსარჩელის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისა და სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დროს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 ან 20-ზე მეტი კალენდარული წელი. ამავე კანონის მე-16 მუხლი ადგენს წელთა ნამსახურობის გადაანგარიშების წესს, კერძოდ, 16.2 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაეთვალოს სამხედრო სამსახურში ან შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურის ორგანოებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი, ამასთან 6 წლის ზემოთ სწავლის ერთი წელი ჩაეთვლება 6 თვედ. ვ. ლ-იას სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს დავალდებულება მოეხდინათ მისი ნამსახურობის ვადის გაანგარიშება «სამხედრო, შს ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის საფუძველს წარმოადგენს წელთა ნამსახურობის არასწორი დაანგარიშება, კერძოდ, სწავლისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის პერიოდის ჩათვლელობა, რაც თავისთავად წარმოადგენს სარჩელის ობიექტს. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ლ-იას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა 6 წელი და ბათუმის #105 სპეციალურ სასწავლებელში 1 წელი, რის გამოც «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვ. ლ-იას წელთა ნამსახურობაში უნდა ჩათვლიდა 6 წელი და 6 თვე. რაც შეეხებოდა სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდს, ის უკვე ჩათვლილი იყო მოპასუხის მიერ, ხოლო მოპასუხე მხარის მითითება

აღნიშნული კანონის მე-11 მუხლზე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, თუ ვის და რა შემთხვევაში ენიშნება წელთა ნამსახურის გამო პენსია, სარჩელის საგანი კი იყო არა პენსიის დანიშვნა, არამედ წელთა ნამსახურობის გაანგარიშება, რომელიც რეგულირდება ამავე კანონის მე-16.2 მუხლით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ წელთა ნამსახურობაში მხოლოდ შს აკადემიაში, ანუ ამ სისტემის სასწავლებელში სწავლა ითვლება, ვინაიდან მე-16.2 მუხლში აღნიშნულია, რომ წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩათვალოს სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი. აღნიშნულ ნორმამ არ არის მითითებული შს ან სამხედრო სასწავლებლებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.05.07 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შსს აჭარის ა/რ მთავარმა სამმართველომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ლ-იასათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია სარჩელის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რომელთა იურიდიულად დასაბუთების შედეგად სასამართლოს შეეძლო კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. ამასთან, არ გამოიყენა «სამხედრო, შს ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-4 პუნქტები და მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტი, რომლებიც კონკრეტულად არეგულირებდა დავის საგანთან დაკავშირებით წარმომოხილ ურთიერთობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, ვ. ლ-იას წელთა ნამსახურობა მისი შს ორგანოებში ბრძანებით დანიშვნის დღიდან ბრძანებით დათხოვნამდე შეადგენს 14 წელს, 9 თვესა და 6 დღეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 16.07.07 წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე მოსაზრება წარმოადგინა ვ. ლ-იამ, რომელმაც საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 05.12.07 წ. განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. სასკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმე განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შსს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.05.07 წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. ლ-ია სასარჩელო განცხადებით ითხოვს აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი ნამსახურების ვადის გაანგარიშებას სწავლის პერიოდის გათვალისწინებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ ვ. ლ-ია 1982-1983 წლებში სწავლობდა ბათუმის #105 სპეციალურ სასწავლებელში, 1983-91 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, აქედან 1984-86 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

«სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლი ადგენს ამ კანონით გათვალისწინებულ სუბიექტთა უფლებას მიიღონ პენსია წელთა ნამსახურებისათვის, ხოლო წელთა ნამსახურობის პენსიის განმსაზღვრელი პირობა მოცემულია ამავე კანონის მე-11 მუხლში. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პენსიის დანიშვნას ამ კანონით გათვალისწინებულ იმ პირთათვის, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობა 20 და მეტი კალენდარული წელი (მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტი). საკასაციო პალატა თვლის, რომ მე-16 მუხლის სწორი განმარტებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ მუხლით მოცული იმ ნორმის შინაარსს, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს წელთა ნამსახურობის გამოანგარიშების წესს. ასეთ ნორმას საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვ. ლ-იას წელთა ნამსახურობა სამსახურში ჩარიცხვიდან თადარიგში ჩარიცხვის დღემდე არ შეადგენს კანონით გათვალისწინებულ 20 წელს. რაც შეეხება სამხედრო სამსახურში ჩარიცხვამდე სასწავლებელში სწავლის პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლის შესაძლებლობის საკითხს, რომელზე მითითებასაც შეიცავს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, საკასაციო სასამართლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის განმარტებიდან გამომდინარე, თვლის, რომ სწავლის პერიოდის წელთა

ნამსახურობაში ჩათვლას მნიშვნელობა ენიჭება არა პენსიის დანიშვნის, არამედ პენსიაზე დანამატების დანიშვნისათვის (ხსენებული კანონის მე-12 მუხ., «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონის მე-8 მუხ.). სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა გათვალისწინებული «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება ასევე ამჟამად არსებულ სასამართლო პრაქტიკას (იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.02.07წ. #ბს-576-548(კ-07) განჩინება). საქმეში დაცულია ვ. ლ-იას შრომის წიგნაკის ასლი, რომლითაც დასტურდება, რომ ვ. ლ-ია აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა 1991 წლის 25 ნოემბრიდან 2004 წლის 12 ნოემბრამდე. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 123-ე მუხლის შესაბამისად «სამსახურის სტაჟი დასტურდება შრომის წიგნაკში ჩაწერით, აგრეთვე დაწესებულების მიერ სათანადოდ გაფორმებული სხვა საბუთებით». ამავე კანონის 121-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის სტაჟი შეიცავს სწავლის პერიოდს, თუ პირი გაგზავნილი იყო სასწავლებლად დაწესებულების მიერ ან უკვე ჰქონდა სამსახურის სტაჟი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ვ. ლ-ია დაწესებულების მიერ იყო გაგზავნილი სასწავლებლად, იგი სწავლის პერიოდში 1984-1986 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, რაც მოპასუხის მიერ ჩათვლილ იქნა ნამსახურებ სტაჟში.

ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06 წ. #46/5 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის» 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, პირის მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე მუშაობა ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟად, ამასთან საერთო შრომით სტაჟში ჩაითვლება სწავლის პერიოდი იმ შემთხვევაში, თუ პირი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვამდე ეწეოდა შრომით საქმიანობას და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. ლ-იამ მხოლოდ 25.11.1991 წ. დაიწყო შრომითი საქმიანობა აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროში და სწორედ ამ დროიდან უნდა მოხდეს მისი შრომითი სტაჟის ათვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა წელთა ნამსახურობის სტაჟში ქ. ბათუმის #105 ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის 6 თვის და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლების 6 წლის, სულ 6 წლისა და 6 თვის ვ. ლ-იას წელთა ნამსახურობის სტაჟში ჩათვლის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ვ. ლ-იას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.05.07 წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წელთა ნამსახურების მიხედვით სახელფასო დანამატის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-956-917 (კ-07) 1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: წელთა ნამსახურობის მიხედვით თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. დ-იამ, თ. მ-ძემ, თ. ე-აიამ, ა. წ-ავამ, ა. გ-ძემ, ო. ა-ძემ, მ. მ-ძემ, მ. გ-შვილმა და ბ. ხ-ძემ სარჩელი აღძრეს მოპასუხე ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ და ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს, დაწესებულების ლიკვიდაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლების გამო კომპენსაციისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების ვადის ყოველი გადაცილებული დღისათვის ხელფასის ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ მუშაობდნენ ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტში, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მთავრობის 22.04.05 წ. #76-ე დადგენილების საფუძველზე. მოსარჩელები სამსახურიდან გათავისუფლდნენ ენერგეტიკის მინისტრის 28.04.05 #116კ, #121კ, #117კ, #111კ, #149კ, #157კ, #120კ, #158კ ბრძანებებით. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ეკუთვნით წელთა ნამსახურების დანამატის ანაზღაურება და დაწესებულების ლიკვიდაციის საფუძველზე გათავისუფლების გამო კომპენსაციის გადახდა 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. მოსარჩელები განმარტებით, ისინი გათავისუფლების შესახებ სათანადო წესით არ ყოფილან გაფრთხილებული კანონით დადგენილი ერთი თვის ვადაში, რის გამოც, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის თანახმად, უნდა აუნაზღაურდეთ ხელფასი გაფრთხილების ვადის ყოველი გადაცილებული დღისათვის. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათ შესაბამისი განცხადებით მიმართეს ენერგეტიკის სამინისტროს, რომელმაც უარი განაცხადა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მათი გათავისუფლების პერიოდისათვის «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 109-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება შეჩერებული იყო.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას ერთ-ერთმა მოსარჩელემ - ა. გ-ძემ სარჩელზე უარი განაცხადა, რის შედეგადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.07 წ. განჩინებით საქმის წარმოება ა. გ-ძის მოთხოვნის ნაწილში წარმოებით შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.02.07 წ. გადაწყვეტილებით მ. დ-იას, თ. მ-ძის, თ. ე-აიას, ა. წ-ავას, ო. ა-ძის, მ. მ-ძის, მ. გ-შვილის და ბ. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა მოსარჩელების სასარგებლოდ 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება თითოეული მოსარჩელის თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, აგრეთვე მოსარჩელეთათვის ნამსახურობის წლების დანამატის ანაზღაურება თითოეული მოსარჩელის ნამსახურევი წლების გათვალისწინებით, ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა მოსარჩელებისათვის 9 დღის ვადაგადაცილებული ხელფასის ანაზღაურება თითოეული მოსარჩელის ხელფასის გათვალისწინებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე» 29.12.04 წ. კანონის თანახმად «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 109-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. მითითებული ცვლილება არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05 წ. გადაწყვეტილებით. ნორმა ძალადაკარგულად ჩაითვალა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ხოლო მისი აღსრულების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2006 წლის 1 იანვარი. ამგვარად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლების დროისათვის - 28.04.05 წ. მოქმედებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა წელთა ნამსახურობისათვის სახელფასო დანამატსა და გათავისუფლებისას კომპენსაციას და შესაბამისად, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები არ ყოფილან გაფრთხილებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთი თვის ვადაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულის შესახებ მათ შეიტყვეს «ენერგეტიკის შესახებ» კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე» 22.03.05 წ. კანონის გამოქვეყნებიდან, რომლითაც საქართველოს მთავრობას დაევალა კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყო ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ლიკვიდაცია. კანონი გამოქვეყნდა 12.04.05 წ., ხოლო მოსარჩელები სამსახურიდან გათავისუფლდნენ 03.05.05 წ., შესაბამისად, მათ გაფრთხილების ვადის გადაცილებისათვის, უნდა ანაზღაურობოდათ 9 დღის ხელფასი.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.07.07 წ. განჩინებით ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.02.07 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა

და არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 109-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოქმედება შეჩერებული იყო 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05 წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გადაწყვეტილების აღსრულების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2006 წლის 1 იანვარი. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე» 23.12.05 წ. კანონით «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის შეჩერებული მუხლები ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და ძალაში 01.01.06 წ. შევიდა. კასატორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების ვადის გადაცილებისათვის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც და აღნიშნავს, რომ მოსარჩელები ზეპირი ფორმით გაფრთხილებული იყვნენ მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რაც საკმარისად უნდა ჩაითვალოს, რადგან კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული გაფრთხილების სპეციალური ფორმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 14.02.08 წ. განჩინებით ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნამსახურევი წლების გათვალისწინებით მოსარჩელეთათვის სახელფასო დანამატის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო საჩივარი მოსარჩელებისათვის 2 თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაციისა და 9 დღის ვადაგადაცილებული ხელფასის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ამ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 09.07.2007 განჩინება მოსარჩელეთა სასარგებლოდ წელთა ნამსახურობის მიხედვით სახელფასო დანამატის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტში, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა «ენერგეტიკის შესახებ» საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე» 22.03.05 წ. კანონის და საქართველოს მთავრობის 22.04.05 წ., #76-ე დადგენილების საფუძველზე. მოსარჩელები სამსახურიდან გათავისუფლდნენ ენერგეტიკის მინისტრის 28.04.05 #111კ, #116კ, #117კ, #120კ, #121კ, #149კ, #157კ, #158კ ბრძანებებით.

სააპელაციო სასამართლომ წელთა ნამსახურობის მიხედვით სახელფასო დანამატის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისას მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც მოსარჩელეთა გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციით ადგენდა, რომ, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გარდა მოსამსახურეს ეძლეოდა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით: 5 წლამდე - 10%, 5-დან 10-წლამდე - 20%, 10-დან 15-წლამდე - 25%, 15 წელი და მეტი - 30%.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის თანახმად, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით, მოპასუხეს - ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა მოსარჩელებისათვის წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება, თითოეული მოსარჩელის ნამსახურევი წლების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის საგანი წელთა ნამსახურობის მიხედვით სახელფასო დანამატის ანაზღაურების ნაწილში დასაზუსტებელი იყო, კერძოდ, არც სასარჩელო განცხადებაში და არც განხილვის პროცესში მოსარჩელებს არ დაუზუსტებიათ, თუ დროის რა პერიოდს ეხებოდა წელთა ნამსახურობის მიხედვით სახელფასო დანამატის ანაზღაურების მოთხოვნა, გაურკვეველია, აგრეთვე, თითოეული მოსარჩელის ნამსახურევი წლები და შესაბამისად ის, თუ რა პროცენტული განაკვეთებით მოითხოვეს მოსარჩელებმა თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა დაეზუსტებინა თითოეული მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში, დაედგინა თითოეული მოსარჩელის თანამდებობრივი განაკვეთი, დანამატის პროცენტული ოდენობა, რომელსაც მოითხოვდნენ მოსარჩელები, შრომის წიგნაკებიდან ამონაწერების გამოკვლევის შედეგად უნდა დადგენილიყო მოთხოვნათა შესაბამისობა ნამსახურევი წელთა ოდენობაზე დადგენილ პროცენტულ განაკვეთთან. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების, დავის გადასაწყვეტად საჭირო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ იყო შესაძლებელი მსჯელობა მოსარჩელებისათვის «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წელთა ნამსახურობის დანამატი თანხების ენერგეტიკის სამინისტროსათვის დაკისრების სამართლებრივ ასპექტებზე (სსკ-ის 244-ე მუხ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ საჭიროა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს ქმნის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.07.07წ. განჩინება მოსარჩევეების - მ. დ-ის, თ. მ-ძის, თ. ე-აიას, ა. წ-ავას, ო. ა-ძის, მ. მ-ძის, მ. გ-შვილის, ბ. ხ-ძის სასარგებლოდ წელთა ნამსახურობის მიხედვით სახელფასო დანამატის ენერგეტიკის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის (დისციპლინური გადაცდომის) გამო

განჩინება

#ბს-729-695(კ-07) 21 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 4 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ლ-ძემ მოპასუხე აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #74 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნ. ლ-ძემ მუშაობდა აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად. აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #74 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან. სადავო ბრძანებაში სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველად მითითებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტი და 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი. დასახელებული 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უზეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

მოსარჩელე სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანებას უკანონოდ მიიჩნევს და განმარტავს, რომ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტში თანამშრომელთა შორის თანამდებობრივი უფლებამოსილებები და ფუნქციები შესაბამისი ბრძანებით არ ყოფილა განაწილებული. მოსარჩელეს მეურვეობისა და მზრუნველობის, ასევე შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა არ ევალებოდა. აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა მეურვეობისა და მზრუნველობის, შვილად აყვანის საკითხთა შემსწავლელი კომისიები, რომელთაც დაევალებათ ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შვილად აყვანასა და მეურვეობა-მზრუნველობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია, საკითხების შესწავლა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი წესით, შესაბამისი დასკვნების მომზადება. მოსარჩელე, რომელიც აღნიშნული კომისიის წევრს წარმოადგენდა, მასზე დაკისრებულ მოვალეობას ჯეროვნად ასრულებდა, მისი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა.

ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტში შესული ინფორმაციის საფუძველზე წარმოებდა ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რეესტრი, რომელიც, თავის მხრივ, კომისიას აწვდიდა შესულ კორესპონდენციებს. შემდეგ ხდებოდა აღნიშნული საკითხების საჯაროდ განხილვა, შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. შვილად აყვანასთან

დაკავშირებული საკითხები, თავისი სირთულისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით, უშუალოდ კომისიის მიერ განიხილებოდა. აქედან გამომდინარე, ნ. ლ-მე, როგორც კომისიის რიგითი წევრი, არაუფლებამოსილი იყო, ზემომითითებული საკითხები პერსონალურად შეესწავლა და გადაეწყვიტა.

მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში მოყვანილი ფაქტებიდან, რომლებშიც, ადმინისტრაციის მითითებით, ნ. ლ-მის ბრალეულობა იკვეთებოდა, ერთ-ერთს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შპს «ბავშვთა სავანეს» დირექტორის მიერ 2006 წლის 11 აპრილს #933 კორესპონდენციით წარდგენილ იქნა იმ ბავშვთა ჩამონათვალი, რომელთა მშობლებმაც თანხმობა განაცხადეს ბავშვების გაშვილებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ბრძანებაშია მითითებული, ნ. ლ-მის მიერ ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა, რაც გამოიხატებოდა ბავშვის ყოფითი და სოციალური პირობების შეუსწავლელობაში. ამის საწინააღმდეგოდ, სარჩელში მითითებულია, რომ დასახელებული საკითხი განხილულ იქნა შვილად აყვანის საკითხთა შემსწავლელი კომისიის მიერ. კომისიის წევრების მხრიდან არაერთხელ დაისვა საკითხი, რათა მათ მინიჭებოდათ ბავშვთა სახლის მონიტორინგის, ასევე გასაშვილებელი ბავშვების დიაგნოზის გადამოწმების (შპს «ბავშვთა სავანეს» მიერ მიწოდებული ინფორმაციით გასაშვილებელი ბავშვების უმრავლესობას მიმე დიაგნოზი ჰქონდა დასმული), ფოტოფიქსაციისა და პირადი საქმეების გამოთხოვის უფლება, თუმცა აღნიშნულზე მათ უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ შპს «ბავშვთა სავანე» არ წარმოადგენდა აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებას და სარგებლობდა ავტონომიური სტატუსით.

სადავო ბრძანების მიხედვით, ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ნ. ლ-მის მიერ დაირღვა «მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღრიცხვის წესის» საქართველოს განათლების სამინისტროს 1998 წლის 15 იანვრის #04 ბრძანების მეორე მუხლის მეოთხე პუნქტის მოთხოვნა, თუმცა მოსარჩელის მითითებით, დასახელებული მუხლი ითვალისწინებს არა ბავშვთა დაწესებულებებში მყოფი ბავშვების უფლებების უზრუნველყოფასა და ინტერესების დაცვას მათი განთავსების საკითხის მოგვარებამდე, არამედ ამ დაწესებულების გარეთ დაფიქსირებულ, მიტოვებულ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინტერესების და უფლებების დაცვას და მათ განთავსებას. ბავშვთა დაწესებულებაში მყოფი ბავშვები შემდგომ განთავსებას არ საჭიროებენ და შესაბამისად, ეს საკითხი არც შეიძლება განხილულიყო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ. ამასთან, მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გასაშვილებელ ბავშვთა შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის შპს «ბავშვთა სავანეს» მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ სამ ბავშვს განუსაზღვრა ობოლი და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვის (გასაშვილებელი) სტატუსი და კანონით გათვალისწინებულ 3 თვის ვადაში განახორციელა შვილად აყვანასთან დაკავშირებული პროცედურები. აქედან გამომდინარე, მითითება იმის შესახებ, რომ ამ კუთხით ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა, უსაფუძვლოა.

რაც შეეხებოდა უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ვიზირების გარეშე ხელმოსაწერად წარდგენილ რიგ კორესპონდენციებს, ამასთან დაკავშირებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მითითებული კორესპონდენციები აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებული კომისიის სხდომაზე განხილული და შესწავლილი იქნა და მას ხელს აწერდა უფლებამოსილი თანამდებობის პირი - კომისიის თავმჯდომარე. ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდა დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც თავადაც წარმოადგენდა კომისიის წევრს. შესაბამისად, კომისიის მიერ მრავალჯერ განხილული და ხელმოწერილი დოკუმენტის დამატებითი ვიზირების საჭიროება არ არსებობდა და აღნიშნულს იმპერატიულად არც «საქმისწარმოების ერთიანი წესების» დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულების 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი ითვალისწინებდა.

გარდა ამისა, მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებული ბრძანება გამოიცა მისი ავადმყოფობის პერიოდში, კერძოდ, იმ დროს, როცა იგი საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა და სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობას გადიოდა, რაც ასევე ბრძანების გაუქმების საფუძველია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ლ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, მათ შორის, სამსახურიდან გათავისუფლება. ამავე კანონის 99-ე მუხლის მიხედვით, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. სწორედ აღნიშნული კანონის მოთხოვნები იქნა გამოყენებული მოპასუხე ორგანიზაციის მიერ მოსარჩელის გათავისუფლების დროს. ამასთან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. ლ-მის მიმართ 2006 წლის 22 თებერვლის #52 ბრძანებით უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა, რაც იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მოხელე სამსახურში მიღების უფლების მქონე პირს მოხელე გაეთავისუფლებინა სამუშაოდან განმეორებით სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის.

ნ. ლ-ის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევებთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით და გასაჩივრებული ბრძანებით სკეპტიკურად დასაბუთებულად იყო აღწერილი ნ. ლ-ის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის ფაქტები.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ იგი 2006 წლის 4 სექტემბერს იმყოფებოდა სავადმყოფო ფურცელზე და ამიტომ დაუშვებელი იყო მისი სამუშაოდან გათავისუფლება, რამდენადაც აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია, ხოლო საქმეში არსებული მოხსენებითი ბარათებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელე სავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემდეგ - 2006 წლის 24 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე, ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ადმინისტრაციულ აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტი ბათილია, თუ იგი კანონს ეწინააღმდეგება ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

რამდენადაც გასაჩივრებული ბრძანება მიღებულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგი საფუძველებით:

ნ. ლ-მე აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის #363 ბრძანებით დაინიშნა ამავე სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირების, ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისა და რეესტრის წარმოების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. დაკისრებულ მოვალეობებს იგი ჯეროვნად ასრულებდა. ხელმძღვანელობის მხრიდან შენიშვნა არ მიუღია.

აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #89 ბრძანებით შეიქმნა შვილად აყვანის, ხოლო 2006 წლის 19 აპრილის #167 ბრძანებით - მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხთა შემსწავლელი კომისიები, რომლის თავმჯდომარედაც მინისტრის პირველი მოადგილე დაინიშნა, ხოლო კომისიების შემადგენლობაში შევიდნენ სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, მათ შორის, მოსარჩელე.

ზემოაღნიშნულ კომისიას არ გააჩნდა დებულება და საქმიანობას წარმართავდა თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ფუნქციები კომისიის თითოეულ წევრზე განაწილებული არ ყოფილა, ყველა საკითხი წყდებოდა კომისიური წესით და პასუხისმგებლობაც შესრულებული სამუშაოს ხარისხზე კომისიას ეკისრებოდა.

სათანადო მტკიცებულებების წარდგენის მიუხედავად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ გათავისუფლების საფუძველად დასახელებული სამსახურებრივი გადაცდომები ნ. ლ-მეს არ ჩაუდენია, ნებისმიერი საკითხი, რომელიც კომისიის საქმიანობას შეეხებოდა, ერთობლივად განიხილებოდა და წყდებოდა. შესაბამისად, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება უკანონო იყო.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის (სადაც მოსარჩელე მუშაობდა) დებულება 2006 წლის 5 ივნისს დამტკიცდა, ნ. ლ-ის მიმართ გამოვლენილ დისციპლინურ გადაცდომებს კი 2006 წლის 5 ივნისამდე ჰქონდა ადგილი. ე.ი. აღნიშნული გადაცდომების ჩადენის პერიოდში მისი უფლებამოსილების განმსაზღვრელი თანამდებობრივი ინსტრუქცია არ არსებობდა.

სადავო ბრძანების თანახმად, 2006 წლის 17 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ნ. ლ-ის მიერ #1-10/549 კორესპონდენციით გაიგზავნა აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ობოლ, მზრუნველობამოკლებულ და გაშვილებულ ბავშვთა მონაცემები, ისე რომ დანართის სახით 59 ფურცლად გაგზავნილი დოკუმენტაცია სამინისტროს კანცელარიაში არ მოიპოვება. აღნიშნული კორესპონდენციის გაგზავნის დროს კანცელარიის მთავარმა სპეციალისტმა საკანცელარიო წიგნზე დააფიქსირა მინაწერი, რომ ინფორმაცია დანართის სახით «59» ფურცელზე ინახებოდა საქმეში - ნორმირების, ლიცენზირების, ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისა და რეესტრის წარმოების დეპარტამენტში. კანცელარიის მთავარ სპეციალისტს არ მოუთხოვია აღნიშნული კორესპონდენციის ჩაბარება კანცელარიისთვის. ამის მიუხედავად, ნ. ლ-მემ დანართის სახით არსებული მასალების ასლები კანცელარიაში წარადგინა.

რაც შეეხებოდა ნ. ლ-ის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ვიზირების გარეშე წარდგენილ კორესპონდენციებს, მათი გაგზავნისას დეპარტამენტის თავმჯდომარის ვიზირება არ იყო საჭირო,

რამდენადაც აღნიშნული კორესპონდენციები არაერთხელ იქნა განხილული შვილად აყვანის საკითხთა შემსწავლელი კომისიის მიერ.

სადავო ბრძანებაში საუბარია ნ. ლ-ძის მხრიდან «საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულების შეუსრულებლობაზე, კერძოდ, მითითებულია, რომ ის დოკუმენტაცია, რომელიც დანართის სახით აღნიშნული უნდა ყოფილიყო 2006 წლის 23 მაისის #1-10/1199 კორესპონდენციაზე, კანცელარიაში არ მოიპოვება. ამავე ბრძანებულებიდან გამომდინარე, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადაში მათი გავლის, გაფორმებისა და შესრულების კონტროლის რეგულირება საქმისწარმოების სამსახურს ევალება, რაც ამ კუთხით ნ. ლ-ძის ბრალეულობას გამორიცხავს.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის მიხედვით, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა. სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობა; ბ. დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა; გ. ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელის და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული საქციელი (ბრალეული ქმედება) განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსის გათვალისწინებით, გასაჩივრებულ ბრძანებაში მოყვანილი ფაქტებიდან, დისციპლინურ გადაცდომას არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის განჩინებით ნ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #74 ბრძანებით სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ნ. ლ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა.

აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 22 თებერვლის #52 ბრძანებით ნ. ლ-ძეს მიეცა შენიშვნა.

აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვრის #7 ბრძანებით დამტკიცებული რესურსცენტრის დებულების მე-2 მუხლის «ნ» პუნქტის მიხედვით, სამინისტრო ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციებს, უზრუნველყოფს შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად აყვანის პროცესის კოორდინაციას და ა.შ. დებულების მე-9 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რესურსცენტრის ფუნქციებს ასრულებს აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული დებულება მიღებულია მოსარჩელის გათავისუფლებამდე, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ თითქოს არ არსებობდა დებულება მისი ფუნქციების შესახებ.

მოსარჩელის გათავისუფლებამდე მიღებული აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 5 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული ამ სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის «ო», «პ», «ჟ» და «ს» პუნქტების მიხედვით, დეპარტამენტი აწარმოებს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა აღრიცხვას და მონაცემებს გადასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს, შეარჩევს და აღრიცხავს მშვილებელთა კანდიდატურებს, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ამზადებს დასკვნას სასამართლოში წარსადგენად, უზრუნველყოფს შვილად აყვანის, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად აყვანის პროცესის კოორდინაციას, ახორციელებს გამვილებულ ბავშვთა აღზრდა-განვითარებაზე კონტროლს, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის საქმიანობაზე ზედამხედველობას, კურიერებს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობას.

ზემოაღნიშნული ფუნქციები რომ მოსარჩელის კომპეტენციაში შედიოდა, აღნიშნული დასტურდებოდა საქმეში არსებული წერილებით და მოხსენებითი ბარათებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ან ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს დავის გადაწყვეტისას სათანადოდ არ გამოუკვლევია მტკიცებულებები, რომლებიც საფუძველად დაედო ნ. ლ-ძის სამუშაოდან გათავისუფლებას. სასამართლომ იმსჯელა

მხოლოდ იმ საკითხზე, თუ რა შედიოდა ნ. ლ-ის სამსახურებრივ ფუნქციებში, რაც არასაკმარისია მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების დასაბუთებლად.

საპედაგოგო სასამართლო მიუთითებდა აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 5 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული ამავე სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის დებულებაზე, თუმცა სადავო ბრძანებაში აღნიშნული ქმედებები 2006 წლის 5 ივნისამდე პერიოდით თარიღდება. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მითითებული დებულების დამტკიცებამდე მოსარჩელის ფუნქციის განმსაზღვრელი არანაირი ინსტრუქცია არ არსებობდა.

ნ. ლ-მე აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის #363 ბრძანებით დაინიშნა ამავე სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირების, ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისა და რეესტრის წარმოების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. იგი შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციებს ასრულებდა არა როგორც დასახელებული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, არამედ – როგორც შვილად აყვანის და მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხთა შემსწავლელი კომისიის წევრი.

სადავო ბრძანებაში საუბარია ნ. ლ-ის მხრიდან «საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულების შეუსრულებლობაზე, კერძოდ, მითითებულია, რომ ის დოკუმენტაცია, რომელიც დანართის სახით აღნიშნული უნდა ყოფილიყო 2006 წლის 23 მაისის #1-10/1199 კორესპონდენციაზე, კანცელარიაში არ მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ მითითებულ კორესპონდენციას არ გააჩნია აუცილებელი რეკვიზიტები: შემსრულებლის ხელმოწერა და შესრულების თარიღი. შესაბამისად, დაუდგენელია, თუ ვის მიერ და როდის შესრულდა დასახელებული წერილის პროექტი.

სადავო ბრძანების თანახმად, 2006 წლის 17 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ნ. ლ-ის მიერ #1-10/549 კორესპონდენციით გაიგზავნა აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ობოლ, მზრუნველობამოკლებულ და გაშვილებულ ბავშვთა მონაცემები, ისე, რომ დანართის სახით 59 ფურცლად გაგზავნილი დოკუმენტაცია სამინისტროს კანცელარიაში არ მოიპოვება, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ საქმის წარმოების სამსახურს დანართის სახით დოკუმენტაცია არ ჩაბარებია.

რაც შეეხება ნ. ლ-ის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ვიზირების გარეშე წარდგენილ კორესპონდენციებს, მათი გაგზავნისას დეპარტამენტის თავმჯდომარის ვიზირება არ იყო საჭირო, რამდენადაც აღნიშნული ვალდებულება მხოლოდ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 5 ივნისის დამტკიცებული დებულებით განისაზღვრა. ამასთან, «საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულების 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი არ ითვალისწინებს დოკუმენტის პროექტის დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმების (ვიზირების) აუცილებლობას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის მიხედვით, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა. სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობა; ბ. დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა; გ. ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელის და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული საკციელი (ბრალეული ქმედება) განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსის გათვალისწინებით, გასაჩივრებულ ბრძანებაში მოყვანილი ფაქტებიდან დისციპლინურ გადაცდომას არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოწინააღმდეგე მხარე აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საკასაციო საჩივარი არ ცნო და განმარტა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა ნ. ლ-ის მსჯელობა, თითქოს სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული დებულება არ ჰქონია. «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ» აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 5 ივნისის #250 ბრძანებით დამტკიცდა ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის დებულება. ასევე არასწორია კასატორის მსჯელობა, რომ არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც თანამდებობრივ ინსტრუქციებს დაადგენდა, რომ მინისტრის 2006 წლის 5 ივნისის #250 ბრძანებას არანაირი სამართლებრივი კავშირი არ აქვს გასაჩივრებულ ბრძანებასთან და რომ მანამდე არანაირი თანამდებობრივი ინსტრუქციები არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლ-ის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები თარიღდება მარტის, აპრილისა და მაისის თვეებით და დებულება მიღებულია 2006 წლის 5 ივნისს, აღნიშნული კასატორს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან «საქმისწარმოების ერთიანი წესების» დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულება ადგენს საქმისწარმოების წესებს, რომლებიც დარღვეულ იქნა ნ. ლ-ის მიერ კორესპონდენციების გაგზავნისას.

ასევე არასწორია კასატორის მსჯელობა, რომ იგი მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციებს ასრულებდა როგორც კომისიის წევრი, არა როგორც ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული

დაგეგმვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი და რომ სამსახურებრივი ფუნქციები შესაბამისი ბრძანებით არ განაწილებულა. აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 19 აპრილის #167 ბრძანებით შეიქმნა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მეურვეობისა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხთა შემსწავლელი კომისია. ამასთან, აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #89 ბრძანებით შეიქმნა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შვილად აყვანის საკითხების შემსწავლელი კომისია. აღნიშნული კომისიების მუშაობა განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: კომისია მეურვედ და მზრუნველად დანიშნასა და შვილად აყვანის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდა ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის მოკვლევითი მასალებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. საკითხის შესწავლა, დეპარტამენტის დებულების თანახმად, აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციაში შედიოდა და მეურვეობისა და მზრუნველობის და შვილად აყვანის შესახებ სამინისტროში შემოსული კორესპონდენციები უფლებამოსილი პირების შესაბამისი რეზოლუციებით გადაეცემოდა აღნიშნული დეპარტამენტის უფროსს რ. დ-მეს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აღნიშნულ კორესპონდენციებს ანაწილებდა მოსარჩელე ნ. ლ-მეზე. ამასთან, კორესპონდენციებში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში განმცხადებლები აღნიშნულ დოკუმენტებს თავად მოსარჩელეს წარუდგენდნენ. ნ. ლ-მე იყო ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი და შესაბამისად, სხდომაზე განსახილველი საკითხები მას გამოჰქონდა, აცნობდა კომისიას, თუ რა კორესპონდენციები იყო სამინისტროში წარმოდგენილი და კომისია ამის შემდეგ იღებდა კონკრეტულ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ნ. ლ-მის მიერ იმის მტკიცება, რომ იგი მეურვეობის და მზრუნველობის ფუნქციას ასრულებდა როგორც კომისიის რიგითი წევრი და არა როგორც დეპარტამენტის თანამშრომელი, არ შეესაბამება სინამდვილეს, უფრო მეტიც, ნ. ლ-მე ზემომითითებული კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ იქნა იმის გამო, რომ შვილად აყვანასა და მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს სწორედ იგი ასრულებდა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი შეიქმნა აჭარის ა/რ-ის მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის #109 დადგენილების თანახმად. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდიდან კასატორის გათავისუფლებამდე შვილების, მეურვეობისა და მზრუნველობასთან დაკავშირებული სამინისტროს კანცელარიაში აღრიცხული ყველა კორესპონდენცია შესრულებულია ნ. ლ-მის მიერ, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მასზე მითითებული ფუნქციის დავალებას. ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ მას არ ევალებოდა მითითებული ფუნქციების შესრულება, მაგრამ ვერ უთითებს, აღნიშნული ფუნქციების გარდა რა ევალებოდა და რას ასრულებდა სამინისტროში მუშაობის დროს.

კასატორის მიერ 2006 წლის 23 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა კორესპონდენცია აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ობოლ და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რაც ასახული უნდა ყოფილიყო დანართის სახით. დანართის აღნიშვნა წერილს თან არ ახლავს, შესაბამისად, დაუდგენელია, სტატისტიკური მონაცემები აღნიშნული კორესპონდენციით გაიგზავნა თუ არა. აღნიშნულით ნ. ლ-მემ დაარღვია «საქმისწარმოების ერთიანი წესების» დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულების 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 27-ე მუხლისა და 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა. ამასთან, ის დოკუმენტაცია, რომელიც დანართის სახით აღნიშნული უნდა ყოფილიყო მითითებულ კორესპონდენციაზე, სამინისტროში არ მოიპოვება. აღნიშნულით ნ. ლ-მის მიერ ასევე დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა.

საინტერესოა, რომ ნ. ლ-მე საკასაციო საჩივარში უარყოფს მითითებული კორესპონდენციის მის მიერ შესრულებას და აღნიშნავს, რომ სამინისტროს სათანადოდ არ გამოუკვლევიან ამ წერილის მის მიერ შესრულების საკითხი. სინამდვილეში აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სათანადოდ გამოიკვლია მითითებული საკითხი და ადმინისტრაციული წარმოება განახორციელა კანონმდებლობის სრული დაცვით. მინისტრის მოადგილის 2006 წლის 12 ივნისის #1-11/423 კორესპონდენციით ნ. ლ-მეს ეთხოვა წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენა მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევასთან დაკავშირებით და დასაბუთება. კორესპონდენციაში მითითებული იყო ზემოაღნიშნული 2006 წლის 23 მაისის კორესპონდენციის შესახებ. ახსნა-განმარტება მოთხოვნილ იქნა სწორედ მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების შესწავლისა და დასაბუთების მიზნით.

ნ. ლ-მის მიერ 2006 წლის 14 ივნისს წარმოდგენილ #752 ახსნა-განმარტებით ბარათში კასატორი არ უარყოფს აღნიშნული წერილის მის მიერ შესრულებას, უფრო მეტიც, იგი წერს: «რაც შეეხება დანართის დაფიქსირებას გაგზავნილ კორესპონდენციაში, მოგახსენებთ, რომ აღნიშნულის გამორჩენა დოკუმენტში, ვფიქრობ, არ შეიძლება ჩაივალოს არსებით დარღვევად, ვინაიდან ზემოხსენებული დოკუმენტაცია ინახება ნორმირების, ლიცენზირებისა და რეესტრის წარმოების დეპარტამენტში». აღნიშნული წერილის ნ. ლ-მის მიერ შესრულების ფაქტს არ უარყოფს ნ. ლ-მე მითითებულ ახსნა-განმარტებით ბარათსა და სარჩელში.

2006 წლის 17 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ნ. ლ-ძის მიერ გაიგზავნა აჭარის ა/რ-ის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოხდეს ობოლ და მშობელთა მზრუნველო-ბამოკლებულ და გაშვილებულ ბავშვთა მონაცემები, ისე, რომ დანართის სახით 59 ფურცლად გაგზავნილი დოკუმენტაცია სამინისტროს კანცელარიაში არ მოიპოვება. აღნიშნულით ნ. ლ-ძემ დაარღვია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული «საქმისწარმოების ერთიანი წესების» მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა. ნ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ კორესპონდენციის დანართი ხარვეზის გარეშე ჩაბარდა კანცელარიას, რის შემდეგაც გადაეცა უფლებამოსილ პირს და არანაირი მტკიცებულება, რომ საქმისწარმოების სამსახურს დანართი არ ჩაბარებია, არ არსებობს. აღნიშნული მსჯელობა არ შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც მინისტრის მოადგილესთან ხელმოსაწერად კორესპონდენციის წარდგენას უზრუნველყოფს არა კანცელარია, არამედ - უშუალოდ წერილის შემსრულებელი, რომელიც თავად უზრუნველყოფს მათზე დანართების დართვას და აუცილებელი რეკვიზიტებით გაფორმებას. ამასთან, ზემოთხსენებულ კორესპონდენციაზე აღნიშნულია, რომ დანართი ინახება ნ. ლ-ძესთან, რომელიც დამოწმებულია უფლებამოსილი პირის მიერ, რაც ასევე აბათილებს კასატორის აღნიშნულ არგუმენტაციას.

2006 წლის 4 მაისის #1-11/1042, 2006 წლის 18 მაისის #1-18/1150, 2006 წლის 18 მაისის #1-18/1149 კორესპონდენციები უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნ. ლ-ძის მიერ ხელმოსაწერად წარდგენილია ვიზირების გარეშე. აღნიშნულით დარღვეულია «საქმისწარმოების ერთიანი წესების» 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული კორესპონდენციები კომისიის სხდომაზე იქნა განხილული და ვინაიდან დეპარტამენტის უფროსი თავად იყო კომისიის წევრი, მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა კორესპონდენციების მასთან შეთანხმება. სინამდვილეში სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი რ. დ-ძე არ ყოფილა შვილად აყვანის კომისიის წევრი. ამასთან, აღნიშნული დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის უფროსი ვიზირებით ადასტურებს დეპარტამენტში მომზადებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. აქედან გამომდინარე, კასატორის მტკიცება, თითქოს კორესპონდენციები ზემოხსენებული კომისიის მიერ იყო განხილული და დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმება არ საჭიროებდა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ასევე არასწორია კასატორის მსჯელობა, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ საჭიროებდა დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებას, ვინაიდან იგი არ მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში. აღნიშნული მოსაზრება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 5 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის «ო», «პ», «ჟ» და «რ» ქვეპუნქტების თანახმად, დეპარტამენტი აწარმოებდა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღრიცხვას და მონაცემებს გადასცემდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს, შეარჩევდა და აღრიცხავდა მშვილებელთა კანდიდატურებს, შესაბამისი დოკუმენტაციისა და მოკვლევითი მასალების საფუძველზე ამზადებდა დასკვნას სასამართლოში წარსადგენად, უზრუნველყოფდა შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შილობილად აყვანის პროცესის კოორდინაციას და სხვ. შესაბამისად, მითითებული საკითხების განხილვა და მისი კომისიისათვის მიწოდება წარმოადგენდა ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ფუნქციას და შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო დეპარტამენტის უფროსი, რაც ნ. ლ-ძეს არ განუხორციელებია.

გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნ. ლ-ძის მიერ ხდებოდა კორესპონდენციებზე წერილის დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმების აღნიშვნის დაფიქსირება, თუმცა იგი უფროსის ხელწერით არ არის დამოწმებული. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კასატორი თვითონაც დარწმუნებული იყო წერილის დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმების აუცილებლობაში, მაგრამ პასუხისმგებლობით არ მოეკიდა მითითებულ საკითხს.

აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შპს «ბავშვთა სავანის» დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა იმ ბავშვთა ჩამონათვალი, რომელთა მშობლებმაც თანხმობა განაცხადეს ბავშვების გაშვილებაზე. «მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს განათლების სამინისტროს 1998 წლის 15 იანვრის #04 ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 3 დღის ვადაში, ვალდებულია, შეისწავლოს და გამოიკვლიოს ბავშვის ყოფითი და სოციალური პირობები და შეადგინოს პირველადი გამოკვლევის ორი დოკუმენტი: მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის ყოფითი და სოციალური პირობების გამოკვლევის ოქმი და გამოკვლევაზე დამყარებული დასკვნები და რეკომენდაციები ბავშვის შემდგომი განათავსების ფორმების შესახებ. ამასთან, «შვილად აყვანის წესის შესახებ» კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიიჩნევს, რომ ბავშვები ექვემდებარებიან შვილად აყვანას, ის იწყებს საქმიანობას მშვილებელთა შერჩევისა და არსებითი შემოწმებისათვის. ყოველივე აღნიშნულთან

დაკავშირებით ნ. ლ-ის მიერ ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა. შესაბამისად, მის მიერ დარღვეულია ზემომითითებული ნორმების მოთხოვნები.

მშვილბელთა რეესტრსა და რეგისტრაციას აწარმოებდა ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი და შესაბამისად, ნ. ლ-მე, ვინაიდან აღნიშნული საკითხი მის ფუნქციებში შედიოდა. ამდენად, დეპარტამენტი უზრუნველყოფდა მშვილბელთა შერჩევას რეესტრის მონაცემების საფუძველზე, კომისიას წარუდგენდა კონკრეტულ წინადადებას მშვილბელთა შერჩევის შესახებ და კომისია დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების ფარგლებში უზრუნველყოფდა მითითებული საკითხის შესწავლას.

კასატორის მიერ მითითება იმაზე, რომ იგი დროებით შრომისუნარობის ფურცლის მოქმედების პერიოდში გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. ნ. ლ-ის მიერ სამინისტროში წარმოდგენილ საავადმყოფო ფურცელი დახურულია 2006 წლის 19 აგვისტოს, ხოლო მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლდა 2006 წლის 4 სექტემბრის ბრძანებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მისი გათავისუფლების შესახებ, 2006 წლის 5 სექტემბერს სამინისტროში წარადგინა განცხადება, თითქოს, იგი კვლავ იმყოფება დროებითი შრომისუნარობის ფურცელზე. სამინისტროს მიერ მას უარი ეთქვა აღნიშნული განცხადების განხილვაზე.

მაგალითად, ნ. ლ-მეს წერილობითი ახსნა-განმარტება მოეთხოვა 2006 წლის 12 ივნისისა და 14 ივნისის კორესპონდენციებით. 2006 წლის 26 ივნისის კორესპონდენციის შესაბამისად, ნ. ლ-მემ სამინისტროს აცნობა, რომ იგი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. შესაბამისად, ნ. ლ-მე საავადმყოფო ფურცელზე გავიდა მიზანმიმართულად, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული წარმოება დაწყებული იყო მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევებთან დაკავშირებით, რითაც მან ხელი არ შეუწყო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობას. აღნიშნული ფაქტი მის მიერ კვლავაც განმეორდა.

კასატორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა მოძიებული შვილებასა და მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტაცია. ამასთან, მშვილბელთა რეესტრში აღრიცხული კორესპონდენტები გამოთქვამდნენ პრეტენზიას, რომ ესა თუ ის დოკუმენტი წარდგენილი ჰქონდათ ნ. ლ-მესთან და ისინი დაიკარგა. აღნიშნულის შესახებ დეპარტამენტის თანამშრომლებმა მრავალჯერ მიმართეს კასატორს, რის შემდეგაც კასატორის დედამ დეპარტამენტში დააბრუნა მის მიერ სახლში წაღებული მთელი რიგი დოკუმენტაცია.

შესაბამისად, სახეზეა კასატორის მიერ ჩადენილი სამსახურებრივ მოვალეობათა არაერთი დარღვევა, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლისა და 99-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციას მისი გათავისუფლების სრულ საფუძველს აძლევდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 22 თებერვლის #52 ბრძანებით ნ. ლ-მეს შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა. აღნიშნული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების პერიოდში, აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #74 ბრძანებით, ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნ. ლ-მე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლისა და 99-ე მუხლის საფუძველზე.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლი ჩამოთვლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, რომელთა შორის არის შენიშვნა, ამავე კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელის გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-80 მუხლის მე-3 ნაწილის ითვალისწინებს მოხელისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გაქარწყლებას მისი შეფარდებიდან ერთი წლის შემდგომ.

მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება, რომელიც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექვემდებარება დასაბუთებას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #74 სადავო ბრძანება კონკრეტულად მიუთითებს მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების, კერძოდ, საქმისწარმოების წესების დარღვევის ფაქტებზე და შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სადავო ბრძანებაში მოცემულია კასატორის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის შემდეგი შემთხვევები:

კასატორის მიერ 2006 წლის 23 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა კორესპონდენცია აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ობოლ და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რაც ასახული უნდა ყოფილიყო დანართის სახით. დანართის აღნიშვნა წერილს თან არ ახლავს, შესაბამისად, დაუდგენელია, სტატისტიკური მონაცემები აღნიშნული კორესპონდენციით გაიგზავნა თუ არა. აღნიშნულით ნ. ლ-მემ დაარღვია «საქმისწარმოების ერთიანი წესების» დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულების 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 27-ე მუხლისა და 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა. ამასთან, ის დოკუმენტაცია, რომელიც დანართის სახით აღნიშნული უნდა ყოფილიყო მითითებულ კორესპონდენციაზე, სამინისტროში არ მოიპოვება. აღნიშნულით ნ. ლ-მის მიერ ასევე დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა;

2006 წლის 17 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ნ. ლ-მემ გააგზავნა აჭარის ა/რ-ის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ობოლ და მშობელთა მზრუნველობა-ბამოკლებულ და გაშვილებულ ბავშვთა მონაცემები, ისე, რომ დანართის სახით 59 ფურცლად გაგზავნილი დოკუმენტაცია სამინისტროს კანცელარიაში არ მოიპოვება. აღნიშნულით ნ. ლ-მემ დაარღვია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული «საქმისწარმოების ერთიანი წესების» მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა;

2006 წლის 4 მაისის, 2006 წლის 18 მაისის, 2006 წლის 18 მაისის კორესპონდენციები უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნ. ლ-მის მიერ ხელმოსაწერად წარდგენილია ვიზირების გარეშე. აღნიშნულით დარღვეულია «საქმისწარმოების ერთიანი წესების» 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნა;

აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შპს «ბავშვთა სავანის» დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა იმ ბავშვთა ჩამონათვალი, რომელთა მშობლებმაც თანხმობა განაცხადეს ბავშვების გაშვილებაზე. «მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს განათლების სამინისტროს 1998 წლის 15 იანვრის #04 ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 3 დღის ვადაში, ვალდებულია, შეისწავლოს და გამოიკვლიოს ბავშვის ყოფილი და სოციალური პირობები და შეადგინოს პირველადი გამოკვლევის ორი დოკუმენტი: მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის ყოფილი და სოციალური პირობების გამოკვლევის ოქმი და გამოკვლევაზე დამყარებული დასკვნები და რეკომენდაციები ბავშვის შემდგომი განთავსების ფორმების შესახებ. ამასთან, «შვილად აყვანის წესის შესახებ» კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიიჩნევს, რომ ბავშვები ექვემდებარებიან შვილად აყვანას, ის იწყებს საქმიანობას მშვილბეღელთა შერჩევისა და არსებითი შემოწმებისათვის. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ნ. ლ-მის მიერ ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა. შესაბამისად, მის მიერ დარღვეულია ზემომითითებული ნორმების მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასების, ასევე აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვრის #7 ბრძანებით დამტკიცებული რესურსცენტრის დებულების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნორმირების, ლიცენზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის კომპეტენციაში უდავოდ შედიოდა მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხები. ნ. ლ-მე, რომელიც აღნიშნული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს და, იმავდროულად, აღნიშნული სამინისტროს 2006 წლის 14 მარტის #89 ბრძანებით შექმნილი შვილად აყვანის საკითხთა შემსწავლელი კომისიის წევრს წარმოადგენდა, ბუნებრივია, დაკავებული იყო სწორედ მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილების საკითხებით და უხდებოდა შესაბამისი კორესპონდენციის განხილვა და მომზადება. სრულიად დაუსაბუთებელია კასატორის მსჯელობა, რომ დეპარტამენტის დებულება დამტკიცდა 2006 წლის 5 ივნისს, სადავო ბრძანებაში მითითებული ფაქტების შემდგომ და რომ გაურკვეველი იყო დეპარტამენტში მისი ფუნქციები, რაც შეიძლება იყოს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელის კომპეტენციაში დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების არსებობა დასტურდება საქმეში არსებული წერილებით და მოხსენებითი ბარათებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. კანონის აღნიშნული ნორმები ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როდესაც დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების

ტვირთი გადადის აღნიშნული აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე - მოპასუხე სუბიექტზე. მიუხედავად ამისა, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენისას არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო ადასტურებს სადავო ბრძანების დასაბუთებულობას, ხოლო საკასაციო საჩივარი ვერ აქარწყლებს აღნიშნული ბრძანების დასაბუთებას და მასში მოყვანილი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობას. საკასაციო სასამართლოს არა აქვს საფუძველი, მიიჩნიოს, რომ სადავო ბრძანებაში მითითებული კორესპონდენციები კასატორს არ შეუსრულებია, რომ მეურვეობის, მზრუნველობასთან და შვილებასთან დაკავშირებული სადავო ბრძანებაში მითითებული საკითხები არ წარმოადგენდა მის კომპეტენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ლ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-948-909(23-07) 5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ზიანს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 5 იანვარს რ. დ-მემ და თ. ქ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიმართ წელთა ნამსახურობის, სხვა დანამატებისა და კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2004 წლის 22 ოქტომბრის #89 ბრძანებით უკანონოდ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, რის გამოც მათ სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს 2004 წლის 22 ოქტომბრის #89 ბრძანება მათი დაკავებული თანამდებობიდან და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის ნაწილში და მოსარჩელები აღდგენილ იქნენ შინაგან საქმეთა ორგანოში 2004 წლის 22 ოქტომბრიდან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით მათი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა იმ პერიოდის ხელფასის ანაზღაურება, რა დროსაც მუშაობდნენ შს ორგანოში, აგრეთვე ხელფასთან ერთად საქართველოს შს მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული წელთა ნამსახურობისათვის დანამატის ანაზღაურება.

მოსარჩელების განმარტებით, ამჟამინდელი სარჩელით ითხოვედნენ იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც მათ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შედეგად მიადგათ, ვინაიდან, მუშაობის შემთხვევაში

ისინი მიიღებდნენ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31.3 მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 21 აგვისტოს #347 ბრძანებულებისა და საქართველოს შს მინისტრის 2004 წლის 27 ოქტომბრის #568 ბრძანებით 2004 წლის 1 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე თანამდებობრივ განაკვეთებზე დაწესებულ დანამატებს. მიუხედავად მოპასუხისადმი მოსარჩელეთა წერილობითი მიმართვისა, მათთვის არ აუნაზღაურებიათ მოთხოვნილი თანხა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების შემდეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას წელთა ნამსახურობის დანამატის, სხვა დანამატებისა და კომპენსაციების სახით რ. დ-მის სასარგებლოდ 1471,94 ლარისა და თ. ქ-შვილისათვის - 1035,9 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. დ-მისა და თ. ქ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა 2004 წლის 22 ოქტომბრიდან მოსარჩელეთა კადრების განკარგულებაში გადაყვანის პერიოდამდე მოპასუხის ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების სახით, რ. დ-მის სასარგებლოდ 844,84 ლარისა და თ. ქ-შვილის სასარგებლოდ 617,03 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შსს აჭარის ა/რ მთავარმა სამმართველომ; რ. დ-მემ და თ. ქ-შვილმა.

აპელანტი შსს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველო სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ რ. დ-მეს და თ. ქ-შვილს ანალოგიური მოთხოვნით 2005 წლის 13 ივნისს შეტანილი ჰქონდათ სარჩელი სასამართლოში, რომელშიც მითითებული იყო ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად უდევს 2007 წლის 5 იანვრის სარჩელს და რომელზეც არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ «პოლიციის შესახებ» კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დანამატებისა და კომპენსაციების ანაზღაურებაზე, ვინაიდან კანონი ხელფასის ცნებაში ითვალისწინებს თანამდებობრივ და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

აპელანტის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გაითვალისწინა მათი მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელების მოთხოვნა იდენტურია ადრე დაყენებული სასარჩელო მოთხოვნისა, რომელზედაც არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» პუნქტის შესაბამისად, უნდა შეწყვეტილიყო საქმისწარმოება, ვინაიდან არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

აპელანტები - რ. დ-მე და თ. ქ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინებით შსს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს, რ. დ-მისა და თ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ «პოლიციის შესახებ» კანონის 31.3 მუხლით თანამშრომელი პოლიციაში ნამსახურობისათვის იღებს: ა) ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს; ბ) წელთა ნამსახურობის დანამატს; გ) რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი იყო დანიშნული; დ) დანამატს დასვენების, უქმე დღეებში, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის; ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

აღნიშნული ნორმის განმარტებით, უზენაესმა სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ პოლიციელის ხელფასს წარმოადგენს მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, ხოლო სხვა დანარჩენი პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიებია.

სააპელაციო პალატის მითითებით, წინამდებარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის - აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს ბრალით მოსარჩელების იძულებითი მოცდენის პერიოდისათვის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31.3 მუხლით გათვალისწინებული ხელფასის გარდა.

«პოლიციის შესახებ» კანონის 31.3 მუხლის «ბ» პუნქტით თანამშრომელი პოლიციაში ნამსახურისათვის იღებს წელთა ნამსახურობის დანამატს, ხოლო «საქართველოს შს ორგანოებში ნამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 55-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციის მუშაკი იღებს სასურსათო ულუფის ღირებულებასაც.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დადგენილია, რომ 2004 წლის 22 ოქტომბრიდან მოსარჩელები უკანონოდ იქნენ დათხოვნილი პოლიციის ორგანოებიდან. მოსარჩელეთა სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლება არის მოპასუხე აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს ბრალეული ქმედება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელებისათვის სოციალური გარანტიების სახით ხელფასზე ფულადი დანამატის (კომპენსაციების) მიუღებლობის საფუძველი გახდა შს მთავარი სამმართველოს უფროსის 2004 წლის 22 ოქტომბრის #89 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ისინი უკანონოდ გათავისუფლდნენ სამსახურიდან. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

ამასთან, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა წოდებისათვის დადგენილი განაკვეთის ნაწილში სარჩელზე უარის თქმის თაობაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული თანხა შედიოდა უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის ანაზღაურებული ხელფასის ოდენობაში, ე.ი. რ. დ-ძეს და თ. ქ-შვილს მიღებული ჰქონდათ თანამდებობრივი განაკვეთის დანამატი, რაც გამორიცხავდა ამ თვალსაზრისით მათთვის ზიანის მიყენების ფაქტს.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შსს აჭარის ა/რ მთავარმა სამმართველომ; რ. დ-ძემ და თ. ქ-შვილმა.

კასატორი აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარს ძირითადად აფუძნებდა იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით რ. დ-ძისა და თ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შსს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს 2004 წლის 22 ოქტომბრის #89 ბრძანებით რ. დ-ძე გათავისუფლდა ქ. ბათუმის შს სამმართველოს პოლიციის მე-2 ქვეგანყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, ხოლო თ. ქ-შვილი - ამავე ქვეგანყოფილების ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

რ. დ-ძემ და თ. ქ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვეს სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით რ. დ-ძისა და თ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად გამოცხადდა მოსარჩელეთა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანება და მოსარჩელები აღდგენილ იქნენ სამუშაოზე 2004 წლის 22 ოქტომბრიდან. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოსარჩელეთა კადრების განკარგულებაში გადაყვანის პერიოდამდე.

2005 წლის 13 ივნისს რ. დ-ძემ და თ. ქ-შვილმა კვლავ აღძრეს სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომლის საფუძველზეც აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოსაგან მოითხოვეს იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება ხელფასის შესაბამისი დანამატების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულ სარჩელზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 8 ნოემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც განიმარტა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ხელფასის ცნებაში იგულისხმება მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, ხოლო წელთა ნამსახურობის დანამატი, რაიონული კოეფიციენტი, დასვენების, უქმე დღეებში, დამის საათებში ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატი, ულუფის დანამატი და კანონით გათვალისწინებული სხვა

დანატები და კომპენსაციები კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია როგორც პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები და გამოიწვლია ხელფასის ცნებისაგან, რის საფუძველზეც მოსარჩელებს აუნაზღაურდათ მხოლოდ განაცდური ხელფასი თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთის გაანგარიშებით.

წინამდებარე სარჩელის საფუძველზე მხარეებმა ახალი საფუძველით მიმართეს სასამართლოს და ამჟამად მოითხოვენ სამუშაოდან მოპასუხის ბრალით მათი მოცდენის პერიოდისათვის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების მიუცემლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და აჭარის ა/რ შს მთავარ სამმართველოს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა მისივე ბრალით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება რ. დ-ძის სასარგებლოდ 844,84 ლარის, ხოლო თ. ქ-შვილის სასარგებლოდ 617,03 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ემყარება კანონის არასწორ განმარტებას, რაც წარმოადგენს მისი გაუქმების საფუძველს.

პროცესუალურ მოწინააღმდეგეებზე თ. ქ-შვილსა და რ. დ-ძეზე როგორც შს ორგანოს თანამშრომლებზე, ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» მოთხოვნები. მითითებული დებულების 76-ე მუხლის შესაბამისად, შს ორგანოს ის თანამშრომლები, რომლებიც უსაფუძვლოდ იქნენ დათხოვნილი შს ორგანოებიდან, გადაყენებული ან ჩამოქვეითებული დაკავებული თანამდებობიდან, რომლებსაც ჩამოერთვათ სპეციალური წოდება, ექვემდებარებიან შესაბამისად აღდგენას როგორც თანამდებობაზე, ისე შს ორგანოებში და სპეციალურ წოდებაში.

იმავე დებულების 79-ე მუხლის თანახმად, შს ორგანოდან უსაფუძვლოდ დათხოვნილ თანამშრომლებს აღდგენის შემთხვევაში აუნაზღაურდებათ მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, მუხლი შეიცავს მითითებით დისპოზიციას, ანუ იგი არ ადგენს ქცევის წესს და მის დასაზუსტებლად მიუთითებს მოქმედ კანონმდებლობაზე.

«საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, შს ორგანოს მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი. ამდენად შს ორგანოს თანამშრომლებზე როგორც საჯარო მოსამსახურეებზე ვრცელდება «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი იმ საგამონაკლისო ნორმების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონითა და ზემოაღნიშნული დებულებით.

«საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლი განსაზღვრავს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის მოთხოვნის ფარგლებს. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძველების შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონმდებელმა უკანონოდ დათხოვნილი მუშაკის მიმართ იმთავითვე დაადგინა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და განსაზღვრა ზიანის ფარგლები, რაც გამოიხატა ადმინისტრაციის მხრიდან მოხელისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებაში. იმის გათვალისწინებით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით რ. დ-ძესა და თ. ქ-შვილს სრულად აუნაზღაურდათ განაცდური ხელფასი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციის მხრიდან აღარ არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის დამატებითი სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე მითითებას, თვლის, რომ აღნიშნული მუხლის შინაარსი გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში ამ ნორმის გამოყენების შესაძლებლობას და ყურადღებას მიაქცევს თავად მუხლის კონსტრუქციას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამდენად, როგორც ნორმის ანალიზი ცხადყოფს, მითითებული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კანონმდებელი ადგენს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სახელმწიფო მოსამსახურის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობა. ანუ მითითებული ნორმა გამორიცხავს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე შემთხვევაში არ დასტურდება აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს მხრიდან ბრალეული ქმედების ფაქტი, რაც შეუძლებელს ხდის მითითებული ნორმის საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა აჭარის ა/რ შს სამმართველოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. რ. დ-ძისა და თ. ქ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დისციპლინური გადაცდომის გამო პოლიციელების სამსახურიდან გათავისუფლება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-247-241(23-08) 31 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ჯ-ძემ და ვ. დ-ძემ 2006 წლის 25 მაისს სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2006 წლის 28 აპრილის #903/შ ბრძანების გაუქმება, თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2006 წლის 28 აპრილის #903/შ ბრძანებით ისინი გათავისუფლდნენ ამავე დეპარტამენტის სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორის თანამდებობებიდან, რასაც საფუძვლად დაედო 2006 წლის 29 მარტს მომხდარი შემთხვევა, კერძოდ: აღნიშნულ დღეს მოსარჩელები პატრულ-ინსპექტორ ბ. ს-ძესთან ერთად იმყოფებოდნენ თავიანთ სამოქმედო კვადრატში, რა დროსაც მათ მიმართა მოქალაქე ზ. ც-ძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მას წაართვეს ელექტრომექანიკური ხერხი, ე.წ. „დრუჟბა“. აღნიშნული ინფორმაცია რაციის საშუალებით ბ. ს-ძემ შეატყობინა ოცეულის უფროსს - ზ. თ-ძეს. ამის შემდეგ მოსარჩელები გავიდნენ შემთხვევის ადგილზე, თუმცა იქ არავინ აღმოჩნდა. მოსარჩელებმა დაზარალებულს განუმარტეს, რომ მომხდართან დაკავშირებით იგი უნდა გადაეყვანათ პოლიციის განყოფილებაში შემდგომი რეაგირებისათვის, რაზედაც მან უარი განაცხადა. დაზარალებულმა სთხოვა მათ, დაეტოვებინათ იმავე ადგილას, საიდანაც წამოიყვანეს და დაპირდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ, თანხლებ პირებთან ერთად დახვდებოდა. მაგრამ, როდესაც მოსარჩელები მივიდნენ დათქმულ ადგილას, იქ არავინ დახვდათ. როგორც შემდგომში გაირკვა, დაზარალებულმა შესაბამის განყოფილებას მიმართა მეორე დღეს, რაზედაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათი გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში მითითებულ დისციპლინარულ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. მოპასუხემ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ვ. დ-ძეს ჰქონდა 15 წლის სამხედრო სტაჟი, იყო დაოჯახებული და მისი ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო ბ. ჯ-ძეს დამთავრებული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია და 2004 წლიდან მუშაობს პატრულ-პოლიციელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 3 ივლისს საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2006 წლის 28 აპრილის #903/შ ბრძანება მოსარჩელების - ბ. ჯ-ძისა და ვ. დ-ძის გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს დაევალა „პოლიციის შესახებ“ კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდებისა“ და „საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

დებულების» მოთხოვნათა შესაბამისად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 28 აპრილის #90 კ/შ ბრძანების თანახმად, შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა« და „ა¹» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომისათვის, „პოლიციის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის „თ« ქვეპუნქტის, შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ« ქვეპუნქტის საფუძველზე, „საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების შესახებ» შს მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის #303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-5 მუხლისა და შს მინისტრის #414 ბრძანებით დამტკიცებული შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-20 მუხლის „გ« ქვეპუნქტის შესაბამისად შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი, ვ. დ-ძე და შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბ. ჯ-ძე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და დათხოვილ იქნენ შს ორგანოებიდან საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს 2006 წლის 13 აპრილის დასკვნა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების თანამშრომლების დისციპლინური წესით დასჯის შესახებ დასკვნის თანახმად, 2006 წლის 29 მარტს აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორები ვ. დ-ძე და ბ. ჯ-ძე არსებული გრაფიკის მიხედვით იმყოფებოდნენ განწესში და პატრულირებას ახორციელებდნენ საპატრულო პოლიციის ავტომანქანა „321-ით» თავის სამოქმედო კვარტალში. დაახლოებით 14 საათზე, „321" ეკიპაჟს, მათ სამოქმედო კვარტალში პატრულირების დროს, კერძოდ, წერეთლის ქუჩაზე, მიმართა უცნობმა მოქალაქემ, რომელმაც განაცხადა, რომ მას წაართვეს ელექტროხერხი ე.წ. „დრუჟა» და ითხოვა დახმარება. „321-ის» ეკიპაჟი დაუკავშირდა რადიოსადგურის საშუალებით თავის უშუალო ხელმძღვანელს, ოცმეთაურ ზ. თ-ძეს და მოახსენეს აღნიშნულის შესახებ. ამის შემდგომ „321" ეკიპაჟმა ჩაისვა მოქალაქე საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში და წავიდა ე.წ. ფერიის დასახლების მიმართულებით, სადაც დაზარალებულის მითითებით მას ელექტროხერხი წაართვეს. შემთხვევის ადგილზე მისვლისას „321-ის» ეკიპაჟმა დაათვალიერა და ავტომანქანით შემოიარა მიმდებარე ტერიტორია, სადაც მოქალაქემ ვერავინ ამოიგნო. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრაობის დროს „321" ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა დაზარალებულს განუმარტა, რომ გამოიძახებდნენ შემთხვევის ადგილზე შესაბამის განყოფილებას ან გადაიყვანდნენ განყოფილებაში, რაზედაც მოქალაქემ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მას ელექტროხერხის წართმევის დროს ახლდა სხვა მოქალაქეც, რომელიც, მისი თქმით, უნდა ყოფილიყო პუშკინის ქუჩაზე და ითხოვა აღნიშნულ მისამართზე მიყვანა, თუმცა იქ მისვლისას დაზარალებულმა ვერ იპოვა თავისი ნაცნობი. იგი დაჰპირდა „321-ის» წევრებს, რომ იპოვიდა მას და შემდგომ დაუკავშირდებოდა 022-ის საშუალებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ დასკვნაში მითითებულია ის გარემოება, რომ „321" ეკიპაჟის წევრებმა თვითნებურად მიიღეს არაობიექტური გადაწყვეტილება და ხელმძღვანელობასთან, ოცმეთაურ ზ. თ-ძესთან შეუთანხმებლად, დატოვეს დაზარალებული პუშკინის ქუჩაზე და დაუბრუნდნენ თავის სამოქმედო კვარტალს, ვინაიდან მიიღეს შეტყობინება ქუჩის ჩახერგვის შესახებ. «321» ეკიპაჟის წევრების განმარტებით, ჩახერგილ ქუჩაზე მოძრაობის მოწესრიგების შემდეგ ისინი კვლავ დაუბრუნდნენ პუშკინის ქუჩას, სადაც დაზარალებული აღარ დახვდათ. აღნიშნული შემდგომ სამორიგეო განყოფილებასა და 022-ის ოპერატორთა ჟურნალებში გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დასკვნის თანახმად, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2006 წლის 1 აპრილს პატრულ-ინსპექტორები ბ. ს-ძე, ვ. დ-ძე, ბ. ჯ-ძე და ოცმეთაური ზ. თ-ძე დაბარებულ იქნენ აჭარის ა/რ პროკურატურაში, სადაც ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები. პროკურატურაში დაბარების შემდგომ მითითებულმა პატრულ-ინსპექტორებმა შეატყობინეს 29 მარტს მომხდარი ფაქტის შესახებ ხელმძღვანელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატრულ-ინსპექტორებმა: ბ. ჯ-ძემ, ვ. დ-ძემ და ბ. ს-ძემ დაარღვიეს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა« (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება და სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების ოცმეთაურ ზ. თ-ძეს, პატრულ-ინსპექტორ - ბ. ჯ-ძეს და უმცროს პატრულ-ინსპექტორს ბ. ს-ძეს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც დადასტურეს აღნიშნული ფაქტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ „პოლიციის შესახებ» კანონის მე-7 თავის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ« პუნქტის და შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ« ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორი,

პოლიციის კაპიტანი ვ. დ-მე და იმავე განყოფილების პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი ბ. ჯ-მე დათხოვნილ იქნენ შს ორგანოებიდან.

საქმეში წარმოდგენილი აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის განყოფილების წერილის თანახმად, 2006 წლის 30 ნოემბერს ხელვაჩაურის რაიონის შს განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #173060120 საქმეზე ზ. ც-მესა და მ. ც-მეზე განხორციელებულ ყაჩაღობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით.

ამდენად, მოსარჩელენი მუშაობდნენ რა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში, იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან, „საჯარო სამსახურის შესახებ« საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოდგენდნენ საჯარო მოხელეებს. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის „დ« ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციის თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კატეგორიის მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით, „საჯარო სამსახურის შესახებ« კანონითა და შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

„საჯარო სამსახურის შესახებ« კანონის 127-ე მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე, მოქმედება. მოხელეს შეუძლია სასამართლოში მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ« ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამასთან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. კანონის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც შესაბამის თანამდებობაზე მოხელის მოღების უფლებამოსილება გააჩნია.

სადავო ბრძანებაში მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მითითებულია „პოლიციის შესახებ« კანონის 21-ე მუხლის „თ« პუნქტი. აღნიშნული მუხლი ეხება პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, რომელსაც „თ« ქვეპუნქტი არ გააჩნია; აგრეთვე, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების« მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა« და „ა¹“ პუნქტები. აღნიშნული წესდება განსაზღვრავს სისტემის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების საფუძველს, სახდლებისა და წახალისების სახეებს, საქმის წარმოებისა და თანამშრომელთათვის დისციპლინური სახდლების შეფარდებისა და მოხსნის წესს. აღნიშნულ ბრძანებაში მითითებული წესდების მე-2 მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველსა და დისციპლინური გადაცდომის სახეებს, კერძოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების« მე-4 მუხლში მოცემულია დისციპლინური სახდლების შეფარდებისა და გამოყენების წესი.

„საჯარო სამსახურის შესახებ« საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მოხელის გათავისუფლებას სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. იმავე კანონის 78-ე მუხლის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება; ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა; გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. ხოლო 79-ე მუხლის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: შენიშვნა; გაფრთხილება; არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება - არა უმეტეს ერთი წლისა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 28 აპრილის #903/შ ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ეხება მოსარჩელეთა და ადმინისტრაციულ ორგანოს (მოპასუხეს) შორის საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას. აღნიშნული ბრძანება ზოგადია, არ არის გამოკვლეული და კონკრეტულად მითითებული, თუ რომელი სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის გამო იქნენ დათხოვნილი სამსახურიდან მოსარჩელენი. სასამართლომ ჩათალა, სადავო ბრძანებაში არ არის მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის სახე, რის გამოც მოხელეს სამსახურიდან შედარებით მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გარეშე პირდაპირ დაითხოვენ. დისციპლინური გადაცდომის შეფასების უფლებამოსილება გააჩნია დაწესებულების ხელმძღვანელობას, მაგრამ თუ შეფასება უსაფუძვლოა, მოხელეს შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები, მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით, მას ასევე შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა.

საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი. ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს, წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველზე, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა, რომ მოსარჩელებს ჰქონდათ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 24 აპრილის #90 კ/შ ბრძანება მოსარჩელების გათავისუფლების ნაწილში და არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და შეფასების შემდეგ მოპასუხე მხარეს უნდა დავალებოდა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით როგორც მოპასუხის, ასევე, მოსარჩელეთა მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეთა მიერ დისციპლინური დარღვევის თაობაზე ჩატარებულ იქნა სრულყოფილი გამოკვლევა კანონის მოთხოვნათა დაცვით და ამ გარემოების დასადასტურებლად მიუთითა წარმოდგენილ დასკვნაზე. სააპელაციო სასამართლოს აზრით, წარმოდგენილი დასკვნა, როგორც ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტი, რომელიც საფუძველად დაედო 28 აპრილის ბრძანებას, უნდა შეიცავდეს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რა სახის დარღვევა მოხდა მოსარჩელების მხრიდან. დასკვნის მიხედვით, მოსარჩელეთა ქმედება შეფასებულ იქნა საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა« ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევად. აღნიშნული ნორმა მოიცავს სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობას, ან არაჯეროვან შესრულებას. მოპასუხის მიერ არ არის დადასტურებული აღნიშნულ შემთხვევაში მოვალეობის შეუსრულებლობა იყო, თუ არაჯეროვანი შესრულება, რაც, ბუნებრივია, სხვადასხვა ქმედებას მოიცავს. ამასთან, არ არის მითითებული, კონკრეტულად რა ნორმა იქნა დარღვეული მოსარჩელეთა მიერ, რაც შეფასდა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად, თუ საერთოდ შეუსრულებლობად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შს მინისტრის #1310 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა შსს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების შესახებ ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს საპატრულო პოლიციის სამსახურის საქმიანობის

სამართლებრივ საფუძვლებს და მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მითითებული ინსტრუქციით მკაცრად რეგლამენტირებული პატრულ-ინსპექტორების უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, მათთვის მინიჭებული უფლების გადამეტება ან დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლებელია შეფასდეს სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად, რის საფუძველზეც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მისთვის მინიჭებულ დისკრეციის ფარგლებში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დამრღვევის მიმართ ადეკვატური დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ არის მითითებული, აღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული რომელი ნორმა დაირღვა მოსარჩელეთა მიერ. რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მიერ წარმოდგენილ განმარტებას მოსარჩელეთა მიერ ინსტრუქციის მე-18 მუხლის დარღვევის თაობაზე, სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმით დადგენილია პატრულ-პოლიციელის ვალდებულებანი პირის დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, ხოლო მომხდარი შემთხვევის გადმოცემისას, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელეებმა სამოქმედო ტერიტორია დატოვეს იმის გამო, რომ მათ დაზარალებულმა აცნობა ფერიის მთაზე (რომელიც არ შედიოდა მოსარჩელეთა სამოქმედო ტერიტორიაში), უკვე დასრულებული დანაშაულის შესახებ. დასკვნის მიხედვით, მოსარჩელეებმა ოცმეთაურს შეატყობინეს მომხდარის თაობაზე, მაშინ, როცა ოცმეთაური ზ. თ-მე ახსნა-განმარტებაში და სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხვისას განმარტავს, რომ მომხდარის შესახებ შეიტყო 2006 წლის 1 აპრილს პროკურატურაში მისვლისას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა სავალდებულოა, რათა სწორად იქნეს გადაწყვეტილი მოსარჩელეთა ქმედებების კანონიერების საკითხი, რის თაობაზეც მოპასუხის მიერ მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მითითებულ ნორმებთან ერთად დარღვეულია შსს #217 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მოთხოვნები, რადგან არ იქნა მითითებული დისციპლინური გადაცდომის არსი. ასევე, დასკვნა არ შეიცავს დასაბუთებას გამოყენებული დისციპლინური სახდელის შეფარდების საჭიროებაზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან მოპასუხის მიერ არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები, რაც შესაძლებელს გახდიდა მის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებას, ხოლო თანამშრომლის მიმართ სახდელის შეფარდების უფლებამოსილება გააჩნია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, სასამართლო უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს გასაჩივრებული აქტი და დაავალოს მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მოქმედებების კანონიერების განხილვისა და მათ მიმართ დისციპლინური სახდელის ამა თუ იმ ზომის გამოყენება-არგამოყენების თაობაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე მუხლების და შსს #217 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი, რადგან არსებობს გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისათვის მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ არსებითად არ არის გადაწყვეტილი სადავო საკითხი, შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთის მიღება, ანუ საკითხის გადაწყვეტა მოპასუხის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი, არსებითად გადაეწყვიტა მოსარჩელეთა მოთხოვნა სამსახურში აღდგენის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ იქნა გაზიარებული მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, უნდა დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რადგან სადავო ბრძანება ბათილად არის ცნობილი.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი სააპელაციო საჩივარი და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საქმის მასალებში წარმოდგენილია ყველა ის მტკიცებულება (ახსნა-განმარტებები, სამსახურებრივი შემოწმების დასკვა და სხვა), რომლებიც ცალსახად ადასტურებს შემდეგ გარემოებას: ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საფუძველზე დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად დაადასტურა, რომ ბ. ჯ-მემ და ვ. დ-მემ ჩაიდინეს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების შესახებ #217 ბრძანების მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, შეაფასა

დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, შინაარსი და ამ გარემოებათა ურთიერთმიჯერების საფუძველზე დისკრეციის ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სრული იგნორირება გაუკეთა საქმეში წარმოდგენილ კონკრეტულ მტკიცებულებებს და შესაბამისად დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებების გვერდის ავლით მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. საქმეში წარმოდგენილ მონიტორინგის სამსახურის მიერ მოკვლეული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნაში მითითებულია, რომ მოქალაქემ მიმართა მოსარჩევეებს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, რაზეც მოსარჩევეებს არ განუხორციელებიათ არანაირი სამსახურებრივი ვალდებულება. #217 დისციპლინური წესდების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილია, რომ თანამშრომელი შეიძლება დაითხოვონ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, თუ დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე მიზანშეუწონელს ხდის გადაცდომის ჩამდენის მუშაობას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამართლის აღნიშნული ნორმები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამართლებრივ საფუძველებს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სამსახურებრივი შემოწმების დასკვნაში არ არის დადგენილი მოსარჩევეებმა სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულეს, თუ არაჯეროვნად შეასრულეს, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება იმდენად მიზეზობრივ კავშირშია ერთმანეთთან, რომ კანონმდებელმა დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში ეს გადაცდომა ერთ პუნქტში მოაქცია და სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოსარჩევეებმა გარკვეული ქმედებებით სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ჩაიდინეს, ხოლო გარკვეული ქმედებებით კი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, რაც აღინიშნა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ჯ-ძისა და ვ. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი სააპელაციო საჩივარი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდის სააპელაციო პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებას მთლიანად, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინების კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 28 აპრილის #90 კ/შ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტის თანახმად, შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ა¹“ პუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის, „პოლიციის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის „თ“ პუნქტის, შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე, „საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების შესახებ“ შს მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის #303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-5 მუხლისა და შს მინისტრის #414 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების» მე-20 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი, ვ. დ-ძე და პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბ. ჯ-ძე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და დათხოვნილ იქნენ შს ორგანოებიდან საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს 2006 წლის 13 აპრილის დასკვნა.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების თანამშრომლების დისციპლინური წესით დასჯის შესახებ დასკვნაში მითითებულია, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გაირკვა, 2006 წლის 29 მარტს აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-

ინსპექტორები ვ. დ-მე და ბ. ჯ-მე არსებული გრაფიკის მიხედვით იმყოფებოდნენ განწესში და პატრულირებას ახორციელებდნენ საპატრულო პოლიციის ავტომანქანა «321-ით» სამოქმედო კვადრატში. დაახლოებით 14 საათზე, „321» ეკიპაჟს, მათ სამოქმედო კვადრატში პატრულირების დროს, კერძოდ, ქ. ბათუმში, წერეთლის ქუჩაზე, მიმართა უცნობმა მოქალაქემ, რომელმაც განაცხადა, რომ მას წართვეს ელექტრობეიბი ე.წ. „დრუჟა» და ითხოვა დახმარება. „321-ის» ეკიპაჟი დაუკავშირდა რადიოსადგურის საშუალებით თავის უშუალო ხელმძღვანელს, ოცმეთაურ ზ. თ-მეს და მოახსენეს აღნიშნულის შესახებ. ამის შემდგომ „321» ეკიპაჟმა ჩაისვა მოქალაქე საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში და წავიდა ე.წ. ფერიის დასახლების მიმართულებით, სადაც დაზარალებულის მითითებით მას ელექტრობეიბი წართვეს. შემთხვევის ადგილზე მისვლისას „321-ის» ეკიპაჟმა დაათვალიერა და ავტომანქანით შემოიარა მიმდებარე ტერიტორია, სადაც აღნიშნულმა მოქალაქემ ვერაფერი ამოიგნო. ამ ტერიტორიაზე მოძრაობის დროს „321» ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა კერძოდ, პატრულ-ინსპექტორმა ბ. ს-მემ დაზარალებულს განუმარტა, რომ გამოიძახებდნენ შემთხვევის ადგილზე შესაბამის განყოფილებას ან გადაიყვანდნენ განყოფილებაში, რაზედაც მოქალაქემ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მას ელექტრობეიბის წართმევის დროს ახლდა სხვა მოქალაქეც, რომელიც, მისი თქმით, უნდა ყოფილიყო პუშკინის ქუჩაზე და ითხოვა აღნიშნულ მისამართზე მიყვანა, თუმცა იქ მისვლისას დაზარალებულმა ვერ იპოვა თავისი ნაგებობა. იგი დაჰპირდა „321-ის» წევრებს, რომ იპოვიდა მას და შემდგომ დაუკავშირდებოდა «022-ის» საშუალებით.

დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ „321» ეკიპაჟის წევრებმა თვითნებურად მიიღეს არაობიექტური გადაწყვეტილება და ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ოცმეთაურ ზ. თ-მესთან შეუთანხმებლად, დატოვეს დაზარალებული პუშკინის ქუჩაზე და დაუბრუნდნენ თავის სამოქმედო კვადრატს, ვინაიდან მათი განმარტებით, მიიღეს შეტყობინება ქუჩის ჩახერგვის შესახებ, ჩახერგილ ქუჩაზე მოძრაობის მოწესრიგების შემდეგ ისინი კვლავ დაუბრუნდნენ პუშკინის ქუჩას, სადაც დაზარალებული აღარ დახვდათ. აღნიშნული შემდგომ სამორიგეო განყოფილებასა და «022-ის» ოპერატორთა ჟურნალებში გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2006 წლის 1 აპრილს პატრულ-ინსპექტორები ბ. ს-მე, ვ. დ-მე, ბ. ჯ-მე და ოცმეთაური ზ. თ-მე დაზარალებულ იქნენ აჭარის ა/რ პროკურატურაში, სადაც ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები. პროკურატურაში დაბარების შემდგომ მითითებულმა პატრულ-ინსპექტორებმა შეატყობინეს ხელმძღვანელობას მომხდარი ფაქტის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნაში მითითებულია, რომ ბ. ჯ-მემ და ვ. დ-მემ დაარღვიეს «საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი. დასკვნაში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პატრულ-ინსპექტორებს ვ. დ-მეს და ბ. ჯ-მეს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც დადასტურეს აღნიშნული ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ „პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 თავის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ» პუნქტის და «საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების» მე-3 მუხლის „თ» პუნქტის თანახმად აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი ვ. დ-მე და იმავე განყოფილების პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი ბ. ჯ-მე დათხოვნილ იქნენ შს ორგანოებიდან.

საქმეში წარმოდგენილი აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის განყოფილების წერილის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონის შს განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #173060120 საქმეზე ზ. ც-მესა და მ. ც-მეზე განხორციელებულ ყაჩაღობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინება, რომლითაც მას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან ხსენებული განჩინება ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს და არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნიდან.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააკელიციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეთა ქმედება შეფასებულ იქნა რა საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევად, მოპასუხის მიერ არ არის დადასტურებული აღნიშნულ შემთხვევაში მოვალეობის შეუსრულებლობა იყო, თუ არაჯეროვანი შესრულება. მოპასუხემ არ მიუთითა დისციპლინური გადაცდომის არსი; ასევე, დასკვნა არ შეიცავს დასაბუთებას გამოყენებული დისციპლინური სახდელის შეფარდების საჭიროებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «პოლიციის შესახებ» კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი სამსახურიდან დათხოვნა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2006 წლის 24 აპრილის #90 პ/შ ბრძანების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად არასწორადაა მითითებული «პოლიციის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის «თ» პუნქტი, მაგრამ აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების თანამშრომლების დისციპლინური წესით დასჯის შესახებ დასკვნაში, რომელიც წარმოადგენს სადავო ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველს, სწორად იქნა მითითებული მოსარჩელეთა მხრიდან „პოლიციის შესახებ» კანონის მე-7 თავის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ» პუნქტის და «საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ» პუნქტის დარღვევის ფაქტზე. სადავო ბრძანების შინაარსი კი მთლიანად შეესაბამება აღნიშნულ დასკვნას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის #217 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების» მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დასკვნაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: თანამშრომლის სახელი და გვარი, თანამდებობა, სახელმწიფო სპეციალური წოდება, შინაგან საქმეთა ორგანოებში და დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი, დისციპლინური გადაცდომის არსი, მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ გადაცდომის ფაქტს, დასაბუთება შესაძლო დისციპლინური სახდელის შეფასების თაობაზე, დასკვნის შედგენის თარიღი. მოცემული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

აღნიშნული წესდების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სახდელის დადებამდე თანამშრომელს უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც დაადასტურეს აღნიშნული ფაქტი.

ამიტომ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების» მე-4 მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის სადავო ბრძანების ბათილად ცნობის კანონით რეგლამენტირებული წინაპირობები - იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და შესაბამისად, არ არსებობს ბ. ჯ-მისა და ვ. დ-მის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი; ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში «პოლიციის შესახებ» კანონის შესაბამისი ნორმის არასწორად მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს არა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს დაშვებული შეცდომა, რომელიც მოსარჩელეთა მიმართებაში არ გულისხმობს სხვა სამართლებრივი შედეგის მქონე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივებს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორი გამოყენებისა და საქმის გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასების შესახებ; რადგან არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ პატრულ-ინსპექტორებმა ბ. ჯ-მემ და ვ. დ-მემ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო დაარღვიეს სამსახურებრივი დისციპლინა, რის გამოც მათ საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორად დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა შს ორგანოებიდან დათხოვნის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს და მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. არ დაკმაყოფილდეს ბ. ჯ-მისა და ვ. დ-მის სარჩელი უსაფუძვლოების გამო.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომის გამო

განჩინება

#ბს-731-703(კ-08) 31 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

პ. გ-ავამ 2007 წლის 22 თებერვალს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ 2003 წლიდან მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლად. 2005 წლის 15 აგვისტოს გათავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან. გათავისუფლების ბრძანებას საფუძვლად დაედო გენერალური ინსპექციის დასკვნა. აღნიშნული დასკვნა და გათავისუფლების ბრძანება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული იქნა სასამართლოს წესით, რაზედაც 2006 წლის 11 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 15 აგვისტოს #56 სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება და იუსტიციის სამინისტროს დაევალა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის შემდგომ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროს მიერ არ გასაჩივრებულა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ 2006 წლის 25 დეკემბრის ახალი დასკვნის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 9 იანვრის #1 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლებულდა სამსახურიდან. მოსარჩელე თვლის, რომ გენერალური ინსპექციის მიერ მომზადებული მეორე დასკვნა აბსოლუტურად იდენტური იყო პირველისა, განსხვავება მხოლოდ ის იყო რომ გენ. ინსპექცია დასკვნის ბოლოს უთითებს არსებულ დარღვევებზე, რაც, რა თქმა უნდა, არასწორად იქნა შეფასებული. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დასკვნაში მითითებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 79-ე მუხლის I პუნქტის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამსახურიდან განთავისუფლებაზე, რაც კანონდარღვევად მიაჩნია და განმარტავს, რომ გენ. ინსპექციას არანაირი უფლება ჰქონდა, დასკვნის ბოლოს განესაზღვრა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა აღნიშნული შეეძლო გადაეწყვიტა მინისტრს. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში იგი სამსახურიდან დათხოვნილია არა მინისტრის, არამედ - გენ. ინსპექციის მიერ. მოსარჩელე ასევე განმარტავს, რომ გენ. ინსპექციის მიერ დასკვნის მომზადებისას კვლავ არ იქნა გამოკვლეული დამატებითი გარემოებები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ და ბათილად ცნობის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ არსებული დარღვევების შემთხვევაშიც კი დასაბუთებული უნდა ყოფილიყო, თუ რატომ იქნა მოსარჩელის მიმართ უმაღლესი დისციპლინური სასჯელი - გათავისუფლება - გამოყენებული, რაც აღნიშნულ სადავო გათავისუფლების ბრძანებამიც კი არ არის განმარტებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით პ. გ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგენილია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 15 აგვისტოს #56 ბრძანება პ. გ-ავას სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულის საფუძველზე, ასევე, საქმეში წარმოდგენილი, 2006 წლის 25 დეკემბრის დასკვნით დადგენილი იქნა შემდეგი: 2005 წლის 30 მარტს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული იქნა #2/496-2004წ სააღსრულებო ფურცელი, 2005 წლის 1

აპრილს აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი შესასრულებლად გადაეცა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მოვალეობის შემსრულებელს - პ. გ-ავას. 2005 წლის 4 აპრილს მოვალეებს ჯ-იას და ბ-იას ჩაბარდათ წინადადება სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესულების შესახებ. იმავე დღეს სასამართლოს აღმასრულებელმა ყადაღა დაადო ჯ-იას უძრავ ქონებას, თუმცა სასამართლოს აღმასრულებელს არ მიუმართავს საჯარო რეესტრისათვის ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნით, რითაც დარღვეულ იქნა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 63.1 მუხლის I პუნქტი, 2005 წლის 6 აპრილს სასამართლოს აღმასრულებლის პ. გ-ავას მიერ შედგენილი ოქმიდან ირკვევა, რომ იგი გამოცხადდა მოვალე ბ-იას საცხოვრებელ მისამართზე, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, წინადადების ჩაბარების მიზნით, რაც ვერ განხორციელდა, რადგან მოვალე არ იმყოფებოდა სახლში და არც მოვალის მეუღლემ ჩაიბარა გაფრთხილება. ამავე დასკვნის თანახმად, 2005 წლის 7 აპრილს აღმასრულებელმა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურსა და შსს საინფორმაციო ანალიტიკურ სამმართველოს, რათა დაედგინა ირიცხებოდა თუ არა მოვალეებზე უძრავი ქონება ან ავტოსატრანსპორტო საშუალება. ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 8 აპრილის პასუხიდან ირკვევა, რომ მოვალეების სახელზე ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურში რაიმე სახის ქონება რეგისტრირებული არ ყოფილა, თუმცა ამავე პასუხიდან ირკვევა, რომ ტექნიკენტარიზაციის ბიუროს საარქივო მასალებით დ. ჯ-იას სახელზე აღრიცხული იყო უძრავი ქონება, მდებარე ქ. ზუგდიდში ... ქ. #18-ში. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ 2005 წლის 11 აპრილს, როგორც სააღსრულებო წარმოებიდან ჩანს, სასამართლო აღმასრულებელი პ. გ-ავა კვლავ გამოცხადდა მოვალის ბ-იას საცხოვრებელ მისამართზე სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების ჩაბარების მიზნით, სადაც მოვალე არ დახვდა, ხოლო ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს გაფრთხილების ჩაბარებაზე. 2005 წლის 15 აპრილს სასამართლოს აღმასრულებელმა მოვალე ბ-იას ჩააბარა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, მაგრამ მოვალის ქონებას აღმასრულებლის მიერ იმავე დღეს ყადაღა არ დადებია, რითაც დაარღვია «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის I პუნქტი, კერძოდ, გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისას სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს უზღავნის წინადადებას ხუთი დღის ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, ხოლო ფულის ან ქონების გადახდევინების წინადადების ჩაბარებასთან ერთად სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას ამავე კანონით დადგენილი წესით.

სასამართლომ გაიზიარა დასკვნა, რომლის თანახმადაც 2005 წლის 22 აპრილს სასამართლო აღმასრულებლის პ. გ-ავას მიერ დაყადაღებული იქნა მოვალე ბ-იას მოძრავი ქონება, დაყადაღების ოქმები შედგენილია «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 48 მუხლის I პუნქტის «ე» ქვეპუნქტის დარღვევით, კერძოდ სასამართლოს აღმასრულებელმა არ აღწერა დაყადაღებული ქონების განმასხვავებელი ნიშანი, ასევე მოვალის უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღების შემდეგ არ მიუმართავს საჯარო რეესტრისთვის ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნით, რითაც აღმასრულებლის მიერ დარღვეულ იქნა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 63¹ მუხლის I ნაწილის მოთხოვნა. ასევე დადგენილია, რომ 2005 წლის 11 მაისს კრედიტორის წარმომადგენელმა მოითხოვა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, განკარგულების გაცემა აუქციონის გამოცხადების შესახებ ბ-იას დაყადაღებულ ქონებაზე. 19 მაისს გაიცა განკარგულება, 2005 წლის 27 მაისს გაიმართა იძულებითი აუქციონი, დაყადაღებულ ქონებაზე, რაც მყიდველის არ არსებობის გამო უშედეგოდ დასრულდა. 2005 წლის 17 ივნისს გაიმართა განმეორებითი იძულებითი საჯარო აუქციონი, სადაც რეალიზებული იქნა ავტომანქანა ვაზ-2106. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს აღმასრულებლის მიერ წარმოდგენილ წარმოებაში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ავტომანქანა ვაზ-2106 არის მოვალის საკუთრება, მითუმეტეს დასკვნით დადგენილია, რომ სასამართლოს აღმასრულებელს შსს საინფორმაციო სამსახურმა აცნობა, რომ მოვალე თ. ბ-იას სახელზე რაიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული არ იყო, ასევე, აუქციონის გამართვამდე არ გადაუმოწმებია ავტომანქანის მესაკუთრის ვინაობა, რითაც ავტომანქანის აუქციონზე გატანისას დარღვეულ იქნა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის II პუნქტი და 69-ე მუხლი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის და მე-5 მუხლის «ბ» პუნქტის თანახმად სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი პ. გ-ავა, როგორც საჯარო მოხელე, ვალდებული იყო და არ შეასრულა ამავე კანონის 52-ე მუხლის მოთხოვნა. დასკვნით ირკვევა და სასამართლოსათვის დადგენილია, რომ პ. გ-ავას მიერ ჩადენილია ამავე კანონის 78-ე მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინარული გადაცდომა - სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულება, რამაც გამოიწვია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე გამოიცა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 9 იანვრის #1 §42 ბრძანება, რომლის გამოცემამდე გამოკვლეული იქნა ყველა არსებითი გარემოება და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

პ. გ-ავამ სააპელაციო საჩივარი შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინებით პ. გ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე მათ სამართლებრივ შეფასებას და განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა მათ გამაბათილებელ არგუმენტაციას. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ორჯერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად მომზადებული და მიღებულია იდენტური დასკვნები მოსარცელის მიერ სამსახურებრივ მოვლეობათა არაჯეროვნად შესრულების შედეგად დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა პ. გ-ავამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორი თვლის, რომ გენერალური ინსპექციის მიერ მომზადებული მეორე დასკვნა აბსოლუტურად იდენტური იყო პირველისა, განსხვავება მხოლოდ ის იყო რომ გენ. ინსპექციამ დასკვნის ბოლოს მიუთითა არსებულ დარღვევებზე, რაც, რა თქმა უნდა, არასწორად იქნა შეფასებული. კასატორი აღნიშნავს, რომ დასკვნაში მითითებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 79-ე მუხლის I პუნქტის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამსახურიდან განთავისუფლებაზე, რაც კანონდარღვევად მიაჩნია და განმარტავს, რომ გენ. ინსპექციას არანაირი უფლება არ ჰქონდა დასკვნის ბოლოს განესაზღვრა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა აღნიშნული შეეძლო გადაეწყვიტა მხოლოდ მინისტრს. მოსარჩელე თვლის, რომ აღნიშნულ შემთხვევაში იგი სამსახურიდან დათხოვილ იქნა არა მინისტრის, არამედ გენ. ინსპექციის მიერ. კასატორი ასევე თვლის, რომ გენ. ინსპექციის მიერ დასკვნის მომზადებისას კვლავ არ იქნა გამოკვლეული დამატებითი გარემოებები. არსებული დარღვევების შემთხვევაშიც კი დასაბუთებული უნდა ყოფილიყო, თუ რატომ იქნა მის მიმართ უმაღლესი დისციპლინური სასჯელი გათავისუფლება გამოყენებული. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ სრულიად არასწორად იქნა განმარტებული «სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 63.1 და 28-ე მუხლების მოთხოვნები. ავტომანქანაზე ყადაღის დადების ფაქტთან დაკავშირებით კასატორი განმარტავს, რომ იუსტიციის სამინისტრომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველად გამოიყენა «სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის მე17.5 და 63.1 მუხლების დარღვევები. ავტომანქანაზე ყადაღის დადების შემდგომ ირკვევა, რომ ავტომანქანას, რომელიც ირიცხებოდა თ. ბ-იას საკუთრებაში, გააჩნდა ძველი ტექ-პასპორტი, რითაც დასტურდებოდა ქონების მესაკუთრის ვინაობა; ასევე აღნიშნულ ქონებაზე სხვა პირს პრეტენზია არ გნუცხადებია, რაც დასტურდება ასევე წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ თ. ბ-იას წერილით, საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული ავტომანქანა სინამდვილეში მისი საკუთრება იყო და შესაბამისად აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ მოქმედებს არ აპროტესტებდა; ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ მითითებული მუხლები მის მიერ დარღვეული არ ყოფილა, დარღვევების არსებობის შემთხვევაშიც კი ადმინისტრაციას არ შეიძლებოდა მიეჩნია ისეთი სიმძიმის დარღვევად, რომელიც მხარის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდებოდა. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მას ამ შემთხვევაშიც არ ჰქონდა მიღებული სხვა დისციპლინარული სასჯელი და შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო სასჯელის მსუბუქი ზომა. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ დამიმუხტულ იქნა გათავისუფლების საფუძველები და დასაბუთებაში მითითებულია, რომ პ. გ-ავამ აღსრულების პერიოდში დაარღვია «სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 69-ე მუხლის მოთხოვნები; ხოლო, რა კონკრეტული ქმედებით დაირღვა აღნიშნული მოთხოვნები, სასამართლოს მიერ დასაბუთებული არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. გ-ავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 11 აგვისტოს #3ბ/1075-06 გადაწყვეტილებით პ. გ-ავას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოცემულ საქმეზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; პ. გ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 15 აგვისტოს #56 ბრძანება პ. გ-ავას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და იუსტიციის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოკვლეულ იქნა

ზუგდიდის რაიონული პროკურატურის მომართვის საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები; აღნიშნულის შედეგად მომზადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2006 წლის 25 დეკემბრის დასკვნა. ამ დასკვნის თანახმად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 30 მარტს გაცემული იქნა #2/496-2004წ. სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით სოლიდარული პასუხისმგებლობის ჯგუფის «ალიანსის» წევრებს თ. ბ-იას დ. ჯ-იას, რ. ბ-იას, ნ. შ-იას, მ. ჯ-ავას, მ. გ-ავას და ი. ა-იას სოლიდარულად «მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის» სასარგებლოდ დაეკისრათ 2714,57 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდა, ასევე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 75.35 ლარის გადახდა. 2005 წლის 1 აპრილს აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი შესასრულებლად გადაეცა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მოვალეობის შემსრულებელს პ. გ-ავას. პ. გ-ავამ 2005 წლის 4 აპრილს მოვალეს დ. ჯ-იას და რ. ბ-იას ჩააბარა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, მაგრამ მან მოვალეებზე გაფრთხილების ჩაბარებისას დაუყოვნებლივ არ მოახდინა მოვალეთა ქონების აღწერა-დაყადაღება, მოვალეების ქონების აღწერისას, აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება და განმასხვავებელი ნიშნები არ იქნა დაფიქსირებული, მოვალეთა ქონების დაყადაღების შემდგომ ყადაღის აქტი არ ყოფილა გაგზავნილი შესაბამის უწყებებში რეგისტრაციისათვის. 2005 წლის 24 ივნისს სასამართლო აღმასრულებლის მიერ გაცემული იქნა განკარგულება აუქციონზე რეალიზებული ქონების შემძენზე გადასვლის შესახებ, მაგრამ სააღსრულებო წარმოებიდან გაირკვა, რომ შემძენის მიერ სრულად არ ყოფილა გადახდილი აუქციონზე შეძენილი ქონების სავსური, რის გამოც აღმასრულებელმა მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მის მიერ გაცემული განკარგულების გაუქმების მოთხოვნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2006 წლის 25 დეკემბრის დასკვნის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 2007 წლის 9 იანვარს გამოსცა #1 §42 ბრძანება, რომლითაც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მოვალეობის შემსრულებელი პ. გ-ავა განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ პ. გ-ავას მიერ ჩადენილია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინარული გადაცდომა - სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულება, რამაც გამოიწვია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება, ამიტომ საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 9 იანვრის #1 §42 ბრძანების გამოცემამდე გამოკვლეული იქნა ყველა არსებითი გარემოება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც პ. გ-ავას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. პ. გ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მერიის თანამშრომლის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-821-783(კ-07)

17 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (მომხსენებელი, თავმჯდომარე),
მ. ჩინჩალაძე
ლ. ლაზარაშვილი

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 5 აპრილს დ. ფ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, ნ. მ-შვილმა, მ. კ-შვილმა და ნ. ბ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის მერიის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანებით ქ. თბილისის მერიის სათბობ-ენერგეტიკის განყოფილებისა და ენერგოუზრუნველყოფის ბიუროს ბაზაზე შეიქმნა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, რომელიც წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს და იყო ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული, ენერგეტიკის რეგულირების მიზნით შექმნილი საბიუჯეტო დაწესებულება. იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა დედაქალაქის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, როგორც უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს ურთულესი ენერგეტიკული დარგების შერწყმითა და სინთეზური ურთიერთობის გზით, მისი ჰარმონიული და მდგრადი განვითარების პრინციპების ხელშეწყობა-დამკვიდრებას. «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის გაუქმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2004 წლის 2 ივნისის #6 ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური და ამ სამსახურის უფლებამოსილებები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გადაეცა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს, რომლის სტრუქტურაშიც შეიქმნა ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება. მოხდა სამსახურების რეორგანიზაცია-შერწყმის გზით შტატების შემცირება 12 საშტატო ერთეულიდან 6 საშტატო ერთეულამდე. არსებული წესით მუშაობა მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში. გაწეული სამუშაოებიდან და დაგროვებული შეუსრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, რაც შტატების სიმცირით, უფლებების შეკვეცითა და ხსენებული სამსახურის ლიკვიდაციით იყო გამოწვეული, «ქალაქ თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების საფუძველზე, ქ. თბილისის მმართველობის სისტემაში, სისტემის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ხელმოერედ შეიქმნა ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, რომლის კომპეტენციას იმჟამად განეკუთვნებოდა ენერგეტიკის საკითხების მართვა. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, რომლითაც განისაზღვრა ამ საქალაქო სამსახურის სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა.

მოსარჩელეთა აღნიშვნით, «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება. ამ დებულებით განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის ახალი სტრუქტურა და აღნიშნული ბრძანებულების განსახორციელებლად და უზრუნველსაყოფად გამოიკა შემდეგი აქტები: «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულება; «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 7 მარტის #22 განკარგულება; «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ საკადრო ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულება; «ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ცალკეული საქალაქო სამსახურების სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 29 მარტის #14 განკარგულება.

მოსარჩელეთა მტკიცებით, ზემოაღნიშნული განკარგულებები იყო დაუსაბუთებელი, ისინი ეწინააღმდეგებოდა კანონს და დარღვეული იყო მათი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, აგრეთვე, მათი შესრულება გამოიწვევდა კანონდარღვევას, ისინი არ იყო დაფუძნებული კანონმდებლობის პრინციპებზე და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ

აქტი უნდა ყოფილიყო სამართლებრივი დასაბუთება. მასში მითითებული უნდა ყოფილიყო ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოცემულიყო წერილობითი დასაბუთებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ კონკრეტული განსახორციელებელი ღონისძიების, რომელიც ზემოხსენებულ აქტებში იყო მითითებული, წინმსწრები უნდა ყოფილიყო მათში ასახული მოქმედების სახელმწიფოსათვის საჭიროებაზე მითითება. აღნიშნული აქტების გამოცემისას, რომლებიც ითვალისწინებდა გარკვეული სამსახურების ლიკვიდაციას, რეორგანიზაციასა და გარდაქმნას, არ იყო შესწავლილი გარემოებები, რომლებიც დასაბუთებდა ლიკვიდაციის აუცილებლობას. ენერგეტიკის სამსახური ახორციელებდა მნიშვნელოვან ფუნქციას ქ. თბილისში არსებული ენერგეტიკის რეგულირების სფეროში და იმაჟამად ქ. თბილისის მერიას ქალაქის მმართველობით სისტემაში არ შეუქმნია არც ერთი შიდა სამსახური, რომელიც აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ უზრუნველყოფდა შესაბამისი დარგის ან სამსახურის ფუნქციაში შემავალი კომპეტენციის განხორციელების შესაძლებლობას. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის მიზანშეწონილობა სახელმწიფოს მიერ არანაირად დასაბუთებული არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. უფრო მეტიც, დოკუმენტი, რომელიც ენერგეტიკის სამსახურის ლიკვიდაციას ითვალისწინებდა, დაფუძნებული არ იყო საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებულ ბრძანებულებაზე, რომელიც ენერგეტიკის სფეროს მიკუთვნებულ უამრავ შენარჩუნებულ ფუნქციაზე მიუთითებდა, რაც ცალსახად ადასტურებდა სახელმწიფოს მიერ ასეთი ფუნქციის განსახორციელებლად სამსახურის არსებობის აუცილებლობას.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სტრუქტურაში შემავალ ერთადერთ დარგობრივ ერთეულს და იმავდროულად, ერთადერთ შუალედურ რგოლს მოსახლეობასა და სხვადასხვა ენერგოსამსახურსა თუ ენერგოკომპანიას შორის. ტრადიციულად, ქ. თბილისის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურს დავალებული ჰქონდა შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საქალაქო მეურნეობის სათანადოდ მომზადებისათვის გასატარებელი ღონისძიებების დადგენილების პროექტის შემუშავება. აღნიშნული პრობლემა მუდმივი იყო დედაქალაქისათვის, რადგანაც, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ზამთარი, უკვე იწყებოდა მომავალი ზამთრისათვის მზადება, ანუ იგი წარმოადგენდა მუდმივ, უწყვეტ ციკლს და მას პერმანენტული, გეგმაზომიერი და დროული მუშაობა ესაჭიროებოდა. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის მიერ, მთავრობის დავალებათა შესაბამისად, შემუშავებული იყო: ა) ქ. თბილისის ენერგოსექტორის ანტიკრიზისული პროგრამა და იგი მომზადებული იყო საპრევენტა-ციოდ; ბ) გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მეურნეობის ევროსტანდარტების დონეზე დამუშავებული სამშენებლო ნორმები და წესები; გ) გათბობისა და ვენტილაციის თანამედროვე სამშენებლო ნორმები და წესები. «გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მეურნეობის ნორმებისა და წესების» შემუშავებით შესაძლებელი გახდა მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლებისათვის ამ აუცილებელი სფეროს საბოლოოდ მოწესრიგება მისი უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად. დასახელებული სამსახური დიდ სამუშაოს ეწეოდა ქ. თბილისის ენერგორეგულირების სფეროში.

მოსარჩელეთა მტკიცებით, ისინი მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურში კომპეტენციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე დანიშნული იყვნენ კონკრეტულ თანამდებობებზე და ითვლებოდნენ საჯარო მოხელეებად. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ისინი, როგორც საჯარო მოხელეები, გაფრთხილებული უნდა ყოფილიყვნენ ადმინისტრაციის მიერ დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების გამო, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რაც არ განხორციელებულა. «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ საკადრო ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულებით გამოქვეყნდა გაურკვეველი შინაარსის აქტი დანართებითურთ, რომელშიც დაკონკრეტებული არ იყო, ქ. თბილისის მერიის რომელ სამსახურს შეეხო რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. ხსენებული განკარგულება ფორმის დაუცველად იყო გამოცემული, არ ითვალისწინებდა მის არსს - მოხელეთა გაფრთხილებას, რის გამოც იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დადაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება, ენერგეტიკის სამსახურის ფუნქცია და უფლებამოსილება შენარჩუნებული იყო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ აღნიშნული შეიძლება ყოფილიყო არა ლიკვიდაცია, არამედ - ორგანიზაციის რეორგანიზაცია გარდაქმნა-შერწყმის გზით. ზემოაღნიშნული განკარგულებები იყო დაუსაბუთებელი და მათი შესრულება გამოიწვევდა ხსენებული სამსახურის პარალიზებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» ქ. თბილისის მერიის

2005 წლის 7 მარტის #22 განკარგულების, «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ საკადრო ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულების, «ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ცალკეული საქალაქო სამსახურების სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 29 მარტის #14 განკარგულების ბათილად ცნობა და მათი მოქმედების შეჩერება.

2005 წლის 27 მაისს დ. ფ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, ნ. მ-შვილმა, მ. კ-შვილმა და ნ. ბ-ქემ კიდევ ერთი სასარჩელო განცხადებით მიმართეს აშჯერად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის მიმართ.

მოსარჩელებმა მიუთითეს 2005 წლის 5 აპრილის სასარჩელო განცხადებაში მოყვანილ გარემოებებზე და დამატებით განმარტეს, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა «ქალაქ თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების მე-5 პუნქტის საფუძველზე შექმნილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულებით ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულება. აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა. აღნიშნული აქტით ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ფუნქციები შეერწყა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ფუნქციებს. მოსარჩელები მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურში. ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულებით მოხდა მათი, როგორც მოხელეთა, გათავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულების თანახმად კი ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულება. აღნიშნული აქტებით სამართლებრივად გაფორმდა ხსენებული სამსახურის გაუქმება და ამ საფუძველზე მოხელეთა გათავისუფლება, ფაქტობრივად კი, განხორციელდა არა ამ სამსახურის ლიკვიდაცია, არამედ თავისი სამართლებრივი შედეგებით, მისი რეორგანიზაცია-გარდაქმნა შერწყმის გზით, ხოლო ხსენებული სამსახურის მოხელეებზე გავრცელდა ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირადად, უშუალოდ მიადგათ ზიანი მოსარჩელებს, მათ კანონიერ შრომით უფლებებსა და ინტერესს, აგრეთვე, უკანონოდ შეეზღუდათ და შეელახათ შრომის უფლება.

მოსარჩელეთა მტკიცებით, გასაჩივრებული აქტები იყო დაუსაბუთებელი, ეწინააღმდეგებოდა კანონს, დარღვეული იყო მათი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, აგრეთვე, მათი შესრულება გამოიწვევდა კანონდარღვევას, ისინი არ იყო დაფუძნებული კანონმდებლობის პრინციპებზე, გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს, არაუფლებამოსილი პირების მიერ და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. აღნიშნული აქტების გამოცემისას შესწავლილი არ იქნა გარემოებები, რომლებიც დაასაბუთებდა ზემოხსენებული სამსახურის ლიკვიდაციის აუცილებლობას, მით უმეტეს, რომ ქ. თბილისის მერმა 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცებული ახალი დებულებით შექმნა სამსახური, რომელსაც აბსოლუტურად იდენტური ფუნქციები გააჩნდა. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის მიზანშეწონილობა სახელმწიფოს მიერ არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო დასაბუთებული. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანების გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 213-ე მუხლი და მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

მოსარჩელეთა განმარტებით, რაც შეეხებოდა მათი სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებას, ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულებაში მათი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მიეთითა ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია. ამდენად, თუ სასამართლო დასახელებული სამსახურის ლიკვიდაციას უკანონოდ მიიჩნევდა, მოისპობოდა გათავისუფლების საფუძველიც და სასამართლო ვალდებული იქნებოდა, მიეღო გადაწყვეტილება მათი სამსახურში აღდგენის შესახებ. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლი ითვალისწინებდა მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლებას დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა დაწესებულებას, რომლის ლიკვიდაციაც არ მომხდარა, რის გამოც არ არსებობდა მათი გათავისუფლების საფუძველი.

მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ახალი დებულებით განისაზღვრა ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის უფლებამოსილებანი. აღნიშნულ დებულებაში და არც

«საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონში, რომელშიც დეტალურად იყო მითითებული ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის კომპეტენციები (22-ე და 24-ე მუხლები), საქალაქო სამსახურების შექმნა და გაუქმება არ წარმოადგენდა ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის კანონმდებლობით გათვალისწინებულ, უშუალო კომპეტენციას. ქ. თბილისის მერიის მანამდე მოქმედი დებულებით აღნიშნული ფუნქცია მინიჭებული ჰქონდა ქ. თბილისის მერს, რაც ქ. თბილისის მერიის ახალი დებულებით გაუქმდა. შესაბამისად, გამოსცა რა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანება, ქ. თბილისის მერი მოქმედებდა სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით. ასევე კანონშეუსაბამო იყო ქ. თბილისის პრემიერის შესაბამისი განკარგულებაც, ვინაიდან «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, მას არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალური უფლებამოსილება (24-ე მუხლი). ხსენებული ახალი დებულების თანახმად, საქალაქო სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრებოდა ქ. თბილისის პრემიერის წარდგინებით ქ. თბილისის მერის მიერ დამტკიცებული სამსახურის დებულებით. აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანებისა და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.

მოსარჩელეთა განმარტებით, დაირღვა გასაჩივრებული აქტების მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულების, ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულების, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანების ბათილად ცნობა, წინანდელ სამუშაო ადგილზე დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ივნისის განჩინებით მოსარჩელებს - დ. ფ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-მის სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანების ბათილად ცნობას, მიღებულ იქნა წარმოებაში; დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-მის სარჩელი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულებების ბათილად ცნობას, სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე, განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით (ზემოაღნიშნული, იმავე კოლეგიის მიერ წარმოებაში მიღებული) ადმინისტრაციული საქმე დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-მის სარჩელის გამო მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ, ამავე კოლეგიის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით, გადაეცა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე დ. ფ-შვილისა და სხვათა სარჩელის გამო მოპასუხე ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე ერთ წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციულ საქმესთან დ. ფ-შვილისა და სხვათა სარჩელის გამო მოპასუხე ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულება მოსარჩელეთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერიას დაევალა იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში მოთხოვნა იყო საფუძვლიანი, ვინაიდან ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ლიკვიდირებულად ჩაითვალიდა «ქ. თბილისის მმართველობითი სისტემის

სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების მე-5 პუნქტის საფუძველზე შექმნილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება, ხოლო ხსენებული სადავო აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედი იმავე კოდექსის მე-60 მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადებულიყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მერმა 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების გამოცემას საფუძველად დაუდო «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელთა თანახმად, მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებს და განკარგულებებს და უფლებამოსილი იყო ძალადაკარგულად გამოეცხადებინა მის მიერვე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი. აღნიშნული ნორმების ხსენებული მითითება კი შეუსაბამობაში იყო იმ სპეციალურ კანონმდებლობასთან, რომელიც განსაზღვრავდა ქ. თბილისის მერის, როგორც საქართველოს დედაქალაქის - თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირის უფლებამოსილებას, კერძოდ, «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებით მერს არ ჰქონდა მინიჭებული ზემოხსენებული ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. საქალაქო სამსახურების გაუქმების უფლებამოსილება ქ. თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო იგი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულება, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. ამდენად, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას და არასებრება მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ, ვინაიდან სამართლის თითოეული ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ჩატარებულ იქნა კონკურსი და აღნიშნული წესით აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით თანამდებობებზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული პირები, მოცემულ შემთხვევაში ხსენებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გამოიწვევდა ქ. თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, იგი ძალადაკარგულად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს ან გამოიწვევდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილი იყო, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბათილად ცნობის ნაცვლად, გამოეცხადებინა ძალადაკარგულად, რასაც განამტკიცებდა, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, აღნიშნული კოდექსის მიზანი იყო უზრუნველყო არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, არამედ საჯარო ინტერესების დაცვა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერს უნდა დავალებოდა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულში - ენერგეტიკის საქალაქო სამსახურში, რომელიც წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობისათვის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში კანონმდებლობით მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილ დარგობრივი მმართველობის ორგანოს. ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #149 სადავოდ ქცეული განკარგულებით მოსარჩელები გათავისუფლებულ იქნენ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა, რამდენადაც ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა მხოლოდ ქ. თბილისის მერია და არა მისი სტრუქტურული ერთეულები, ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაციის შესახებ აქტი კი არ გამოცემულა. ქ.

თბილისის მერმა 2005 წლის 5 მაისს გამოსცა #23 ბრძანება, რომლითაც ლიკვიდირებულად გამოცხადდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, რაც, გარდა იმისა, რომ წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო ნორმატიულ აქტს, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დგინდებოდა, რომ ხსენებული სამსახურის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა, კერძოდ, ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #482 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2004 წლის 14 ივნისის #209 განკარგულება. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით კი დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ახალი დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა. ამ დებულების შესაბამისად, ხსენებული სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა დედაქალაქის ენერგოუზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკისა და ენერგეტიკული სექტორის შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, განხორციელდა ზემოაღნიშნული ენერგეტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურების რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და არა ლიკვიდაცია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, ხოლო რეორგანიზაციის დროს მოხელის გათავისუფლება დასაშვებია იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება ამავე კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, მოხელე არ შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, თუ იგი თანახმა იყო დანიშნულიყო სხვა თანამდებობაზე, შეთავაზებული კი შეიძლება ყოფილიყო სხვა, იგივე ან უფრო დაბალი რანგის თანამდებობა, ან სამუშაო ადგილი, მაგრამ შეთავაზება აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მხოლოდ ამის შემდეგ იყო ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, თავად ადმინისტრაცია იყო ვალდებული, შეთავაზებინა მუშაკისთვის სხვა თანამდებობა და მუშაკის მხრიდან შესაბამისი განცხადებით მიმართვის არარსებობა ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებდა აღნიშნული მოვალეობისაგან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო განკარგულება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის დადგენილი პროცედურული საკითხების უგულვებლყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის - მოსარჩელეთა სამუშაოზე ადდგენის გადაწყვეტილად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულება ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის თანაშრომელთა თანამდებობებიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს უნდა დავალებოდა იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, მათთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. ამავე დროს მოსარჩელებს უნდა ანაზღაურებოდათ სამსახურიდან გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება, ხოლო მოსარჩელეთა გათავისუფლების ბრძანება იმ ეტაპზე ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს დ. ფ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, ნ. მ-შვილმა, მ. კ-შვილმა და ნ. ბ-მემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. თბილისის მერიამაც, რომელმაც მოითხოვა

გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 მარტის საოქმო განჩინებით ქ. თბილისის პრემიერი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე ქ. თბილისის მერიით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ «ქალაქ თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების მე-5 პუნქტით ქ. თბილისის მერიის მმართველობის სისტემაში შეიქმნა ენერგეტიკის საქალაქო სამსახური და მისი მმართველობის სფეროში ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მმართველობის სფეროდან გადავიდა ენერგეტიკის საკითხების მართვა. «ქალაქ თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანებით, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, «ქალაქ თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების მე-5 პუნქტის საფუძველზე შექმნილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური გამოცხადდა ლიკვიდირებულად. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულებით, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულება. აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-3 მუხლის «ე» ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა #1 (დებულება) და #2 (სამსახურის სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა) დანართების თანახმად. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელები, რომლებიც მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურში და წარმოადგენდნენ მოხელეებს, 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. მოსარჩელები ითხოვდნენ რა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას (მათი მიღების მომენტიდან), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ამოწმებდა მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა საქალაქო სამსახურის გაუქმებისა და შექმნის უფლება. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანებით შეიქმნა ენერგეტიკის საქალაქო სამსახური.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების (მოსარჩელები) მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს, არაუფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ და დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესი და დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების პირველი პუნქტით დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება, ხოლო მე-4 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება. იმავე დებულების მესამე მუხლით განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა და შეიქმნა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო მის საფუძველზე, ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიულ აქტი, ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა რა ქ. თბილისის მერიის ახალი დებულება და ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა, ლიკვიდირებულად გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული

პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობი ცენტრი, ძალადაკარგულად გამოცხადდა «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 თებერვლის #63 და «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობი ცენტრის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 21 თებერვლის #54 ბრძანებულებები, რადგან «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული სამსახურები საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებებით იყო შექმნილი. რაც შეეხებოდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში შემავალ საქალაქო სამსახურებს, რომლებიც ქ. თბილისის მერის ბრძანებებით იყო შექმნილი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის საფუძველზე, ანალოგიურად უნდა მომხდარიყო მათი ლიკვიდაცია და ძალადაკარგულად გამოცხადებულიყო საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ არსებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით განისაზღვრა რა საქალაქო სამსახურების რაოდენობა და დასახელება, საჭირო გახდა ქ. თბილისის მერიის მხრიდან ზემოხსენებული ძალადაკარგული ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება და რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურის საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნულ ახალ ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერმა 2005 წლის 5 მაისის #23 სადავო ბრძანება გამოსცა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება ჰქონდა აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ქ. თბილისის მერის ბრძანებით შექმნილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური კი უკვე გათვალისწინებულიც აღარ იყო ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მიხედვით. «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად. ხსენებული ბრძანება გამოცემული იყო «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო ბათილი, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ამ საქმის მასალების თანახმად, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა არ დასტურდებოდა და შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის საფუძველიც არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა რა «ქ. თბილისის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულება, აღნიშნული განკარგულების მიღებისას ქ. თბილისის პრემიერი ხელმძღვანელობდა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ქ. თბილისის პრემიერმა ძალადაკარგულად გამოაცხადა თავისივე განკარგულება, რისი უფლებამოსილებაც მას კანონის მიხედვით გააჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-3 მუხლის «ე» ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის ეკონომიკური

პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა #1 (დებულება) და #2 (საშტატო ერთეულების ნუსხა) დანართების თანახმად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, იყო უსაფუძვლო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების წინაპირობა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში განსაზღვრულ იქნა ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. იმავე დებულების მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის თანახმად კი საქალაქო სამსახურების დებულებების, სტრუქტურებისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცება განეკუთვნებოდა ქ. თბილისის მერის უფლებამოსილების სფეროს. ამდენად, აღნიშნული ბრძანება ქ. თბილისის მერის მიერ გამოცემულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, მისივე უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, მისი დებულების თანახმად, წარმოადგენდა ქ. თბილისის კომპეტენციას მიკუთვნებულ, ენერგეტიკის სექტორის გეგმური განვითარების მიზნით შექმნილ საბიუჯეტო დაწესებულებას, რომელიც «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების საფუძველზე დედაქალაქისათვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევდა ქალაქის ენერგეტიკულ სექტორში შემავალი ადგილობრივი დანიშნულების საწარმოებისა და დარგობრივი სამსახურების საქმიანობას, მათ შორის, ელექტროენერგეტიკაში, გაზიფიცირებაში, თბომეურნეობაში, წყალმომარაგებაში ენერგოუზრუნველყოფის მიზნით. რაც შეეხებოდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს, რომელიც მისი დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების საფუძველზე, ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა, ამავე დებულების მე-2 მუხლის (სამსახურის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები) მე-2 პუნქტის «ი» ქვეპუნქტის თანახმად, მისი ერთ-ერთი მიზანი იყო დედაქალაქის ენერგოუზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკისა და ენერგეტიკული სექტორის შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, ამასთან, ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოთა სისტემას, აღნიშნული კი არანაირად არ ადასტურებდა მოსარჩელების მითითების საფუძველიანობას ენერგეტიკის სამსახურის რეორგანიზაციის და არა ლიკვიდაციის თაობაზე. მითითებული გარემოებებით დასტურდებოდა ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ფაქტი, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, აღნიშნული გარემოება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს წარმოადგენდა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულების მართებულობას ადასტურებდა.

საქმის მასალების ერთიანი ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემული იყო უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონის მოთხოვნათა დაცვით, რის გამოც სარჩელი მათი ბათილად ცნობის თაობაზე იყო უსაფუძვლო. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლო იყო მოსარჩელეთა დანარჩენი მოთხოვნებიც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. ფ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, ნ. მ-შვილმა, მ. კ-შვილმა და ნ. ბ-მემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორები მიუთითებენ სარჩელში მოყვანილ გარემოებებზე და დამატებით განმარტავენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე ამავე პალატის მიერ გამოტანილი კონკრეტული გადაწყვეტილებისაგან და ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე დადგენილი პრაქტიკისაგან, კერძოდ, #ბს-108-102(კ-07) საქმეზე მიღებული განჩინებისაგან. ხსენებულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად, დადგენილად და უდავოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ ამავე საქმეზე დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ გასაჩივრებული ბრძანება იყო ბათილი და არსებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული აქტი ეწინააღმდეგებოდა კანონს და დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, იგი არაკანონიერი იყო - მისი გამოცემის მომენტში ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა იმავე ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. ქ. თბილისის მერის უფლებამოსილების განმსაზღვრელი სპეციალური კანონმდებლობით - „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მიხედვით, ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ლიკვიდაციის ბრძანებების გამოცემის უფლებამოსილება. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და გადაწყვიტა, რომ ქ.

თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება, როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მისი ბათილად ცნობის ნაცვლად, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო, რადგან მისი ბათილად ცნობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ან გამოიწვევდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს ხარჯების მნიშვნელოვნად გაზრდას. სასამართლომ ასევე დადგინოდა მიიჩნია ის გარემოება, რომ „ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ბათილობა მხარის გადაუდებელ კანონიერ ინტერესს წარმოადგენდა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივად სააპელაციო სასამართლომ აშკარად მიუთითა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებაზე და «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის ნაცვლად, გამოიყენა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტის - „საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად გამოცემული ყველა აქტი. აღნიშნული მუხლი მიუთითებს შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების პრინციპზე, რაც არ ნიშნავს სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტას - მის ლიკვიდაციას, კონკრეტულ შემთხვევაში კი სახეზეა საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ბრძანებები, რაც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ ქ. თბილისის მერის უფლებამოსილებას აღარ წარმოადგენდა. გაუმართლებელია სასამართლოს მითითება «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ნ» ქვეპუნქტზე, რადგან აღნიშნული მუხლი ზოგადად ეხება ქ. თბილისის მერის მიერ ბრძანებების გამოცემის წესს, ხოლო სპეციალური მუხლი, რომელიც ქ. თბილისის მერს ანიჭებდა უფლებამოსილებას, შეექმნა და გაეუქმებინა საქალაქო სამსახურები, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მომენტისათვის უკვე ამოღებული იყო, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის მერი 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების გამოცემისას არ მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ» ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნაცვლად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის ახალი დებულება, რომლითაც განსაზღვრულია ქ. თბილისის მერის ფუნქცია და უფლებამოსილება.

კასატორების განმარტებით, რაც შეეხება აქტის მომზადებისა და გამოცემის წესების არსებით დარღვევას, ქ. თბილისის მერიის მიერ გაცემულ მიწერილობაში მოპასუხე მხარემ არაერთხელ დაადასტურა, რომ სადავო აქტების გამოცემისას ადმინისტრაციული წარმოებისათვის არ მიუძღრებოდა. ქ. თბილისის მერიას დღევანდელი მდგომარეობითაც არა აქვს იმავე მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის აქტები, მისი ფუნქცია ნაწილობრივ შერწყმული აქვს ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს. მოსარჩელეთა მოთხოვნას საქმის განხილვის ყველა სტადიაზე შეადგენდა და შეადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად იყო მიზანშეწონილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის გაუქმება ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში, აღნიშნულზე კი არც ერთ სასამართლოს არ უმჯავლია. სტრუქტურული ერთეულების გაუქმება არ ნიშნავს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების გაუქმებას, რაც თავისთავად იწვევს მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნას. ამასთან, მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება ქ. თბილისის მერიის, როგორც დაწესებულების, ლიკვიდაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლი, რამაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას შეუწყო ხელი და ამავე დროს უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაც. საჯარო დაწესებულების - ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაცია არ მომხდარა, ხოლო დაწესებულებაში მომუშავე მუშაკების გათავისუფლება დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის მოტივით დაუშვებელია, რაც ამ ნაწილში კასატორთა - დაწესებულებაში (ქ. თბილისის მერია) მომუშავე საჯარო მოხელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. როგორც ქ. თბილისის მერიის 2006 წლის 2 თებერვლის #11/955 პასუხიდან ჩანს, განხორციელდა არა ქ. თბილისის მერიის, არამედ მხოლოდ მისი სტრუქტურული ერთეულების - საქალაქო სამსახურების ლიკვიდაცია.

კასატორთა მტკიცებით, ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულების მომზადებისას დაირღვა მისი მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რადგან მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები და მისი მიღება უნდა მომხდარიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც ქ. თბილისის მერიის მიერ არ იქნა დაცული. იმავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს,

აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

კასატორთა განმარტებით, ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, რომლის მე-2 პუნქტის „ი« ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია დედაქალაქის ენერგოუზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკისა და ენერგეტიკული სექტორის შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობა. დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით, სამსახური ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: დედაქალაქის ენერგეტიკული სექტორის ცალკეული დარგების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში; დედაქალაქის ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და ქ. თბილისის მთავრობისათვის მათი მიწოდება ინფორმაციის, დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით; ენერგეტიკულ სექტორში ენერგეტიკის არატრადიციული წყაროების დედაქალაქის ენერგოსისტემაში დანერგვისთვის წინადადებების მომზადება. კასატორის მტკიცებით, აღნიშნულით განხორციელდა ენერგეტიკის სფეროს მიკუთვნებული საკითხების ინტეგრირება ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულებაში.

კასატორები აღნიშნავენ, რომ «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის გაუქმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2004 წლის 2 ივნისის #6 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, მას შეეკვეცა უფლებები და სამსახურის უფლებამოსილებები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გადაეცა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს, რომლის სტრუქტურაშიც შეიქმნა ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, მოხდა სამსახურის რეორგანიზაცია შერწყმის გზით და შტატების შემცირება 12 საშტატო ერთეულიდან 6 საშტატო ერთეულამდე. არსებული წესით მუშაობა მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში. გაწეული სამუშაოებისა და დაგროვებული შეუსრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, რაც შტატების სიმცირით, უფლებების შეკვეცითა და სამსახურის ლიკვიდაციით იყო გამოწვეული, ქ. თბილისის მერიამ «ქალაქ თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების საფუძველზე, ქ. თბილისის მმართველობის სისტემაში, სისტემის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ხელმეორედ შეიქმნა ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, რომლის კომპეტენციასაც ბოლო დრომდე განეკუთვნებოდა ენერგეტიკის საკითხების მართვა.

კასატორთა განმარტებით, ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანება, როგორც ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და შესაბამისი სამართლებრივი ექსპერტიზა აქვს გავლილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. მოპასუხე მხარე შეეცადა სასამართლო პროცესზე წარმოედგინა სამსახურის ლიკვიდაციის მასალა და მათ შორის, მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტი, რომელიც ვერ ადასტურებდა, რომ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ქონება ვინმეს გადაეცა. ამასთან, წარმოდგენილი აქტები ასახავს 2005 წლის 31 მაისი-1 ივნისის მდგომარეობას. მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხსენებული სამსახურის სალიკვიდაციო მასალები, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ამ სამსახურის ლიკვიდაციის დასრულებული აქტი მოპასუხე მხარეს არ მოეპოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 21 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 17 იანვარს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მერის 2004 წლის 2 ივნისის #6 ბრძანებით გაუქმდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური. «ქალაქ თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების მე-5 პუნქტით ქ. თბილისის მერიის

მმართველობის სისტემაში შეიქმნა ენერგეტიკის საქალაქო სამსახური და მისი მმართველობის სფეროში ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მმართველობის სფეროდან გადავიდა ენერგეტიკის საკითხების მართვა. «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, სამტატო ერთეულთა ნუსხა 12 სამტატო ერთეულით და სტრუქტურა. აღნიშნული დებულების მიხედვით, ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური დედაქალაქისათვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევდა ქალაქის ენერგეტიკულ სექტორში შემავალი ადგილობრივი დანიშნულების საწარმოებისა და დარგობრივი სამსახურების საქმიანობას, მათ შორის: ელექტროენერგეტიკაში, გაზიფიცირებაში, თბომეურნეობაში, წყალმომარაგებაში ენერგოუზრუნველყოფის მიზნით. «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულებით ქ. თბილისის პრემიერს ერთი კვირის ვადაში უნდა უზრუნველყო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მოსამსახურეთა გაფრთხილება დაწესებულების რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, ხოლო ერთი თვის ვადაში - უზრუნველყო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების სამტატო ერთეულების ნუსხის შემუშავება და დასამტკიცებლად წარმოდგენა. «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 7 მარტის #22 განკარგულებით ქ. თბილისის პრემიერს ერთი კვირის ვადაში უნდა უზრუნველყო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მოსამსახურეთა გაფრთხილება სამსახურების ლიკვიდაციის გამო, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმის მასალებში მოყვანილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ საკადრო ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულებით ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები და მოსამსახურეები გაფრთხილებული უნდა ყოფილიყვნენ სამსახურის ლიკვიდაციის გამო, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, თანდართული ფორმის შესაბამისად. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანებებით მოსარჩელები დანიშნულები იყვნენ და სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულში - ენერგეტიკის საქალაქო სამსახურში. «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება, ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობი ცენტრი. ამ დებულებით განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის ახალი სტრუქტურა, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ». საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მიხედვით, ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში არ არის შეტანილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური და მითითებულია ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურზე. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანების თანდართული, ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციებს მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური დარგების მართვის საქალაქო სამსახურების ნუსხით გათვალისწინებული ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის 2005 წლის 16 მარტის #94 წერილის თანახმად, ამ სამსახურის უფროსმა გააფრთხილა ხსენებული სამსახურის თანამშრომლები «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ საკადრო ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულების შესაბამისი დოკუმენტის პირობებზე ხელის მოწერაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, აგრეთვე, საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა. ამ დებულების შესაბამისად, ხსენებული სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა დედაქალაქის ენერგოუზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკისა და ენერგეტიკული სექტორის შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობა, ხოლო მისი ერთ-ერთი ფუნქცია იყო დედაქალაქის ენერგეტიკული სექტორის ცალკეული დარგების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური კი წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს. ქ.

თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა «ქ. თბილისის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების მე-5 პუნქტის საფუძველზე შექმნილი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #483 განკარგულებით, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 25 იანვრის #49 განკარგულება. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #149 განკარგულებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსარჩევეები, რომლებიც მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურში და წარმოადგენდნენ მოხელეებს, 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და მათი გათავისუფლების საფუძველად მიეთითა «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანებაზე. ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის უფროსის 2005 წლის 6 ივლისის #11/12997 წერილის მიხედვით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23, #25 და #40 ბრძანებების საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად მიღების შესახებ იმავე აპარატის მონაცემთა ბაზაში მასალები არ მოიპოვებოდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 14 ივნისის წერილის მიხედვით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23, #25 და #40 ბრძანებები რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანებით რეორგანიზებულ იქნა ენერგოუზრუნველყოფის ბიურო და ენერგეტიკის განყოფილება და მათ ბაზაზე შეიქმნა ენერგეტიკის საკითხების მარეგულირებელი საქალაქო სამსახური. იმავე ბრძანების მიხედვით, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები წარმოადგენდნენ საბიუჯეტო დაწესებულებებს. ქ. თბილისის პრემიერის 1999 წლის 21 აპრილის #200 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საკითხების მარეგულირებელი საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა. ქ. თბილისის მერის 2006 წლის 27 დეკემბრის #84 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა 20 სამტატო ერთეულით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის თანახმად, საქალაქო სამსახურებს პრემიერის წარდგინებით ქმნიდა და აუქმებდა ქ. თბილისის მერი. ამდენად, ხსენებული დებულებით ქ. თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა საქალაქო სამსახურის შექმნისა და გაუქმების უფლება, რასაც იგი ახორციელებდა ქ. თბილისის პრემიერის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება, ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება, ასევე ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლში (ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა) ჩამოთვლილ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არ იყო მითითებული ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, მაგრამ მასში შეტანილი იყო ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური.

საკასაციო სასამართლო მიუთითა, რომ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, მისი დებულების თანახმად, წარმოადგენდა ქ. თბილისის კომპეტენციას მიკუთვნებულ, ენერგეტიკის სექტორის გეგმური განვითარების მიზნით შექმნილ საბიუჯეტო დაწესებულებას, რომელიც «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების საფუძველზე დედაქალაქისათვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევდა ქალაქის ენერგეტიკულ სექტორში შემავალი ადგილობრივი დანიშნულების საწარმოებისა და დარგობრივი სამსახურების საქმიანობას, მათ შორის: ელექტროენერგეტიკაში, გაზიფიცირებაში, თბომეურნეობაში, წყალმომარაგებაში ენერგოუზრუნველყოფის მიზნით, ხოლო, რაც შეეხებოდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს, მისი დებულების მე-2 მუხლის (სამსახურის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები) მე-2 პუნქტის «ი» ქვეპუნქტის თანახმად, მისი ერთ-ერთი მიზანი იყო დედაქალაქის ენერგოუზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკისა და ენერგეტიკული სექტორის შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად აღნიშნულზე მითითებისა, სააკასაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, ხომ არ მოიცავდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ფუნქციები ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს, ხომ არ მოხდა ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ფუნქციების განვრცობით ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია იყო სახეზე თუ დასახელებული სამსახურების რეორგანიზაცია-

შერწყმა ფუნქციური უფლებამონაცვლობით - ახლად შექმნილი სამსახურისათვის შესაბამისი ფუნქციების გადაცემით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გარემოების გამორკვევას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოცემულ საქმეზე მართებული გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან მას ორგანულად უკავშირდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოსარჩელეთა შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მით უმეტეს, კასატორები მიუთითებენ, რომ ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ფუნქცია ნაწილობრივ შერწყმული აქვს ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს და განხორციელდა ენერგეტიკის სფეროს მიკუთვნებული საკითხების ინტეგრირება ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში უმთავრესია იმ საკითხის გარკვევა, ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია მოხდა თუ მისი ლიკვიდაცია, შესაბამისად, რამდენად საფუძვლიანია კასატორების აღნიშნული მოსაზრება და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, რაზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული იმის განსაზღვრა, ეკისრებოდა თუ არა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელებისათვის სხვა თანამდებობების შეთავაზების ვალდებულება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის (იმჟამად მოქმედი რედაქცია) მიხედვით.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან „საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ საქალაქო სამსახურების შექმნა და ლიკვიდაცია ქ. თბილისის მერის უფლებამოსილებას აღარ წარმოადგენდა, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის მერი 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების გამოცემისას არ მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში, ქ. თბილისის მერის უფლებამოსილების განმსაზღვრელი სპეციალური კანონმდებლობით - „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მიხედვით, ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ლიკვიდაციის ბრძანებების გამოცემის უფლებამოსილება. ამდენად, კასატორები, ერთი მხრივ, მოითხოვენ ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #23 ბრძანების ბათილად ცნობას, ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებენ, რომ ქ. თბილისის მერი არ მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხზეც უნდა იმსჯელოს, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებაში, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულებისაგან განსხვავებით, არ იყო მითითებული ქ. თბილისის მერის უფლება-მოსილებაზე, შეექმნა ან გაუქმებინა საქალაქო სამსახურები. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ რეალურად სახეზე იყო ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, მაშინ კასატორების მოსაზრებას ქ. თბილისის მერის მიერ სადავო აქტის უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემის თაობაზე საფუძველი გამოეცლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი - გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, რის გამოც მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დ. ფ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. მ-შვილის, მ. კ-შვილისა და ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამდებობაზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-835-797(კ-07) 5 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2007 წლის 22 თებერვალს გ. შ-მემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის #კ-537 ბრძანების ბათილად ცნობა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამტატო განრიგით განსაზღვრული განაკვეთის გათვალისწინებით, შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, 2002 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორად და ქუთაისის მერის 2002 წლის 1 ნოემბრის #კ-208 განკარგულებით განისაზღვრა შრომითი ურთიერთობის უვაოდ არსებობა.

2007 წლის 2 თებერვალს გ. შ-მეს ჩაჰბარდა 1 თებერვლის #კ-537 ბრძანება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც მოსარჩელემ მიიჩნია არამართლზომიერად, რადგან ბრძანებაში არ არის მითითებული გათავისუფლების საფუძველი. სადავო ბრძანებაში მითითებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების მოშლას ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩერთო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და მერაზ გვაზავა.

გ. შ-მის სარჩელი არ ცნო მოპასუხე ქუთაისის მერიამ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

მოპასუხის მითითებით, ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის #კ-537 ბრძანების საფუძველზე გ. შ-მეს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა, დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე. მითითებული ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა შრომის კოდექსის 37.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტი და 38.3 მუხლი. მოპასუხის მოსაზრებით, ვინაიდან ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა არ წარმოადგენს საჯარო მოხელის თანამდებობას და მასზე არ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოთხოვნები, ქუთაისის მერს არ გამოუყენებია კონკრეტული დისციპლინური ან ადმინისტრაციული გადაცდომა, ხოლო შრომის კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმები არ ადგენს რაიმე ვალდებულებას დამსაქმებლისათვის აქტის ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებასთან დაკავშირებით.

მოპასუხის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დაცულია «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნები და გ. შ-მესთან შრომითი ურთიერთობის მოშლა მოხდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით გ. შ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ქუთაისის მერის 2002 წლის 1 ნოემბრის #208 განკარგულებით გ. შ-მე დაინიშნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-

უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორად. ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის #537 ბრძანებით ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორ გ. შ-ძესთან შეწყდა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა ის გარემოება, რომ გ. შ-ძე არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტების მიხედვით, ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის, კერძოდ, «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის დაცვით, რომლის თანახმად, ქალაქის რაიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელს ნიშნავენ (ათავისუფლებენ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს კულტურის მინისტრთან შეთანხმებით. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის 2007 წლის 30 იანვრის წერილის თანახმად, მინისტრის პირველი მოადგილე დაეთანხმა ქ.ქუთაისის მერის კანდიდატურას, ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორად მერაბ გვაზავას დანიშვნისა და ამავე თანამდებობიდან გ. შ-ძის გათავისუფლებას, შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა, რაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. ბრძანების ბათილობის საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა მისი წინააღმდეგობა კანონთან, კერძოდ, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის ,დ» ქვეპუნქტთან, რომელიც, მოსარჩელის აზრით, არ გულისხმობს შრომის ხელშეკრულების მოშლას რაიმე მოტივის ან საფუძვლის მითითების გარეშე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითებული მსჯელობა და აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის 38-ე მუხლი, ცალკე, სპეციალურად განამტკიცებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ისეთ საფუძველს, როგორცაა შრომითი ხელშეკრულების მოშლა და აღნიშნულისათვის რაიმე საფუძვლის მითითებას იგი არ ითვალისწინებს. ის გარემოება, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად განამტკიცებს შრომითი ხელშეკრულების მოშლას, თავისთავად, ალოგოკურს ხდის მოსარჩელის მტკიცებას იმის შესახებ, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა მასთან მოხდა რაიმე საფუძვლის გარეშე. აღნიშნული, ასევე ადასტურებს მოსარჩელის მსჯელობის მცდარობას განსახილველ ურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმების გამოყენების თაობაზე, რომლებიც განამტკიცებს ხელშეკრულებითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს. შრომის კოდექსის 37-ე მუხლი შეიცავს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების გამოყენება საჭიროებას მოკლებულია.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველად გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული, ხელშეკრულების შეწყვეტის რომელიმე საფუძველი, რადგან ხელშეკრულების მოშლა თავად წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და როგორც ზემოთ აღინიშნა, შრომის კოდექსის 37-ე მუხლი სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების გარეშეც ამომწურავად ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა მოსაზრებას ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ, ასევე მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ თითქოსდა მოქმედი კანონმდებლობა და მათ შორის, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე მოტივისა თუ საფუძვლის გარეშე ხელშეკრულების მოშლას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების მოშლას, როგორც გარკვეული პირობებისა და საფუძვლის გათვალისწინებით, ისე მათ გარეშეც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 542-ე მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი ან ადამიანთა სადგომად გათვალისწინებულ სხვა სადგომზე გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას, თუ საცხოვრებელი ან სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ იგი საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას; ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 557-ე მუხლი ითვალისწინებს ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ისეთ საფუძველს, როგორცაა, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გამქირავებლის მიერ გაქირავებული ნივთის დაზიანება; სამოქალაქო კოდექსის 558-ე მუხლით განმტკიცებულია ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ისეთი საფუძველი, როგორცაა გამქირავებლის მიერ სამი თვის ქირის გადაუხდელობა; სამოქალაქო კოდექსის 571-ე და 590-ე მუხლების დისპოზიციებით განსაზღვრულია ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების მოშლის ისეთი საფუძველი, როგორცაა გამქირავებლისა და მოიჯარის გარდაცვალება, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადამდე მოშლას რაიმე მოტივის ან საფუძვლის გარეშეც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 555-ე მუხლი საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს უფლებას ანიჭებს, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება ყოველგვარი მოტივისა თუ საფუძვლის გარეშე, თუმცა ამგვარი ხელშეკრულების უმოტივაციო მოშლისათვის კანონმდებელი ადგენს გარკვეულ წესს, პირობას, რაც გამოიხატება გამქირავებლის მიერ,

გამქირავებლისათვის სხვა გადახდისუნარიანი და მისაღები დამქირავებლის შეთავაზებაში; ყოველგვარი საფუძვლისა და მოტივის გარეშე, მაგრამ გარკვეული პირობის დაცვით, ხელშეკრულების მოშლის შე-საძლებლობას განამტკიცებს სკ-ის 570-ე და 582-ე მუხლები, როცა ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებები ათ წელზე მეტი ვადითაა დადებული. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელი ხელშეკრულების მოშლისათვის აწესებს მხოლოდ ხსენებული ათი წლის გასვლის აუცილებლობას, რომლის შემდეგაც ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ყოველგვარი მოტივაციისა თუ საფუძვლის მითითების გარეშე, განუცხადონ ერთმანეთს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო კოდექსის 589-ე მუხლიც, რომელიც იჯარის ხელშეკრულების უმოტივაციო მოშლის აუცილებელ პირობად აწესებს ბოლო საიჯარო წლის დადგომას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, შრომითი ხელშეკრულების უმოტივაციო მოშლის შესაძლებლობის შესახებ მოყვანილ სამოქალაქო ნორმებთან დაკავშირებით, სასამართლო აცნობიერებს იმ სპეციფიკურ განსხვავებას, რაც არსებობს ქირავნობისა თუ იჯარის და ადამიანის ისეთ ძირითად და კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებას შორის, როგორცაა შრომის უფლება, მაგრამ, სასამართლოს აზრით, აღნიშნული განსხვავება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს შრომის უფლების დასაცავად, ხელშეკრულების თითოეული მხარისათვის კანონის სხვადასხვაგვარად განმარტებას, რამეთუ შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანაწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით და რადგან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამგვარი შეთანხმება შეიძლება დაიდოს წერილობითი ხელშეკრულების ფორმით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული შრომის უფლების დაცვის გარანტი, დასაქმებულისათვის უნდა იყოს სწორედ ხელშეკრულება, რომლითაც, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ შრომის ხელშეკრულების მოშლისათვის გარკვეული მოტივისა თუ საფუძვლის აუცილებლობა.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის მერს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეეძლო მოეშალა მოსარჩელესთან დადებული შრომის ხელშეკრულება, ისევე, როგორც თავად გ. შ-მესაც შეეძლო წარედგინა მხოლოდ განცხადება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ყოველგვარი მოტივისა თუ საფუძვლის მითითების გარეშე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. შ-მემ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ წარმოადგენს საქმის მასალების ობიექტური ანალიზის შედეგს. სადავო ბრძანება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და იგი აუცილებლად უნდა იქნეს დასაბუთებული.

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ რადგან მოსარჩელე არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, საჭირო არ იყო ადმინისტრაციული აქტის დასაბუთება. აპელანტმა ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების მოშლის პრინციპებთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის გაიგივების შესახებ, რადგან იჯარის თუ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას არ სჭირდება ადმინისტრაციული აქტის მიღება, შრომითი ხელშეკრულების მოშლისას აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით გ. შ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის #531 «კ» ბრძანება და ქუთაისის მერიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; გ. შ-მეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური შტატით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად, გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, რომლის დროსაც გ. შ-მის, როგორც ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის, სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი უნდა მოწესრიგდეს «საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ», «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონებითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმათა შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებას, მთლიანად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მაგრამ არ არის ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, «სახაზინო დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკა ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას განათლების სფეროში, რაზეც

მიუთითებს «საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანა. ამავე კანონის მე-4 მუხლით დადგენილია სახელმწიფოს როლი საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში. 4.1 მუხლით სახელმწიფო არის ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტი. იგი არ ერევა ბიბლიოთეკების პროფესიულ საქმიანობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბიბლიოთეკო საქმიანობის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა განპირობებულია სწორედ იმ ფაქტორით, რომ ეს დაწესებულება არის სახელმწიფოებრივი საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა განათლება, კულტურა, რათა გარანტირებულ იქნეს მოსახლეობის სწრაფი და სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა მათი შემოქმედებითი განვითარებისათვის, სხვადასხვა პროფილის დოკუმენტების შეგროვების დაცვა და ამ დოკუმენტებით არა მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის, არამედ ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოსახლეობის მომსახურება საერთაშორისო წიგნთგაცვლების მეშვეობით, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების მიზნით, სპეციალური საბავშვო ფონდების შექმნით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მიზნით არის განპირობებული კანონის 4.3 «დ» მუხლით განსაზღვრული საბიბლიოთეკო საქმიანობის განვითარებისა და მისი ფინანსური მხარდაჭერის შესაბამისი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა. კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო, ადგილობრივი და საუწყებო ბიბლიოთეკების ქსელს. სისტემაში შედის ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-სასწავლო, მასობრივი-საბავშვო-სასკოლო და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა არის ხსენებული ნორმით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო სისტემის ნაწილი, იგი არ არის ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, მაგრამ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებაზე მყოფ სამეცნიერო უნივერსალურ ბიბლიოთეკას. მე-13 მუხლით სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი იქმნება ტერიტორიული და უწყებრივი პრინციპით. ქუთაისის სახელმწიფო სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკა არის ტერიტორიული პრინციპით შექმნილი სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის ნაწილი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იგი აკმაყოფილებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 2.1 მუხლით სახაზინო დაწესებულებებისათვის აუცილებელ პირობებს და შესაბამისად, ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული. იმავე კანონის 6.1 მუხლით მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე. გ. შ-მე ქუთაისის მერის 2002 წლის 1 ნოემბრის განკარგულებით დაინიშნა სახელმწიფო სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, «საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი ნაწილით ქალაქის რაიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კულტურის მინისტრთან შეთანხმებით. «საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 11.1 მუხლით ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ნორმების შინაარსი ერთობლივად ქმნის საფუძველს იმგვარი დასკვნისათვის, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის (დირექტორის) სამუშაოდან გათავისუფლების კანონშესაბამისობის საკითხი უნდა მოწესრიგდეს არა შრომითი, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის «საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ», «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონებითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის ბრძანება გ. შ-მის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე, ყოველგვარი მოტივის გარეშე, კანონშესაბამიო და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის სპეციალური ნორმები განსაზღვრავს მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების წესსა და საფუძველებს. ამ კანონის მე-14 მუხლით დასაშვებია შრომის კანონმდებლობის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სამსახურთან დაკავშირებული სადავო სამართალურთიერთობა არ არის რეგულირებული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი ამ შემთხვევაში წარმოადგენს სპეციალურ კანონს, რომლის მე-10 თავი განსაზღვრავს მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველებსა და წესს. სწორედ აღნიშნული საფუძველიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში დაიშვება მოხელის გათავისუფლება. ქუთაისის მერის მიერ გამოცემულ აქტში არ არის მითითებული ასეთ საფუძველზე.

შრომის კოდექსის 37-ე მუხლი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე. დამსაქმებელი ამ საფუძველით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, ვალდებულია, განსაზღვროს ფაქტობრივი გარემოებები, რაც გახდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. მით უმეტეს, რომ ამ საკითხების გარკვევა სავალდებულოა, როდესაც ხდება საჯარო მოხელის სამუშაოდან გათავისუფლება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქუთაისის მერიის წარმომადგენლის განმარტებით, მისთვის უცნობია ბიბლიოთეკის დირექტორის სამუშაოდან გათავისუფლების ფაქტობრივი საფუძველი. საქმის მასალებში წარმოდგენილია მადლობის წერილები და დიპლომები, რომლებიც გ. შ-ძის წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს და აღნიშნული ცნობილია ქუთაისის მერიისათვის. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის მერმა ისე გამოსცა 2007 წლის 1 თებერვლის #537 «კ» ბრძანება, რომ მას არ შეუსწავლია სრულყოფილად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ გამოურკვევია რა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არსებობდა დირექტორის გათავისუფლებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით. 96.1 მუხლით ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვიტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერიამ საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევით უნდა გადაწყვიტოს არსებობდა თუ არა ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის - გ. შ-ძის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გ. შ-ძის დასაქმების საკითხის გადასაწყვეტად. ამასთან, აუნაზღაუროს უკანონოდ გათავისუფლებულს იძულებითი განაცდური, თანახმად «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლისა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ქუთაისის მერიამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და გ. შ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის სადავო #527 ბრძანების «კ» საფუძველზე ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორთან გ. შ-ძესთან შეწყდა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა, დამსაქმებლის ინიციატივით, შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე. შესაბამისი ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი გახლდათ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ვინაიდან ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა არ წარმოადგენს საჯარო მოხელის თანამდებობას და მასზე არ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ», საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად: ა) საკრებულო; ბ) გამგეობა-მერია; გ) მუნიციპალიტეტები, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლით საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, «საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ», საქართველოს კანონის 11.1 მუხლით ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, მერს სრული სამართლებრივი უფლებამოსილება ჰქონდა, სადავო აქტის გამოცემისას გამოეყენებინა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელთა გათვალისწინებითაც არანაირი ვალდებულება აქტის გამოცემისას ფაქტობრივი გარემოებების დასაბუთებისათვის დამსაქმებელს არ წარმოეშობა, რაც სააპელაციო სასამართლომ კანონშესაბამოდ ჩათვალა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე და არა საჯარო მოხელე, როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს თავის გადაწყვეტილებაში, შესაბამისად არამართებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 6.1 პუნქტის გამოყენება, რამეთუ თავად ამავე კანონის 6.2 პუნქტი განსაზღვრავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის #131 დადგენილებითა და «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის 1.2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის #58 განკარგულებით ლიკვიდირებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ამდენად, არ არსებობს ის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც მუშაობდა მოსარჩელე, ხოლო შრომის

კოდექსი და «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი, არ ითვალისწინებს ტოლფასს და მსგავს თანამდებობაზე მუშაკის აღდგენის შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა-საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. ქუთაისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეული არ არის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა არსებითად სწორად არის გადაწყვეტილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ქ. ქუთაისის მერიის მიერ სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ქ.ქუთაისის მერის 2002 წლის 1 ნოემბრის #208 განკარგულებით გ. შ-ძე დაინიშნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორად, ხოლო ქუთაისის მერის 2007 წლის 1 თებერვლის #537 ბრძანებით ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორ გ. შ-ძესთან შეწყდა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის საფუძველით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოაყალიბა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობის თაობაზე, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დავის საგანს მიიჩნია რა, რომ სადავო განკარგულება არ შეესაბამებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» კანონის მოთხოვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ გ. შ-ძე, როგორც ბიბლიოთეკის დირექტორი, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს და შესაბამისად, მისი გათავისუფლების დროს ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით დადგენილი ნორმები და პროცედურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელშიც საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორი /იმ პირობებში, როცა ეს უკანასკნელი, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ წარმოადგენს/ ვერ მიიჩნევა საჯარო მოსამსახურედ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. შ-ძის, როგორც ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის, თანამდებობიდან გათავისუფლების დროს დაუშვებელი იყო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის დებულებების გამოყენება, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის მოქმედების სუბიექტს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა რა საჯარო მოხელის სტატუსი, ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის საფუძვლები, რომელთა არსებობის პირობებში ეს უკანასკნელი იძენს ამგვარ სტატუსს. შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებელმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო შრომით-სამართლებრივი ნორმატიული აქტით - «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. ამასთან, პირის დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის «საჯარო

სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციამ არ თავსდება, დაუშვებელია.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული «საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით» განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა ნუსხა, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში. ბიბლიოთეკის დირექტორი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ გ. შ-მე არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რამდენადაც ის არ აკმაყოფილებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, თუმცა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, რაც სწორად იქნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» კანონის სწორი განმარტების საფუძველზე, რასაც სრულად იზიარებს საკასაციო სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა არის საბიბლიოთეკო სისტემის ნაწილი, იგი არ არის ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, მაგრამ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებასზე მყოფი იურიდიული პირი. შესაბამისად, ბიბლიოთეკის, როგორც საჯარო დაწესებულების დირექტორის თანამდებობა თავის თავში მოიცავს საჯარო ფუნქციის განხორციელებასაც, რამდენადაც სწორედ დირექტორის მიერ ხორციელდება საჯარო დაწესებულების - ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ფუნქციის განხორციელება-მართვა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის #58 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის #131 დადგენილებითა და «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 67-ე მუხლის 1.2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე ლიკვიდირებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თუმცა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი დღევანდელი მდგომარეობითაც რჩება საჯარო ფუნქციის განხორციელებელ დაწესებულებად, რომლის საქმიანობაც საჯარო სამართლის ნორმატიული აქტით «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» კანონით წესრიგდება. შესაბამისად, ბიბლიოთეკის დირექტორი, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობა კვლავ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების უფლება-მოვალეობას იწარჩუნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასაციის მოტივს, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ლიკვიდირებულია, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის #58 განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად, ლიკვიდირდა ქ. ქუთაისის მუზეუმები და ბიბლიოთეკები, თუმცა ამავე განკარგულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ახლად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ჩაითვალოს იმ დაწესებულებების უფლებამონაცვლედ, რომელთა ბაზაზე დაფუძნდა აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების ლიკვიდაცია წარმოადგენს სტრუქტურულ ცვლილებას, რომლითაც დაწესებულება როგორც სუბიექტი, წყვეტს საქმიანობას, აღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და მისი უფლებები და მოვალეობები სხვა სუბიექტს არ გადაეცემა. ამასთან, ლიკვიდაცია თავისი არსით დაუშვებლად მიიჩნევა უფლებამონაცვლეობას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ განიცადა რეორგანიზაცია რა დროსაც ის გარდაიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად და მასზე, როგორც უფლებამონაცვლეზე, გადავიდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უფლება-მოვალეობები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა გ. შ-მის სტატუსს მიიჩნია რა საჯარო მოხელედ და შესაბამისად მისი სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება შეაფასა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის ნორმებთან შესაბამისობაში, სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა და შესაბამისად არ არსებობს აღნიშნული გარემოების გამო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. შ-მე ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა და გათავისუფლდა ქ. ქუთაისის მერიის განკარგულების (ბრძანების) - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო მისი სამსახურში დანიშვნის საფუძველს წარმოადგენდა «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» კანონის 22.1. მუხლი, რამდენადაც მითითებული ნორმის თანახმად, ქალაქის, რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს ნიშნავენ (ათავისუფლებენ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კულტურის მინისტრთან შეთანხმებით.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. შ-მე, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ქ. ქუთაისის მერიის ბრძანების საფუძველზე. მართალია ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი გათავისუფლების დროს დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმატიული აქტის - შრომის კანონთა კოდექსის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ცალმხრივი შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება, რამდენადაც მისი გათავისუფლების საკითხი, როგორც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხილულ უნდა ყოფილიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე უნდა განხორციელებინა საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და «საბიბლიოთეკო საქმის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმათა გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირი, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად სწორედ მითითებული კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს; ასევე, მესამე შემთხვევა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა, კერძოდ პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამდენად, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. ამდენად, ამგვარი სტატუსის მატარებელი პირის მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე გათავისუფლება, დაუშვებელია.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე შეწყვიტა გ. შ-მესთან შრომითი ხელშეკრულება, რომ არ გამოუკვლეოდა და არ უმსჯელია, თუ რა წარმოადგენდა ამ უკანასკნელის სამსახურიდან გათავისუფლების მოტივს, საფუძველს, ადმინისტრაციამ ცალმხრივი ნების გამოვლენით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეწყვიტა კონტრაქტი დასაქმებულ მუშაკთან (მაშინ, როცა მხარეთა შორის შრომითი კონტრაქტი არ გაფორმებულა, არამედ გ. შ-მე თანამდებობაზე დაინიშნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე), ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც სრულიად კანონსაწინააღმდეგოა, რამდენადაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია, შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიკა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მეტიც, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მითითებით გ. შ-მის გათავისუფლების მოტივი უცნობია, თუმცა მიაჩნია, რომ ამგვარის მითითების ვალდებულება მას არ გააჩნდა, რაც სრულიად კანონსაწინააღმდეგოა, რამდენადაც წაყენებული ბრალდების (გათავისუფლების წინაპირობა, მოტივი) თაობაზე მოხელის წინასწარი ინფორმირების ინსტიტუტი რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად, სრული თანასწორობის საფუძველზე, აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ (ეს ვალდებულება ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოზეც, რომელიც იხილავს კონკრეტული მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების საქმეს).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. ქუთაისის მერია გ. შ-მესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაშიც, შეზღუდული იყო კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლევითი ჯგეროვნად, შესაბამისად სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება გ. შ-მის საქმიანობასთან დაკავშირებით. გაურკვეველია, იქნა თუ არა მოკვლევითი საქმის მასალები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასრულებდა თუ არა გ. შ-მე სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად, ჩატარდა თუ არა სამსახურებრივი მოკვლევა, მისცა თუ არა შეფასება ადმინისტრაციულმა ორგანომ გ. შ-მის გათავისუფლებისას იმ მადლობის წერილებსა და სიგელებს, რომლებიც საქმეშია წარმოადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შემოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, კერძოდ, სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირობით.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანებაში არ არის მითითებული მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კონკრეტული გარემოებები, ფაქტები, რომელთა შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზეც მოხდა ბრძანების გამოცემა, რაც წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. აქტში არ არის ასახული, თუ კონკრეტულად, რა გახდა გ. შ-მესთან ყოველგვარი მოტივის გარეშე, ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა სადავო განკარგულების გამოცემისას, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, შეეფასებინა და ემსჯელა, არსებობდა თუ არა რეალურად მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი და კონკრეტულად, რის საფუძველზე შეუწყდა გ. შ-მეს შრომითი ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ, მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რაც მოხდა მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, გამოკვლეულ იქნა თუ არა ქ. ქუთაისის მერიის მიერ საქმის მასალები სრულყოფილად, ამასთან საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, რაც სწორად იქნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის გამო მოსარჩელისათვის იძულებითი განადგურის ანაზღაურების ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ქ. ქუთაისის მერიის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც არსებითად სწორი, ექვემდებარება უცვლელად დატოვებას.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მიაჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერიას სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 70 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე, 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. ქუთაისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება;
3. ქ. ქუთაისის მერიას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 70 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვა

სხვა თანამდებობაზე გადაყვანაზე მოხელის თანხმობის აუცილებლობა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-790-752(კ-07)

19 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ნ. ქადაგიძე,

მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2007 წლის 14 თებერვალს ქ. ნ-შილიმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის #6/კ ბრძანების ბათილად ცნობა და უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დაბრუნება, სადაც დასაქმებული იყო განუსაზღვრელი ვადით და ადვოკატისათვის გადახდილი თანხის – 285 ლარის გადახდის დაკისრება მოპასუხისათვის შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელე ქ. ნ-შილი მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. მინისტრის 2002 წლის 4 იანვრის #8/კს ბრძანებით რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გადაყვანილ იქნა მინისტრის აპარატში კადრების სამმართველოს უფროს სპეციალისტად, თანახმად «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 43-ე მუხლისა. მინისტრის 2006 წლის 3 იანვრის #1/კს ბრძანებით სამინისტროს აპარატის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან ქ. ნ-შილი მისივე თანხმობით გადაყვანილ იქნა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 2007 წლის 15 იანვრამდე. 2007 წლის 9 იანვარს ქ. ნ-შილი გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე წერილობითი ფორმით შეეთავაზა კადრების სამმართველოში სპეციალისტის თანამდებობაზე გადაყვანა, რაზეც ქ. ნ-შილიმა განაცხადა (წერილობით) თანხმობა. აღნიშნულის მიუხედავად, მინისტრის მოადგილის 2007 წლის 15 იანვრის #6/კ #76 ბრძანებით ქ. ნ-შილი 2007 წლის 15 იანვრიდან გადაყვანილ იქნა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან, ამავე სამინისტროს ადმინისტრაციის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დროებით შემცვლელად, ნაცვლად შეთავაზებული მუდმივი საშტატო ერთეულისა.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია მითითებული ბრძანება, რადგან უწყებაში რეორგანიზაციის განხორციელებამდე მუშაობდა განუსაზღვრელი ვადით, რეორგანიზაციით კი შეიცვალა მხოლოდ სამმართველოს სახელწოდება, საშტატო ერთეულთა ოდენობა და არსი იგივე დარჩა, რის გამოც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის თანახმად, არ ექვემდებარებოდა არც გათავისუფლებას, არც გადაყვანას. ქ. ნ-შილი არ გათავისუფლებულა რეორგანიზაციის გამო და არც მის მიერ დაკავებული საშტატო ერთეული გამოცხადებულა ვაკანსიად.

მოსარჩელის მითითებით, 2007 წლის 15 იანვრის #6/კ #76 ბრძანებაში გადაყვანის საფუძველად მიეთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 22.1 მუხლი, 30-ე მუხლის «გ» პუნქტი და 43-ე მუხლი. აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, თანამდებობაზე დანიშვნის უფლება აქვს დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისთვის უფლებამოსილ მოხელეს. მინისტრის 2007 წლის 3 იანვრის #1/კს ბრძანება ქ. ნ-შილის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალური მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ შეიცვალა 2007 წლის 15 იანვრის #6/კ ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს მინისტრის მოადგილე, როგორც მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი.

მოსარჩელის მითითებით, არასწორად იქნა ბრძანებაში მითითებული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 30-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნას, რაც არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მის მიმართ. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელის მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 43-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს მოხელის თანხმობის აუცილებლობას სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას, მას კი დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანის შესახებ თანხმობა არ განუცხადებია.

ქ. ნ-შილის სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა უსაფუძველობის გამო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

მოპასუხის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ ქ. ნ-შილის მიმართ არ დარღვეულა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 43-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 10 იანვრის დადგენილების საფუძველზე სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გაუქმდა ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, ასევე მასში შემავალი სამმართველოები, მათ შორის, პერსონალის მართვის სამმართველო. ქ. ნ-შილიმა განაცხადა თანხმობა სხვა თანამდებობაზე – სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. ამდენად, მოპასუხის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ არ დარღვეულა 43-ე მუხლი, რადგან მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა სხვა თანამდებობაზე – სპეციალისტად დანიშვნაზე და დაინიშნა კიდევ უფრო მაღალი თანრიგის თანამდებობაზე.

მოპასუხის წარმომადგენელმა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია მოსარჩელის მითითება, რომ სადავო ბრძანებით დაირღვა მისი კანონიერი ინტერესები, რადგან ქ. ნ-შვილი დაინიშნა უფრო მაღალი თანრიგის თანამდებობაზე - უფროს სპეციალისტად. შესაბამისად, მისი ინტერესები არ შელახულა და პირიქით, გაუმჯობესდა.

მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრებით, დაუშვებელია გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობა, რადგან იგი წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან მის მიმართ მოსარჩელეს აქვს კანონიერი ნდობა. შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ამგვარი აქტის ბათილად ცნობა.

მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, რადგან სამინისტროში აღარ არსებობს ამგვარი თანამდებობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ქ. ნ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინოდად მიიჩნია, რომ ქ. ნ-შვილი საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 23 თებერვლის ბრძანებით მუშაობდა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 3 იანვრის #1/კს ბრძანებით გადაიყვანეს სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე 2006 წლის 3 იანვრიდან; 2006 წლის 14 ნოემბრის #301/ო ბრძანების საფუძველზე, 2007 წლის 9 იანვარს გაფრთხილებულ იქნა სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და თანამდებობების შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ; ქ. ნ-შვილმა 2007 წლის 9 იანვარს #12/287 მოხსენებითი ბარათით მიმართა მინისტრს, რომ ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის პირობებში, მუშაობა გაეგრძელებინა მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე; მინისტრის 2007 წლის 12 იანვრის #11/ო ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მუშაკთა საშტატო ერთეულების რიცხოვნობის, სტრუქტურისა და თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების მოცულობის შესახებ მინისტრის 2006 წლის 11 იანვრის #8/ო ბრძანების პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის «ა» და «დ» ქვეპუნქტები და მე-3 პუნქტი, რითაც გაუქმდა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველო, შესაბამისად გაუქმდა ქ. ნ-შვილის მიერ დაკავებული უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინოდად მიიჩნია, რომ ქ. ნ-შვილი 2007 წლის 12 იანვარს, საჯარო მოსამსახურის სხვა თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, გაფრთხილებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტროს ადმინისტრაციის პერსონალის მართვის სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, «საჯარო მოსამსახურის შესახებ» კანონის 22.1 მუხლის შესაბამისად, თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 12 იანვრის #5/კ ბრძანებით, მინისტრის არყოფნის პერიოდში - 2007 წლის 14 იანვრიდან 17 იანვრამდე, პირველ მოადგილეს - ვ. მეგრელიძეებს დაევალია მინისტრის მოვალეობის შესრულება «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის 23.5 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილებით დამტკიცებული «საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების» მე-5 მუხლის საფუძველზე. ამდენად, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება რომ მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის ბრძანება გამოცემულია არა მინისტრის, არამედ მისი პირველი მოადგილის მიერ და მიაჩნია, რომ აღნიშნული ბრძანების კანონიერება სადავო არ არის, ვინაიდან მინისტრის პირველი მოადგილე ბრძანების გამოცემისას მოქმედებდა მისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ უკანონოა გასაჩივრებულ ბრძანებაში «საჯარო მოსამსახურის შესახებ» კანონის 30-ე მუხლზე მითითება, რადგან ამავე კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო საკონკურსო თანამდებობაზე პირი შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. ამავე კანონის 30-ე მუხლის «გ» პუნქტისა, თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ დროებით შემცვლელები. კონკრეტულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს მითითებით, სამინისტროში კონკურსი არ გამოცხადებულა, შესაბამისად, მოსარჩელე კონკურსის წესით დანიშნული არ ყოფილა ქ. ნ-შვილი 2007 წლის 15 იანვრიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან, ამავე სამინისტროს ადმინისტრაციის კადრების სამმართველოს უფროსი

სპეციალისტის (ი. ჯ-მის) თანამდებობაზე, დროებით შემცვლელად, რის თაობაზეც მან 2007 წლის 12 იანვარს განაცხადა თანხმობა. ამდენად, საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე დანიშნული არ ყოფილა კონკურსის შედეგად, იგი სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის პირობებში, დაკავებული თანამდებობის გაუქმების გამო, საკუთარი მოხსენებით ბარათის გათვალისწინებით და წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაოზე დროებით შემცვლელად.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ქ. ნ-შილის სხვა სამუშაოზე გადაყვანისას დაცულ იქნა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 43-ე მუხლი, კერძოდ, სხვა სამუშაოზე გადაყვანა მოხდა მისივე წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1 მუხლით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოსარჩელის სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 15 იანვრის #6/კ ბრძანების გამოცემისას კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, იგი გამოცემულია კანონის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მისი უფროსი სპეციალისტის იმ საშტატო ერთეულზე დაბრუნების შესახებ, სადაც იგი დასაქმებული იყო განუსაზღვრელი ვადით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 12 იანვრის #11/ო ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხის შესაბამისად, ქ. ნ-შილის მიერ დაკავებული ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობა გაუქმდა. ამდენად, თუ ქ. ნ-შილი არ იქნებოდა გადაყვანილი სხვა სამუშაოზე, დაწესებულების რეორგანიზაციისას მის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულის გაუქმების პირობებში, იგი ექვემდებარებოდა სამუშაოდან გათავისუფლებას «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.3 მუხლის თანახმად, სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველ დღეს. ამდენად, საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მოსარჩელის სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანის და გადაყვანის ბრძანების ბათილად ცნობის პირობებშიც კი მოსარჩელე აღადგინოს დღეისათვის არარსებულ თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ადვოკატის ხარჯების დაკისრების თაობაზე, რადგან მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ნ-შილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, მინისტრის 2002 წლის 4 იანვრის #8/კს ბრძანებით, სამინისტროს აპარატის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან მისი თანხმობით გადაყვანილ იქნა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 2007 წლის 15 იანვრამდე.

აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 4 აგვისტოს #216/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების დებულების თანახმად (#216/ნ ბრძანების დანართი #4), შედიოდა სამინისტროს მოხელეების და სამინისტროს ყოფილი მოსამსახურეების წერილებისა და განცხადებების განხილვა შრომითი საქმიანობის საკითხებზე. სამინისტროს სისტემის საჯარო მოსამსახურეების შესახებ მონაცემთა საინფორმაციო სისტემის შექმნა, სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება და სხვა საკადრო საქმიანობა, რომლებიც მითითებულია ადამიანური რესურსების დეპარტამენტის დებულების მეორე მუხლში.

2007 წლის 9 იანვარს ქ. ნ-შილი გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ. 2007 წლის 12 იანვარს წერილობითი ფორმით შესთავაზეს გადაყვანა ადმინისტრაციის პერსონალის მართვის სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობაზე მუდმივ სამუშაო ადგილზე, რაზედაც წერილობითვე განაცხადა თანხმობა, თუმცა ადმინისტრაციის პერსონალის მართვის სამმართველოს, გარკვეული მიზეზების გამო 15 იანვარს უკვე გადაარქვეს სახელი და დაერქვა ადმინისტრაციის კადრების სამმართველო. მიუხედავად ქ. ნ-შილის წერილობითი თანხმობისა, დანიშნულიყო ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე, აღმოჩნდა, რომ 2007 წლის 15 იანვარს მინისტრის მოადგილის ხელმოწერით გამოიცა ბრძანება #6/კ §76, რომლის თანახმადაც სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან ქ. ნ-შილი 2007 წლის 15 იანვრიდან გადაყვანილ იქნა ამავე სამინისტროს ადმინისტრაციის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, დროებით შემცვლელად.

აპელანტის მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის თანახმად, ქ. ნ-შილი არ ექვემდებარებოდა არც გათავისუფლებას და არც გადაყვანას, მით უფრო, დროებით შემცვლელად, მაშინ როცა იგივე საშტატო ერთეული ისევ არსებობდა და მასზე დაინიშნა

ხელშეკრულებით მომუშავე პიროვნება, რომელიც ქ. ნ-შილის დეკრეტული შვებულების პერიოდში დროებით იკავებდა მის თანამდებობას.

აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიჩნია დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ. აპელანტის მითითებით, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ 2007 წლის 15 იანვრამდე ქ. ნ-შილი მუშაობდა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე; აღნიშნული დეპარტამენტის დებულებით ირკვევა იმ სამსახურის ფუნქციები, რაც რეორგანიზაციამდე სხვა მუშაკებთან ერთად ევალებოდა ქ. ნ-შილს. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული «საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს» დებულებით 2007 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით განისაზღვრა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ფუნქცია საკადრო საკითხთა გადაწყვეტის სფეროში.

აპელანტის მითითებით, რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ადამიანური რესურსების დეპარტამენტი. მის ბაზაზე, კერძოდ, აღნიშნული დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს საფუძველზე შეიქმნა ადმინისტრაციის კადრების სამმართველო, რაც ასახულია 2007 წლის 10 იანვრის რედაქციის დებულების მე-17 მუხლის «ზ» ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციის კომპეტენციას შეადგენს სამინისტროს სისტემის მოხელეთა და მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ აქტების, პროექტების, შესაბამისი წარდგინებების მომზადება, სამინისტროს მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა და სხვა საკადრო საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფა. ამდენად, აპელანტის მითითებით, ორივე შემთხვევაში ფუნქციები ერთი და იგივეა და სამინისტროს არც ერთ სხვა სამსახურს, წარმოდგენილი დანართების თანახმად, ეს ფუნქციები არ ეკისრება.

აპელანტის მოსაზრებით, უსაფუძვლოა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ 2007 წლის 15 იანვრიდან ქ. ნ-შილმა წერილობით თანხმობა განაცხადა დროებით სამუშაო ადგილზე გადასაყვანად, რადგან ასეთი თანხმობა ბუნებაში არ არსებობს. თანხმობის ფურცელი, რომელიც წარმოდგენილია საქმეში, ითვალისწინებს ქ. ნ-შილის გადაყვანას რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სპეციალისტის თანამდებობაზე, რაც გაცილებით ნაკლებ სარგოს ითვალისწინებს, ხოლო ი. ჯ-მე, რომლის ნაცვლადაც დაინიშნა იგი, წარმოადგენს უფროს სპეციალისტს. შესაბამისად, აღნიშნულ სამტატო ერთეულს აქვს მეტი თანამდებობრივი სარგო, რაც ასევე განასხვავებს ერთმანეთისაგან მითითებულ თანამდებობებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განჩინებით ქ. ნ-შილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ დასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2006 წლის სამტატო განრიგის თანახმად, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გათვალისწინებული იყო ადამიანური რესურსების დეპარტამენტი სტრუქტურული დანაყოფებით, 15 სამტატო ერთეულით, აღნიშნული განრიგით სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გათვალისწინებული იყო 235 სამტატო ერთეული; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ქ. ნ-შილი 2007 წლის 9 იანვარს გაფრთხილებულ იქნა სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და თანამდებობის შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 12 იანვრის #11/ო ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა 2007 წლის სამტატო ერთეულების რიცხოვნობა, სტრუქტურა და თანამდებობრივი სარგოების მოცულობა. აღნიშნული განრიგით სამტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 199 ერთეულით, განრიგით გათვალისწინებული აღარ იქნა ადამიანური რესურსების დეპარტამენტი და მასში შემავალი სამმართველოები, მათ შორის, პერსონალის მართვის სამმართველო, სადაც მოსარჩელე უფროს სპეციალისტად მუშაობდა; სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განხორციელდა რეორგანიზაცია, რასაც თან სდევდა შტატების შემცირება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის თანახმად, მართალია, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, მაგრამ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებულ იქნა რა მოსარჩელის განცხადება დასაქმების თაობაზე, იგი სადავო ბრძანებით გადაყვანილ იქნა სამინისტროს ადმინისტრაციის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, დროებით შემცვლელად, 2007 წლის 15 იანვრიდან, რაზედაც მას ფაქტობრივად თანხმობა ჰქონდა გაცემული. განხორციელებულ რეორგანიზაციას შედეგად მოჰყვა რა იმ დეპარტამენტისა და მასში შემავალი იმ სამმართველოს გაუქმება, სადაც მოსარჩელე მუშაობდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ სამმართველოს ფუნქციებს, სადაც მოსარჩელე სადავო ბრძანების გამოცემამდე მუშაობდა, ადმინისტრაციის კადრების სამმართველო ახორციელებს, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ შეიძლება გახდეს, რადგან დასტურდება, რომ სამინისტროს აპარატის სტრუქტურაში განხორციელდა რეორგანიზაცია საშტატო ერთეულთა რაოდენობის შემცირებით, ის გარემოება კი, რომ არსებულ საშტატო ერთეულებზე დანიშნვისას თავისი დისკრეციული უფლებამოსილება მოპასუხე დაწესებულების ადმინისტრაციამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელა, საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, სწორად განმარტა იგი, საქმის ფაქტობრივ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და სწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი, გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ნ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანის თაობაზე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად გამოცემულ სადავო ბრძანებას საფუძველი არ გააჩნდა, რადგან ქ. ნ-შვილს თანხმობა დროებით თანამდებობაზე გადასაყვანად არ განუცხადებია და წარმოდგენილი თანხმობის ფურცელი ეხება მხოლოდ ერთი რანგით დაბალ მუდმივ და არა დროებით თანამდებობაზე გადაყვანას.

კასატორის მითითებით, მის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდგომ რედაქციით ასევე ადამიანური რესურსების დეპარტამენტის დებულება. სააპელაციო საჩივრის განხილვისას მისმა წარმომადგენელმა დეტალურად მიუთითა დებულების შესაბამის მუხლებზე, რომლებითაც დასტურდება, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიცვალა მხოლოდ სამსახურის სახელწოდება, საშტატო ერთეულთა ოდენობა და ფუნქცია იგივე დარჩა.

კასატორის მითითებით, თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მხოლოდ ქ. ნ-შვილის საშტატო ერთეული და არა მთლიანად დეპარტამენტი და მასში შემავალი სამმართველოები, მათ შორის პერსონალის მართვის სამმართველო, ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლოს არ უნდა შეეფასებინა მისი თანხმობა იმ შინაარსით, რომ ქ. ნ-შვილმა თანხმობა განაცხადა ადმინისტრაციის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დროებით შემცვლელად გადაყვანაზე, რადგან თუ გაზიარებული იქნება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, ქ. ნ-შვილს თანხმობა წინასწარ განუცხადებია იმ თანამდებობაზე, რომელიც ჯერ მისთვის ცნობილი არ იყო და რომც ყოფილიყო ცნობილი, მას არ შესთავაზებია. თუ ახალი საშტატო განრიგის დამტკიცებამდე გაცხადებული თანხმობა, ნაცვლად მუდმივი სამუშაო ადგილისა, დროებით სამუშაო ადგილზე გასაზიარებელია, მაშინ გაზიარებული უნდა ყოფილიყო ის მოსაზრებაც, რომ რომ რეორგანიზაცია ქ. ნ-შვილის შემთხვევაში მხოლოდ სახელწოდების შეცვლით გამოიხატება და მიუხედავად საერთო მოცულობით შტატების შემცირებისა, ის სამსახური, სადაც რეორგანიზაციამდე მუდმივად მუშაობდა იგი, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ დროებით, იმავე საშტატო ოდენობით განისაზღვრება და უფრო მეტიც, იმავე ადამიანებითაა დასაქმებული, ვინც სამინისტროს პერსონალის მართვის სამმართველოში მუშაობდნენ.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის «გ» პუნქტის საფუძველზე ქ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა არ ცნო ქ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ქ. ნ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის #6/კ ბრძანება #76 და მოპასუხეს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დავალოს, საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქ. ნ-შილის სამსახურში მოწყობის თაობაზე. ამასთან, მოპასუხეს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ 284 ლარის გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. «ე» მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. ნ-შილის საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია ბრძანება ქ. ნ-შილის თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად უთხრა უარი სამსახურში აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ქ. ნ-შილი 2007 წლის 9 იანვარს გაფრთხილებულ იქნა სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და თანამდებობების შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. ამავე სამინისტროს 2007 წლის 12 იანვრის #11/ო ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა 2007 წლის სამტატო ერთეულების რიცხოვნობა, სტრუქტურა და თანამდებობრივი სარგოების მოცულობა. აღნიშნული განრიგით გათვალისწინებული არ იქნა ადამიანური რესურსების დეპარტამენტი და მასში შემავალი სამმართველოები, მათ შორის, პერსონალის მართვის სამმართველო, სადაც მოსარჩელე უფროს სპეციალისტად მუშაობდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განხორციელდა რეორგანიზაცია, რასაც თან სდევდა შტატების შემცირება და განმარტა, რომ ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებულ იქნა მოსარჩელის განცხადება დასაქმების თაობაზე და იგი სადავო ბრძანებით გადაყვანილ იქნა სამინისტროს ადმინისტრაციის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დროებით შემცვლელად, 2007 წლის 15 იანვრიდან, რაზედაც მას ფაქტობრივი თანხმობა ჰქონდა გაცემული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 15 იანვრის #6/კ ბრძანება #76 ქ. ნ-შილის კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის (ი. ჯ-მის) თანამდებობაზე, დროებით შემცვლელად გადაყვანის შესახებ, ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, კერძოდ, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალის მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის სამტატო ერთეულიდან გადაყვანილ იქნა დროებით სამტატო ერთეულზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია, შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიყენა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაშიც, ეს უკანასკნელი შეზღუდულია კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განხორციელოს კანონით დადგენილ

ფარგლებში. ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. ნ-შვილი ძირითადი საშტატო ერთეულიდან დროებით საშტატო ერთეულზე გადაყვანილ იქნა სრულიად უკანონოდ, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით დადგენილი პროცედურების უგულვებელყოფით, რამდენადაც ქ. ნ-შვილი ძირითადი საშტატო ერთეულიდან დროებით საშტატო ერთეულზე გადაყვანილ იქნა დაწესებულების რეორგანიზაციის და შტატების შემცირების მოტივით, თუმცა მოსარჩელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მოხდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვით, მოხელის გადაყვანა სხვა თანამდებობაზე ხორციელდება მხოლოდ მოხელის თანხმობით. ქ. ნ-შვილს თანხმობა დროებით თანამდებობაზე გადასაყვანად არ მიუცია, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი თანხმობის ფურცელი წარმოადგენს მხოლოდ ერთი რანგით დაბალ (სპეციალისტის) მუდმივ და არა დროებით თანამდებობაზე გადაყვანაზე თანხმობას.

კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორის - ქ. ნ-შვილის დროებით საშტატო ერთეულზე გადაყვანისას, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ შესთავაზა სხვა თანამდებობაზე დანიშვნა, მაგრამ მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა არა იმ თანამდებობაზე, რომელზეც დროებით შემცვლელად დაინიშნა, არამედ ერთი რანგით დაბალ (სპეციალისტის) მუდმივ თანამდებობაზე. შესაბამისად, ქ. ნ-შვილის დროებით საშტატო ერთეულზე გადაყვანით ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა მოხელის თანხმობა, თანამდებობის დასაკავებლად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111.2. მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან 3 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, ქ. ნ-შვილს ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ ქ. ნ-შვილის დროებით საშტატო ერთეულზე გადაყვანით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით დადგენილი პრინციპები, რაც, თავის მხრივ, მუშაკის უფლებათა დაცვის გარანტიაა და უზრუნველყოფს მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობისა და ა.შ., როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების შესრულებას.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და 96.2. მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების და სხვა თანამდებობაზე გადაყვანის «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით

დადგენილი პროცედურული საკითხების უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამავე დროს ქ. ნ-შილი ექვემდებარება სამსახურში უპირობო აღდგენას, ხოლო კონკრეტული თანამდებობის შერჩევა, რომელზეც ის უნდა აღდგეს, წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას ყოველი კონკრეტული გარემოების ერთობლიობაში გათვალისწინებით, რაზეც სასამართლო ვერ იმსჯელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. ნ-შილის სამსახურში მოწყობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა ადვოკატისთვის გადახდილი 284 ლარის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მოპასუხეს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს ადვოკატის მომსახურებისთვის გაცეული ხარჯის - 284 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, რამდენადაც სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები განეკუთვნება სასამართლოს გარეშე ხარჯებს, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის პირობებში, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ქ. ნ-შილის მიერ ადვოკატ თ. მ-ელისათვის ჰონორარის სახით 284 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შესაბამისად სარჩელი ამ ნაწილშიც, როგორც შესაბამისი მტკიცებულებებით დასაბუთებული, ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასამართლო ხარჯის დასაფარად უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 389-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ნ-შილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ნ-შილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის #6/კ ბრძანება #76;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. ნ-შილის სამსახურში მოწყობის თაობაზე;
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისროს ქ. ნ-შილის სასარგებლოდ 284 ლარის გადახდა;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოხელე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვა

განჩინება

#ბს-950-911(კ-07)

3 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,

ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 21 მარტს ნ. კ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2004 წლის 2 სექტემბრიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. 2007 წლის 18 იანვარს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მას ეცნობა სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელის მოსაზრებით, სამსახურიდან გათავისუფლება მას არ უნდა შეხებოდა, ვინაიდან იმ პერიოდისათვის იყო ორსულად. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორსულობის შესახებ ცნობილი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციისათვის, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება მაინც გამოიცა, რაც კანონის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. ბრძანება, რომელიც გაფორმდა 2007 წლის 21 თებერვალს, მოსარჩელეს ჩაჰხარდა 2007 წლის 19 მარტს.

მოსარჩელის მტკიცებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება იყო უკანონო. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის საფუძველზე დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე ნამდვილად იყო ორსულად (დიაგნოზი - ორსულობის 9 კვირა) და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო მისი სამსახურიდან დათხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალდებულება მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის გადიდებისა და დამატებით იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე, დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 16 აპრილის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა საბოლოოდ მოითხოვა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობა, ნ. კ-მის აღდგენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმისწარმოების დეპარტამენტში, მთავარი სპეციალისტის ან სპეციალისტის თანამდებობაზე და იძულებით განაცდული ხელფასის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. კ-მე 2004 წლის 2 სექტემბრიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2007 წლის 18 იანვარს მოპასუხის მიერ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნ. კ-მე გაფრთხილებულ იქნა სამუშაოდან მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე, რასაც ადასტურებდა მოსარჩელეც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანებით, ნ. კ-მე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, შტატების შემცირების მოტივით, გათავისუფლდა სამუშაოდან.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ მან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის აპარატის ხელმძღვანელ პირს სამუშაოდან გათავისუფლებამდე აცნობა მისი ორსულობის თაობაზე, რამდენადაც მოსარჩელემ ამის შესახებ სასამართლოს ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარუდგინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს უნდა დაკისრებოდა, ამასთან, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც

კანონის თანახმად უნდა დადასტურებულიყო გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. კ-მემ სასამართლოში წარადგინა შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» ცნობა მისი ორსულობის თაობაზე, რომელიც 2007 წლის 15 მარტს, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შემდეგ გაიცა და მასში აღნიშნული იყო, რომ იგი იყო 9 კვირის ორსული. მოპასუხე მხარის მიერ ნ. კ-მის მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე გაფრთხილების შემდეგ, მოსარჩელე ვალდებული იყო, ორსულობის თაობაზე, ეცნობებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის და წარედგინა შესაბამისი მტკიცებულება, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის სახით. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე მხარე ვალდებული იქნებოდა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, ნ. კ-მის მიერ მითითებული საკითხის გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ მოსარჩელეს არ უცნობებია მისთვის ორსულობის თაობაზე, რის გამოც მისი გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ გარემოების განხილვისა და შეფასების გარეშე იქნა მიღებული.

საქალაქო სასამართლომ მოპასუხის მიერ სასამართლოში წარდგენილი «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 12 იანვრის #8 დადგენილებით და თანდართული მთავრობის აპარატის სამტატო ნუსხით, დადგენილად და უდავოდ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ნ. კ-მის მიერ დაკავებული საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის შტატი მართლაც იქნა შემცირებული დასახელებული დადგენილებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის თანახმად, ორსული ქალის სამუშაოდან გათავისუფლება დაუშვებელი იყო, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოპასუხისათვის არ იყო ცნობილი ნ. კ-მის ორსულობა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. კ-მის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით არ მიუღია. მოსარჩელეს კი მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მომზადებასა და გამოცემასთან დაკავშირებულ სხვა დარღვევებზე სარჩელში არ მიუთითებია.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა ბათილად, თუ იგი არსებითად ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების, ან გამოცემის წესი. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე ამავე კოდექსის 22-ე მუხლით აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით, სასამართლო იმ შემთხვევაში გამოიტანდა გადაწყვეტილებას აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ნ. კ-მის სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კანონის ზემოთ დასახელებული ნორმებით განსაზღვრული პირობები, რის გამოც აღნიშნული სარჩელი იყო დაუსაბუთებელი და მას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ, რამდენადაც არ არსებობდა ნ. კ-მის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობის საფუძველი, იმდენად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო მოთხოვნაც მისი სამუშაოზე აღდგენის თაობაზე განაცდური ხელფასის ანაზღაურებით, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილშიც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება; ნ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება ნ. კ-მის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს დეველა, იმავე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. კ-მის შრომითი მოწყობის საკითხთან დაკავშირებით; ნ. კ-მეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური შტატით გათვალისწინებული ხელფასის შესაბამისად, გათავისუფლებიდან იმავე გადაწყვეტილებით დავალებული ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. კ-მე 2004 წლის 2 სექტემბრიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის

თანამდებობაზე, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანებით, შტატების შემცირების გამო, გაათავისუფლეს. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. კ-მ მისი სამსახურიდან გაათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას იყო ორსულად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. კ-მის თანამდებობა შეყვანილი იყო საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობათა რეესტრის ჩამონათვალში და იგი იყო საჯარო მოხელე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება წარმოადგენდა საჯარო მოხელის მიმართ სამსახურებრივ საკითხზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამ აქტის კანონიერების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული აქტი ეწინააღმდეგებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონს, რადგან ამ კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გაათავისუფლებულიყო სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო. საქმეში წარმოდგენილი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» ექიმის 2007 წლის 15 მარტის #435 ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ნ. კ-მ ზემოთ მითითებულ დროს იყო 9 კვირის ორსული და შესაბამისად, მაშინ, როდესაც იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს, იყო ორსულად, რაც გამორიცხავდა მისი სამსახურიდან გაათავისუფლების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმის თაობაზე, რომ ნ. კ-მის მოპასუხე ადმინისტრაციისათვის არ წარუდგენია მტკიცებულება მისი ორსულობის თაობაზე, რადგან, როგორც მოსარჩელემ განმარტა, მან ზეპირი ფორმით აცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციას მისი ორსულობის თაობაზე, ხოლო სამშობიაროდან ვერ მიიღო ამის შესახებ ცნობა «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლი არ ავალდებულებდა მოხელეს, ორსულობის თაობაზე წერილობით ეცნობებინა ადმინისტრაციისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. კ-მ სამსახურიდან გაათავისუფლებისას და იმჟამადაც იყო ორსულად და, შესაბამისად, დაუშვებელი იყო მისი სამსახურიდან გაათავისუფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება ნ. კ-მის სამსახურიდან გაათავისუფლების თაობაზე, ეწინააღმდეგებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონს და იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გაათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). შესაბამისად, ნ. კ-მ, როგორც სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლებულ მოხელეს, უნდა ანაზღაურებოდა იძულებითი განაცდური შტატით გათვალისწინებული ხელფასის ოდენობით. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას სამუშაოზე აღდგენის შესახებ, იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლოს უწყებრივ კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ნ. კ-მის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ყოფილიყო ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - #20 ბრძანება და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დავალებოდა, იმავე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. კ-მის შრომითი მოწყობის საკითხთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ.

კასატორი აღნიშნავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 12 იანვრის #8 დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 80 ერთეულით. ამავე დადგენილებით დამტკიცდა მთავრობის აპარატის ახალი საშტატო

ნუსხა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილებაში შემცირდა ერთი მთავარი სპეციალისტის თანამდებობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის #30 დადგენილებით კი, განყოფილება, რომელშიც მუშაობდა მოსარჩელე, საერთოდ გაუქმდა.

კასატორი ასევე განმარტავს, რომ 2007 წლის 18 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე ნ. კ-მე გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება გაფრთხილების ფურცელზე მისივე ხელმოწერით, რის შემდეგაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანებით ნ. კ-მე შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, გათავისუფლებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და ამავე კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად, მიეცა 2 თვის კომპენსაცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ 2007 წლის 21 მარტს ნ. კ-მის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ზემოაღნიშნული ბრძანება გასაჩივრებულ იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნული აქტის ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა იმ მოტივით, რომ სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის იყო ორსულად და «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. კ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება მიღებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის არავითარი საფუძველი.

კასატორის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის ცნობილი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი ნ. კ-მის ორსულობის შესახებ, ვინაიდან მას ამის თაობაზე არ უცნობებია ხელმძღვანელობისათვის და არც რაიმე მტკიცებულება წარმოუდგენია აღნიშნულის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, ამასთან, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურებულ იქნეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ემყარება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, დაუსაბუთებელი და უკანონოა, რის გამოც უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ, ვინაიდან ნ. კ-მე სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის იყო ორსულად, შესაბამისად, მისი სამსახურიდან გათავისუფლება დაუშვებელი იყო და მიიჩნია, რომ აღნიშნულით დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება მისი ორსულობის თაობაზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. კ-მემ ზეპირად აცნობა ამის შესახებ მოპასუხე ადმინისტრაციას, ხოლო სამშობიაროდან ვერ მიიღო ცნობა «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლის თანახმად, ამასთან, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლი არ ავალდებულებდა მას, ამის თაობაზე წერილობით ეცნობებინა ადმინისტრაციისათვის.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა არ ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და კანონის მოთხოვნებს, კერძოდ, 2007 წლის 18 იანვარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, ნ. კ-მე გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება გაფრთხილების ფურცელზე მისივე ხელმოწერით. მოსარჩელეს მოსალოდნელი შტატების შემცირების შესახებ გაფრთხილებიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე არ წარუდგენია ორსულობის დამადასტურებელი საბუთი და არ მიუშარტავს ორსულობის თაობაზე ადმინისტრაციისათვის (მიუხედავად იმისა, რომ სასარჩელო განცხადებაში იგი აცხადებდა, რომ გაფრთხილების დროისათვის იცოდა თავისი ორსულობის შესახებ და ვარაუდობდა, რომ სამსახურიდან გათავისუფლება მას არ შეეხებოდა). მოსარჩელეს ამის შესახებ არც მოპასუხე ადმინისტრაციისათვის და შემდგომ სასამართლოშიც რაიმე სახის მტკიცებულება არ წარუდგენია და, ვერც წარადგენდა მისი არარსებობის გამო. შესაბამისად, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ნ. კ-მემ ზეპირად აცნობა ორსულობის თაობაზე მოპასუხე ადმინისტრაციას, ვინაიდან მის მიერ აღნიშნული ვერ იქნა დამტკიცებული. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებად მიიჩნია შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» მიერ 2007 წლის 15 მარტს გაცემული #435 ცნობა, რომლის მიხედვითაც, ნ. კ-მე სამსახურიდან გათავისუფლების დროს იყო ორსულად და ამავე დროს განმარტა, რომ ნ. კ-მის მიერ შესაბამისი ცნობის წარმოუდგენლობა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების პერიოდში, იყო საპატიო, ვინაიდან მოსარჩელემ სამშობიაროდან ვერ მიიღო ცნობა «ჯანმრთელობის დაცვის

შესახებ» კანონის 139-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული შეფასებაც უკანონო და დაუსაბუთებელია, რამდენადაც, ნ. კ-ძის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა, რომ მან სამშობიაროს მიმართა სამსახურიდან გათავისუფლებამდე და უარი მიიღო ცნობის გაცემაზე, რაც ცხადყოფს, რომ მოსარჩელეს საერთოდ არ მიუმართავს სამშობიაროსთვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების პერიოდში. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-103-ე მუხლები და არასწორად გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა – «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლი, რომელიც ადგენს ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის 12-კვირიან ვადას და მასში საერთოდ არაფერია ნათქვამი ორსულობის შესახებ ცნობის გაცემის ვადების თაობაზე.

კასატორი განმარტავს, რომ, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის უცნობი იყო ნ. კ-ძის ორსულობის შესახებ, ამდენად, არ არსებობდა არავითარი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც უკანონოს გახდიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანებას, ხოლო ხსენებული ბრძანება სრულად აკმაყოფილებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც გამოიხატება შემდეგში: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა ამ აქტის გამოცემის უფლებამოსილება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ჰქონდა უფლება, გამოეცა ზემოაღნიშნული ბრძანება და შესაბამისად, გაეთავისუფლებინა მთავრობის აპარატის თანამშრომელი თანამდებობიდან; ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაცულია ადმინისტრაციული წარმოების წესი. მოსარჩელე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის შესაბამისად, ერთი თვით ადრე იყო გაფრთხილებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. დაინტერესებული მხარე ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესით და მას ჰქონდა შესაძლებლობა, ერთი თვის განმავლობაში თავისი მოსაზრება და მტკიცებულებები წარედგინა აქტის გამომცემი თანამდებობის პირისათვის; გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წერილობითი ფორმისაა და შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ რეკვიზიტებს: სახეს, გამომცემი ორგანოს დასახელებას, სათაურს, გასაჩივრების წესს, ორგანოს და სხვა; დ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გააჩნია დასაბუთება, ანუ აქტში მითითებულია, თუ რის გამო გათავისუფლდა მოსარჩელე თანამდებობიდან; ე) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეესაბამება მოქმედ კანონებსა და სამართლის პრინციპებს.

კასატორის განმარტებით, სრულიად უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მტკიცება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანების გამოცემით დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მხოლოდ იმიტომ, რომ ნ. კ-ძის ორსულობა შემდგომში გახდა ცნობილი. ასევე აბსურდულია იმის მტკიცება, რომ ხელმძღვანელს უნდა სცოდნოდა მისი ორსულობის შესახებ.

კასატორი უზენაესი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს მოხელის ერთი თვით ადრე გაფრთხილებას მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა მიმართულია საჯარო მოსამსახურეთა უფლებების დაცვისკენ. მოხელემ ამ დროის განმავლობაში უნდა გააცნობიეროს არა მარტო ის, რომ მას სამსახურიდან წასვლა ემუქრება, არამედ ხსენებული დრო ასევე გამოიყენოს იმისათვის, რომ შეატყობინოს ხელმძღვანელს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის თაობაზე, აღნიშნულის შესახებ მოიპოვოს მტკიცებულებები და თავის მოსაზრებასთან ერთად, წარუდგინოს აქტის გამომცემ პირს. ამ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს არ უცნობებია მოპასუხე ადმინისტრაციისათვის მისი ორსულობის შესახებ და შესაბამისად, არ წარუდგენია მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ ირღვევა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მოთხოვნები. ის ფაქტი, რომ ნ. კ-ძე ერთი თვით ადრე იყო გაფრთხილებული სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ და მან მისი ორსულობის თაობაზე არ აცნობა მოპასუხე ადმინისტრაციას, მეტყველებს იმაზე, რომ მას გათვითცნობიერებული ჰქონდა სამსახურიდან მისი შესაძლო გათავისუფლება და იგი ეთანხმებოდა მოსალოდნელ გათავისუფლებას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლით არ არის აკრძალული ორსული ქალის ყველა შემთხვევაში გათავისუფლება. შესაძლებელია ორსული ქალი სამუშაოდან გათავისუფლდეს მისი ინიციატივის, თანხმობის საფუძველზე. ამ გარემოებიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ მის მიერ გაფრთხილებიდან ერთი თვის განმავლობაში ორსულობის თაობაზე ადმინისტრაციისათვის შეუტყობინებლობა განხილულ უნდა იქნეს როგორც მოსარჩელის თანხმობად. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი.

კასატორი აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არც ერთი ზემოაღნიშნული მომენტი და შესაბამისად – გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის არავითარი საფუძველი.

კასატორი განმარტავს, რომ, რადგან არ არსებობს ნ. კ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობის საფუძველი, ამიტომ დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დავალებულება ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ და მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მისთვის დაკისრება.

კასატორი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემული საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 19 დეკემბრამდე.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 14 თებერვალს, მხარეთა დასწრების გარეშე.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2008 წლის 20 მარტს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. კ-მე, მუშაობდა აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, შტატების შემცირების მოტივით, გათავისუფლდა სამსახურიდან. შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» ექიმის 2007 წლის 15 მარტის #435 ცნობის მიხედვით, ნ. კ-მე 2007 წლის 15 მარტს იყო 9 კვირის ორსული. ნ. კ-მემ 2005 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 12 იანვრის #8 დადგენილებით დამტკიცდა თანდართული მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 80 ერთეულით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 12 იანვრის #8 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხის მიხედვით, მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილებაში გათვალისწინებული იყო 2 საშტატო ერთეული. «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის #30 დადგენილებით დამტკიცდა თანდართული მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 62 ერთეულით და ძალადაკარგულად გამოცხადდა «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 12 იანვრის #8 დადგენილება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის #30 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხაში აღარ არის მითითებული მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის განყოფილება. შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» 2007 წლის 23 ივლისის #808 ცნობის მიხედვით, ნ. კ-მე იყო 28 კვირის ორსული.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დგინდება და მხარეთა შორის არც არის სადავო ის გარემოება, რომ ნ. კ-მე მისი სამსახურიდან გათავისუფლების დროს ნამდვილად იყო ორსულად. ამასთან, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება და მხარეთა

შორის დავასაც არ იწვევს ის გარემოება, რომ ნ. კ-მეს წერილობით არ უცნობებია მოპასუხე დაწესებულების ადმინისტრაციისათვის მისი ორსულობის შესახებ, ანუ მას შემდეგ, რაც 2007 წლის 18 იანვარს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მას ეცნობა სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე, საერთოდ არ დაუწერია განცხადება და მოპასუხისათვის წერილობით არ შეუტყობინებია მისი სამსახურიდან გათავისუფლების აღნიშნული დამაბრკოლებელი კანონისმიერი გარემოების არსებობა. ამის მიზეზად ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი არ ყოფილა აღრიცხვაზე სამედიცინო დაწესებულებაში, რადგან არ შეიძლებოდა აღრიცხვაზე აყვანა, რისთვისაც იგი თვე-ნახევრის ორსული მაინც უნდა ყოფილიყო და ორსულობის შესახებ შეიტყო ტესტის მეშვეობით, ხოლო აღნიშნულის სამედიცინო დასტური არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია დადგენილად, რომ ნ. კ-მემ ზეპირი ფორმით აცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციას მისი ორსულობის თაობაზე, ხოლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლი არ ავალდებულებდა მოხელეს, ორსულობის თაობაზე წერილობით ეცნობებინა ადმინისტრაციისათვის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ისე ცნო ბათილად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომ იგი დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის განმარტებას ამის თაობაზე, სრულყოფილად არ უმსჯელია და არ დაუდგენია მოცემული საქმისათვის მთავარი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, იყო თუ არა ნამდვილად ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ნ. კ-მის ორსულობის თაობაზე, ანუ რეალურად შეატყობინა თუ არა ნ. კ-მემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციას მისი ორსულობის თაობაზე მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, მაშინ, როდესაც ნ. კ-მე ამტკიცებს, რომ მან იცოდა მისი ორსულობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სარწმუნოდ დადგენას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეზე მართებული გადაწყვეტილების მისაღებად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მიერ წარდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემისას დაცულ იქნა ადმინისტრაციული წარმოების სახე და წესები, კერძოდ, მოსარჩელე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად, ერთი თვით ადრე იქნა გაფრთხილებული სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რის გამოც დაინტერესებული მხარე ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესით და მას ჰქონდა შესაძლებლობა, ერთი თვის განმავლობაში წარედგინა თავისი მოსაზრება და მტკიცებულებები აქტის გამომცემი თანამდებობის პირისათვის, რაც მას არ გაუკეთებია, რის გამოც უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ ხსენებული აქტით დაირღვა იმავე კანონის 111-ე მუხლი, რადგან მოსარჩელეს არავითარი მტკიცებულება არ წარუდგენია ხელმძღვანელობისთვის იმის დასადასტურებლად, რომ იგი იყო ორსულად, ხოლო შემდგომში აღმოჩნდა, რომ იგი იყო ორსულად და არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა, რომლითაც დამტკიცებოდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის ორსულობის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის სხდომაზე მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების დროისათვის იგი იყო ერთი თვის ორსული და ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსისთვის ცნობილი იყო. აღნიშნულ გარემოებაზე მოწინააღმდეგე მხარე მიუთითებს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებასა და ახსნა-განმარტებამდე. ამდენად, ნ. კ-მე ამტკიცებს, რომ მან ზეპირი ფორმით შეატყობინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მაშინდელ უფროსს ორსულობის შესახებ მას შემდეგ, რაც საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად, იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილეს სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. კასატორი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ მოსარჩელეს მოსალოდნელი შტატების შემცირების შესახებ გაფრთხილებიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე არ წარუდგენია ორსულობის დამადასტურებელი საბუთი და არ მიუმართავს ორსულობის თაობაზე ადმინისტრაციისათვის. ამდენად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის ძირითად სადავო გარემოებას, ანუ დავა არის იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა ნ. კ-მის მიერ მოპასუხე დაწესებულების ადმინისტრაციისათვის თავისი ორსულობის შესახებ ზეპირად შეტყობინების ფაქტი, რაც ამ საქმის მასალებიდან არ ირკვევა.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოარკვია, ნამდვილად აცნობა თუ არა ნ. კ-მემ ზეპირად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ყოფილ უფროსს თავისი ორსულობის თაობაზე და შესაბამისად, აღნიშნული პირისათვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის ცნობილი იყო თუ არა აღნიშნულის შესახებ, ანუ მოწმის სახით არ დაუკითხავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ყოფილი უფროსი, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა ხსენებულ ფაქტს.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თვითონ კასატორი მიუთითებს მართებულად საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებაში, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, კერძოდ, ისე მიიჩნია დადგენილად ამ საქმის ფაქტობრივი გარემოება ნ. კ-მის მიერ მოპასუხე დაწესებულების ადმინისტრაციისათვის მისი ორსულობის თაობაზე ზეპირად შეტყობინების ფაქტი, რომ არ გამოუკვლევია შესაბამისი მტკიცებულებები (მოწმეთა ჩვენებები) და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მიუხედავად აღნიშნულისა, კასატორმა გააკეთა ნაწილობრივ არაადეკვატური კასაციის განაცხადი იმ ნაწილში, რომლითაც იგი საკასაციო სასამართლოსაგან მოითხოვს ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ნ. კ-მე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკასაციო საჩივარზე საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით პასუხში მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ კონკრეტული დოკუმენტის - შპს «ბათუმის სამშობიარო სახლის» ექიმის 2007 წლის 15 მარტის #435 ცნობის საფუძველზე, შეიტყო (მანამდე კი იმავე მთავრობის აპარატის უფროსმა იცოდა), რომ იგი უკანონოდ იქნა გათავისუფლებული, მას უნდა ემოქმედა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად - თვითონვე უნდა ეცნო ბათილად მის მიერ გამოცემული 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება. კასატორი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის უცნობი იყო ნ. კ-მის ორსულობის შესახებ, ამდენად, არ არსებობდა არავითარი დამარკოლებელი გარემოება, რომელიც უკანონოს გახდიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში - ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ან სასამართლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია ამავე აქტის კანონთან წინააღმდეგობა ან მისი მომზადების და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების არსებითად დარღვევა, ანუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ უდავოდ და სარწმუნოდ არის დადგენილი აღნიშნული საფუძველებიდან ერთ-ერთის არსებობა მაინც, რაც უნდა დადგინდეს ისეთი მტკიცებულებით (მტკიცებულებებით), რომლის ნამდვილობასა და უტყუარობაში ეჭვი არ იქნება შეტანილი, ანუ რომელსაც, მისი წარმოშობის წყაროდან გამომდინარე, არ ექნება სუბიექტური დაინტერესების დატვირთვა და მასში ობიექტურად იქნება ასახული და გადმოცემული წარსულში მომხდარი ესა თუ ის ფაქტი.

გარდა ამისა, კასატორი განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლით არ არის აკრძალული ორსული ქალის ყველა შემთხვევაში გათავისუფლება და შესაძლებელია, ორსული ქალი სამუშაოდან გათავისუფლდეს მისი ინიციატივის, თანხმობის საფუძველზე, რის გამოც მოსარჩელის მიერ გაფრთხილებიდან ერთი თვის განმავლობაში ორსულობის თაობაზე ადმინისტრაციისათვის შეუტყობინებლობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც მოსარჩელის თანხმობა. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მოწინააღმდეგე მხარე, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ კასატორი ვერ გაერკვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის დეფინიციის, კერძოდ, იმაში, თუ რას ნიშნავს სამსახურიდან გათავისუფლება და გათავისუფლება საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, რადგან კასატორი ამტკიცებს, რომ მოსარჩელე თანახმა იყო სამსახურიდან გათავისუფლებაზე, მაშინ, როდესაც მსჯელობა იმის შესახებ, რომ ნ. კ-მემ თანხმობა განაცხადა სამსახურიდან გათავისუფლებაზე, არა მარტო კანონიერ საფუძველს, არამედ ლოგიკასაც მოკლებულია, რადგან დაზარალებულ ნ. კ-მეს სამსახურიდან გათავისუფლების სურვილი რომ ჰქონოდა, იგი ამავე კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად იმოქმედებდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, როგორც ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, ზემოთ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებასთან ერთად, მხარეთა შორის სადავო ასევე კონკრეტული სამართლებრივი საკითხი - «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის ნორმის ნამდვილი შინაარსი. აღნიშნული ნორმის განმარტება მიზანშეწონილია მოხდეს «ევროპის სოციალური ქარტიის» (რეატიფიცირებულია პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1876-რს დადგენილებით) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ნორმასთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს «ევროპის სოციალური ქარტიის» მე-8 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების

ევექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამოწურვისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი ითვალისწინებს საჯარო მოსამსახურის შრომის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს, მათ შორის, ამ კანონის 111-ე მუხლი, ამავე მუხლით რეგლამენტირებულ შემთხვევებში - დაწესებულების ადმინისტრაციისათვის მოხელე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვის დაწესებას.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმების შეგუებით, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთს ავსებს, განმარტავს, რომ დაუშვებელია დაწესებულების ადმინისტრაციის ინიციატივით ორსული ქალის დათხოვნა სამუშაოდან ზემოაღნიშნული საფუძვლებით (ხსენებული ნორმები არ ეხება სამსახურიდან ორსული ქალის გათავისუფლებას მისივე ინიციატივით), ხოლო დამსაქმებლისათვის ორსულობის შესახებ შეტყობინების ვალდებულება ეკისრება თვითონ ორსულ ქალს, ხსენებული შეტყობინება კი, შეიძლება იყოს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმის, თუ ორსულ ქალს არ შეუძლია წარადგინოს ორსულობის ცნობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ორსულობის თაობაზე ზეპირი შეტყობინება უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით, კერძოდ, მოწმის ჩვენებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, ორსული ქალის მიერ სამუშაოზე დარჩენის აღნიშნული უპირატესობით სარგებლობისათვის აუცილებელია, რომ მან პირველი შესაძლებლობისთანავე წარუდგინოს მოპასუხე ადმინისტრაციას სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ორსულობის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა.

გარდა ამისა, კასატორი ამტკიცებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-103-ე მუხლები და არასწორად გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლი, რომელიც ადგენს ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის 12-კვირიან ვადას და მასში საერთოდ არაფერია ნათქვამი ორსულობის შესახებ ცნობის გაცემის ვადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე მიიჩნია დადგენილად, რომ ნ. კ-მემ ზეპირად აცნობა მოპასუხე ადმინისტრაციას მისი ორსულობის შესახებ, ასევე - არასწორად განმარტა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტი და «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლი, რადგან ორსულობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ოფიციალური ცნობით, ხოლო «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 139-ე მუხლი არ არეგულირებს ორსულობის თაობაზე ცნობის გაცემის ვადებს და იგი დაკავშირებულია ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის ვადასთან, ამასთან, კასატორისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ნ. კ-მის ორსულობის შესახებ, იგი არ გაათავისუფლებდა მას სამსახურიდან. იმავე სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნ. კ-მეს ამჟამად ჰყავს 5 თვის შვილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმკურნელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას, გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. კ-მეს არ მოუთხოვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა. მხოლოდ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 3 აპრილის სხდომაზე განმარტა ნ. კ-მის წარმომადგენელმა, რომ მოსარჩელემ დოკუმენტურად გვიან აცნობა მოპასუხე ადმინისტრაციას ორსულობის თაობაზე და ამდენად, ნ. კ-მის ორსულობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ახლად აღმოჩენილი გარემოებაა და კასატორს სრული საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად ეცნო მის მიერ გამოცემული 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანება და ნ. კ-მე აღედგინა სამუშაოზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან სააპელაციო

სასამართლომ მოცემული საქმე ხელახლა არსებითად უნდა განიხილოს, მან ამ საკითხზეც უნდა იმსჯელოს და მოსარჩელეს დააზუსტებინოს, მისი წარმომადგენლის ზემოაღნიშნული განმარტება ხომ არ ნიშნავს სარჩელის ტრანსფორმირებას, ანუ იმავე განმარტებიდან გამომდინარე, ხომ არ მოითხოვს მოსარჩელე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2007 წლის 21 თებერვლის #20 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი - სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოარკვიოს და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება მხარეთა შორის დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.